

ლიტერატურული გაზეთი

№16 (128) 5 - 18 სექტემბერი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

ჯარჯი ფხოველი

გიორგი ლობჯანიძე

ფანჯარასთან

სელის-გულის ანაბეჭდები

ისევ მეოთხე სართულიდან გადავიხედე:
თითქოს თვითმკვლელის პარაკლისი გადავიხადე:
სხვა სიმაღლეზე მზერა ისე გადავატარე,
ერთმანეთს კი არ შევადარე: გადავადარე,
და ჩემს ორეულს, რომელიც ვერ გადავიყვარე,
მოღიავებულ ფანჯარასთან გადავეყვარე:
ღმერთო, ერთხელაც, ამ ერთხელაც გადამივადე,
რათა სხეული ფანჯრიდან არ გადამივარდეს.

ჩემი აქლემი

სიზმარში ვხედავ:
აქლემი სტოვებს აქლემთა ჯოგებს,
აქეთ მოდის და ოდესმე ჩემს კართან დაიჩოქებს.
ამბობენ: მეოცნებეა და თავს საეჭვოდ აქნევს
და მისამართი არასდროს არ ეშლებოა აქლემს.
შორიდან მათეფიანებს უდაბნოს პეიზაჟი,
ჩემი აქლემი გზაშია, ჩემი ნუგეში — ცაში.
ოაზისიდან მოკვალავს ქვიშნარის სანაპიროს,
ასი ნაბიჯით ჩამორჩა მოქარავანე სპილოს.
რა გეჩქარება, ჭირიმე, ცას დაელოდე წმინდას,
ხორშაკს ერიდე, ფეხი არ წამოკრა პირამიდას!..

ციდან მირჩევენ: ენდო მანუგეშებლის მოტივს:
მოდისო, მაგრამ ძალიან, ძალიან ნელა მოდის.

დასასრული

სათაურის ქვეშ სიტყვა „დასასრულის“
ნაკითხვისას შვებით ამოისუნთქავენ ისინი,
ვინც ამ პოეტურ ჩანაწერებს კითხულობდ-
ნენ... ამ წიგნის ბეჭდვა წლობით გრძელდ-
ებოდა. ეს უდაოდ ახსოვთ „ლიტერატურული
გაზეთისა“ და „ჩვენი მწერლობის“ მკითხ-
ველებს... ჩანაწერები ახალია, მაგრამ ძვე-
ლისძველი სათაური ერთგვარ მოყირჭე-
ბას, უარყოფას და სიძულვილს იწვევს!..
მკითხველს უნდა გავუგოთ: უნდა შევისმი-
ნოთ მისი გულის ბაგაბუგი!.. მკითხველს სი-
ნანულით და მადლიერებით ვემშვიდობები;
დღეს მეტაპოეზიის წრე და სარბიელი მეტად
გაფართოვდა: ბევრი რამ შეიძინა როგორც
წმინდა პოეზიიდან, ისევე პროზიიდან, ესეის-
ტიკიდან... კმაყოფილებით ვიტყვი, რომ ამ
საჭოჭმანო და უდაოდ საინტერესო ლიტერ-
ატურულ პროცესში სულ მცირე წვლილი
მეც შევიტანე...

აი, ჩვენი სიყვარული —
ნაქირავები ბინასავით უპერსპექტივო,
რომლისთვისაც გაღებული ყველა გრძნობა,
ყველა ღელვა,
თვის დასაწყისში გადახდილი ფულის არ იყოს,
გადაყრილია...
მხოლოდ იმიტომ,
რომ იცოცხლო,
ცხოვრება შეძლო...
მაგრამ ერთ დღესაც
მოვა ჩვენი ბინის პატრონი —
ვითომ ბერად აღკვეცილი,
ლოცვად დამდნარი
და ძველბიჭური ჟარგონით მეტყვის:
ბრატ, იცი რა,
ჩემს ცხოვრებაში ქალი გამოჩნდა,
უნდა გამიგო,
ბინა ახლა თავად მჭირდება...

IX

VI

IV-V

ოთარ ჩხეიძე	ზაალ სამადაშვილი	თემურ გაბუნია	დარეჯან სუმბაძე	ნინო ქადაგიძე	ირაკლი სამსონაძე	ედგარ ლი მასტერსი
ახალი თარგმანები ვახტანგ ჭილიძისა	ჩემი მებოგარი ვახო	ორი ინტერვიუ	„რომელი საათია, კლიმ?“	სასაფლაოს დარაჯი	„ახალ სამყაროს ქმნი“	მინერვა ჯონსი
II	III	VII	X	XIII	XIV	XV

იქნებ მკითხველს წაადგეს

ოთარ ჩხეიძის ეს მცირე რეცენზია ვახტანგ ჭელიძის სამ თარგმანზე — ჯონ სტაინბეკის რომანი „ტორტილა ფლეტი“ და არტურ მილერისა და ტენესი უილიამსის პიესები („ყველა ჩემი შვილია“ და „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“) — სასწრაფოდ დაინერებოდა როგორც ოფიციალური წარდგინება ივანე მაჩაბლის პრემიის მოსაპოვებლად.

რამდენიმე წლის წინათ მთარგმნელობითი ალმანახი „ხომლი“, რომელსაც ვახტანგ ჭელიძე რედაქტორობდა, განიზრახავდა ამ პრემიის დაარსებას, მაგრამ ალმანახის გამოცემა რომ შეწყდებოდა, ეს ჩანაფიქრიც ჩაიშლებოდა. ახლა კი, 1978 წლის დასაწყისში, მთარგმნელობითი კოლეგია, ოთარ ნოდის თანხმობით, გამოიჩინა თაოსნობას და კიდევ მოიპოვებდა ამ უფლებას — ორ წელიწადში ერთხელ დაერეგისტრირა დიდებული მთარგმნელის სახელობის ჯილდო.

დებულება ითვალისწინებდა, რომ მთარგმნელს ეს ჯილდო მიენიჭებოდა არა საერთო დამსახურებისათვის, არამედ — ბოლო წლების ნამუშევართათვის.

ვახტანგ ჭელიძეს აღმოაჩნდებოდა ასეთი ნიმუშები, მიუხედავად იმისა, რომ იმუშავდა „ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე“ იყო გადართული მთელი არსებით — მისი დაუმცხრალი ენერჯია თარგმანებსაც განუდებოდა, მაგრამ დაეჭვებით კი შეხედავდა ამ მოთხოვნას, პიროვნების ადრინდელ ღვაწლს სრულიად რომ არ ითვალისწინებდა.

თვით ნობელის პრემიას — აღიარებულს მთელს მსოფლიოში — ანიჭებდნენ კერძო თხზულებისთვისაც და საერთო დამსახურებისთვისაც და მაჩაბლის პრემია ვითომ რა იყო ამისთანა, მარტოდენ ბოლო წლებით რომ იზღუდებოდა?

დაეჭვების საფუძველს ისიც აძლევდა, რომ სწორედ იმხანად მწვავე ინტრიგები იხლართებოდა მის წინააღმდეგ — როგორც მთარგმნელისაც და როგორც ვახტანგ ჭელიძისა. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორისაც, მაგრამ ვახტანგ ჭელიძე ჩაშლიდა ამ კამპანიას და მწარედაც აზღვევინებდა ნამომწყებთაც და მონაწილეთაც, ოთარ ნოდისაც რომ აღმოჩნდებოდა მათ შორის, თუმცა თავგამოდებით ირწმუნებოდა: უნებურად მოხდა მათთან ჩემი დაკავშირება, არ ვიცოდი, ბატონ ვახტანგს თუ უნებურად მზაკვრობას, და გამოირკვა თუ არა ყველაფერი, მაშინვე გამოვეცაღეო.

ასეა თუ ისე, ვახტანგ ჭელიძეს მოეპოვებოდა პრემიაზე წარსადგენი, თანაც არაერთი თარგმანი, და ახლა საჭირო იყო სარეკომენდაციო სტატია თუ ოფიციალური რეცენზია, რომლის დაწერასაც ოთარ ჩხეიძეს სთხოვდა და ისიც სამივე თარგმანს რომ შეაფასებდა, ბოლო წლების მონაპოვარს ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნებაში,

ნიშანდობლივად და სათვალსაჩინოდ განიხილავდა ტენესი უილიამსის პიესას „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“.

თვითონ გულს აკლდა: დრო რომ მქონოდა, უფრო საფუძვლიანადაც გავეანალიზებდი და თანაც არამარტო ერთს, არამედ სამივე თხზულებასო, — მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა: საკანცელარო საბუთად ხომ იკმარებს და მეტი დანიშნულება არცა აქვსო.

ცხადია, ასე სულაც არ არის და ეს მცირე სტატია თავისთავადი კრიტიკულ-ესთეტიკური ღირებულებისაცაა; ამიტომაც არ იყო ჩასატოვებელი მის არქივში და აუცილებლადაც დაისაჭიროებს ყველა მკვლევარი, ვინც თარგმანის ზოგადთეორიული საკითხებით დაინტერესდება ანდა უშუალოდ ოთარ ჩხეიძის ღვაწლის შესწავლა-წარმოჩენას მოინდომებს ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის კვლევა-თარგმანის სფეროში.

და, რასაკვირველია, ვახტანგ ჭელიძის მთარგმნელობითი დამსახურების გააზრებისასაც მოიხმობენ, თუმცა საამისოდ უპირველესად გამოიყენებენ ოთარ ჩხეიძის ვრცელ და მრავალმხრივ მნიშვნელოვან ესეის „ალორძინება შექსპირისა“ (ლიტერატურული ესეებისა და პორტრეტების კრებული „რკალი“, 1986), რომელშიც ვახტანგ ჭელიძის ლიტერატურული პორტრეტი შესაშური სიზუსტითა და შთამბეჭდაობითაა გამოკვეთილი.

ვახტანგ ჭელიძის ის ნამიერი ეჭვი თუ შეფიქრანება არ გამართლდებოდა და მთებერვალს ივანე მაჩაბლის პრემიის პირველ ლაურეატთა სია რომ გამოქვეყნდებოდა, მათ შორის, მისი გვარ-სახელიც აღიბეჭდებოდა.

...ისე რაც გინდა თქვი და, კაცს კლასიკური ბიოგრაფიული რომანი ჰქონდეს შექმნილი ივანე მაჩაბელზე, ქართულად აემეტყველებინოს უილიამ შექსპირის ცხრა — თვით მაჩაბელზეც მეტი — ტრაგედია და კომედია, ჯონ მილტონის ეპიკური ქმნილებანი „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“ და... ივანე მაჩაბლის პრემიას კი ტენესი უილიამსის პიესისათვის ანიჭებდნენ!.. ოფიციალურად ასეა გაფორმებული და...

თუმცა ამას ვილა ჩივის, როდესაც შეიძლება სულაც ამ ჯილდოს გარეშე დაეტოვებინათ.

რა — ცოტა ვიცით ამისთანა მაგალითები საბჭოთა ეპოქიდან თუ... ჩვენი დღევანდელიდან მოვისაკლისებთ?!

როსტომ ჩხეიძე

ოთარ ჩხეიძე

ახალი თარგმანები ვახტანგ ჭელიძისა



ვახტანგ ჭელიძის ახალი თარგმანების გამოქვეყნებას ცხოველი ინტერესით შეეგება ქართველი მკითხველი. ეს ბუნებრივიცაა, ვახტანგ ჭელიძე ჰო ნაცადი მთარგმნელია, დაჯილდოებულია საუკეთესო მხატვრული გემოვნებითა, იმ-ვითი შრომისმოყვარეობითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძობითა ქართველი მკითხველისადმი, ქართული კულტურისადმი, რისთვისაც იღვწის თავგამოდებითა და თავდადებითა.

ეს ახალი ამბავი არ არის, ეს უკვე ცნობილია და დადასტურებულია მისი მრავალი თარგმანითა თუ ორიგინალური შემოქმედებითა.

და საგულისხმოა, მაჩაბლის პრემია რომ ძველი ამბავი იყოს, უკვე „რომეო და ჯულიეტას“ თარგმანი აღინიშნებოდა ამ პრემიითა; საგულისხმო ისიცაა, რამდენჯერმე რომ შეიძლებოდა ერთიდაიგივე პიროვნებისადმი, მას მერე „მეფე ლირის“ თარგმანი დაიმსახურებდა იგივე პრემიასა, ფოლსტაფის ციკლის პიესებიც დაიმსახურებდა, „დაკარგული სამოთხის“ თარგმანიცა, ჰემინგუეისა და სელინჯერის ნაწარმოებთა თარგმანებიცა, მეტისმეტი თუ არ იქნებოდა — სხვა თარგმანებიცა და რაღა თქმა უნდა ვახტანგ ჭელიძის მშვენიერი მონოგრაფიაც „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ აღინიშნებოდა ამ პრემიითა.

ეს ყველაფერი განვლილი ღვაწლია.

მაჩაბლის პრემია ახალა დაწესდა და პრემიის პირობებში ისიცაა აღნიშნული, ბოლო წლების ნაშრომები უნდა წარდგინდესო. ვახტანგ ჭელიძე მზად აღმოჩნდა ამისთვისაცა და სწორედაც რომ ბოლო წლებში გამოქვეყნდა ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეტისა“, არტურ მილერის „ყველა ჩემი შვილია“ და ტენესი უილიამსის „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“ მისეული თარგმანები და სწორედაც რომ ამ თარგმანებმა გამოიწვია კიდევ და კიდევ ცხოველი ინტერესი ქართველი მკითხველისა, — ჯერ მკითხველისა, ხოლო მილერისა და უილიამსის დრამები ქართულ სცენაზედაც რომ განხორციელდებოდა, შთაბეჭდილება იმატებს მეტად, უფრო მეტად, რადგან პიესები, რაც უნდა იყოს, თეატრისათვის ინერება, პიესის სიცოცხლე თეატრი გახლავთ.

ვახტანგ ჭელიძის თარგმანები ადრეც დაიდგა ქართულ სცენაზედა, — ეს იყო „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“, — და მაყურებელი მაშინვე მოიხიბლა დიალოგის აგების ხელოვნებითა. აქ არ განვმარტავ რაღა თქმა უნდა, შექსპირი რომ არის დიალოგის სწორუპოვარი ხელოვანი, და არც იმას მოვყვები, თარგმანში რომ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს, არა, არ მოვყვები რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმას აღვნიშნავ და მაკეთოდ აღვნიშნავ, რომ ეს დრამები, არტურ მილერისა

და ტენესი უილიამსის დრამები, ვახტანგ ჭელიძის ხელში რომ გაუვლიათ, აღვსებულა ქართული სულითა, იკითხება როგორც ქართული დრამები, წარმოგვიდგება ქართულ ნაწარმოებებადა, ავტორები რომ გადაშალოთ, მოქმედ პიერებსაც რომ შეუცვალოთ სახელები; ანთუ რაო, რა შეცვლა უნდათ, — იმდენი უცხო სახელი შემოსულა ჩვენში.

ვახტანგ ჭელიძის თარგმანები განცდილია ხელახლად, ხელახლადაა გადატანილი პროცესში შემოქმედებისა, ხელახლადაა გადამუშავებული თუ შექმნილია ხელახლად, ამიტომაცაა ასე ბუნებრივი, ესოდენ უშუალო, ესოდენ მახლობელი, ამიტომაცაა, რომ უაქცენტოა მისი თარგმანები, თავისუფალია უცხოური აქ-

ცენტებისაგანა.

საამისო მაგალითების მოტანა რომ მოვიდომო, უნდა გადმოვიწერო, ამ შემთხვევაში, ორივე დრამა და რომანი ჯონ სტაინბეკისა „ტორტილა ფლეტი“, — მშვენიერი რომანი, თავისებური, ორიგინალური ქმნილება და მართლაც მთელი თავისი ორიგინალობით, მთელი თავისი თავისებურებით გადმოღებული ქართულად, — მთლიანად უნდა გადმოვიწერო მთელი და მეტისმეტი იქნება რაღა თქმა უნდა, არც მოვიწოდებ რაღა თქმა უნდა, ხოლო ნიმუშს მაინც წარმოვადგენ, შედარების ნიმუშსა, დიალოგის ნიმუშსა, სანთლით არც მოვძებნი, რაცთუ ხელთ მომხვდება უცაბედადა, იმას წარმოვადგენ, მაგალითად უილიამსის „ორფეუსიდანა“:

Val: ... the hauks don't catch then, don't see them up there in the high blue sky near the sun!

Lady: How about in grey weather?

Val: They bly so high in grey weather the goddam hawrs wouls ger dizzy. But those little birds, they don't have no legs at all and they live their whole lices on the wing, and sleep on the wind, that's how they sleep at night, they just spread their wings and go to sleep on the wind like other birds fold their wings and go to sleep on a tree... They speal on the wind and... never light on this earth but one time when they du!

Lady: I'd like to be one of those birds.

Val: So'd I like to be one of those birds;

ქართულად ეს ასე გადმოდის:
ველი: ...ქორისათვის მიუწვდომელია — ვერა ხედავს მალა, ცაში, მზის სხივებში მქროლავს.

ლეიდი: ღრუბლიან ამინდში?

ველი: ღრუბლიან ამინდში კიდევ უფრო მალა აიჭრებიან ხოლმე, წყეულ ქორს იქ რა უნდა! ფეხები სულ არა აქვთ ამ პანანინა ჩიტებს, მთელ სიცოცხლეს ფრთებზე ატარებენ, ქარზე სძინავენ; სხვა ფრინველები ხომ მოკეცავენ ხოლმე ფრთებს და ხეებზე მოიყუებებიან, ესენი გაშლიან ღამით ფრთებს და ქარია მათი საწოლი, ქარზე სძინავენ. მინაზე არც ეშვებიან — როცა მოკვდებიან, მაშინ ჩამოცვივიან ხოლმე.

ლეიდი: ნეტავი მეც ის ჩიტი ვიყო...

ველი: მეც რამდენჯერ მინატრია...

და ასე შემდეგ, ანთუ თავიდანვეც რომ დამეწყო სულერთია, თარგმანი ღირსეულადაა შესრულებული, ისე ღირსეულადა, თვით ეს პატარა მონაკვეთიც, ეს პატარა დიალოგიც უკვე ხასიათებს გამოგვიხატავს.

და საერთოდ სამივე ეს ნაწარმოები, სამივე ეს ახალი თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა წარმოგვიდგენს სამი ამერიკელი მწერლის თავთავისებურ სამყაროს, თავთავისებურ დამოკიდებულებას გარემოსადმი, საზოგადოებისადმი, თავთავისებურ სოციალურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და მხატვრულ-ესთეტიკურ სახეებსაც თავთავისებურსა. ასე განსხვავებულია მისი მიდგომა სათარგმნი მასალისა თუ ავტორისადმი და ქვეშარიტი მთარგმნელ-ხელოვანის თვისებაც ეს გახლავთ.

ამიტომაცაა, რომ ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეტი“, არტურ მილერის „ყველა ჩემი შვილია“ და ტენესი უილიამსის „ორფეუსი ეშვება ჯოჯოხეთში“ ვახტანგ ჭელიძისეული თარგმანები ჩაითვლება უმნიშვნელოვანეს მიღწევათ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისა და ღირსია აღინიშნოს იმ დიდი სახელითა, მას რომ მოჰყვება შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟიდანვე, — ივანე მაჩაბლის სახელითა, მაჩაბლის სახელობის პრემიითა.

ზაალ სამადაშვილი

ჩემი მეგობარი ვასო

დაეპატივებოდა რაიმე იდეა ჩემ მეგობარ ვასოს, აღწერდა დეტალურად და მეტყობდა — აბა, იფიქრე ამაზე... რაც იმას ნიშნავდა, რომ მადლიერი დამრჩებოდა, თუკი მოსმენილს გავაანალიზებდი და შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში საკუთარ მოსაზრებებს გავუზიარებდი...

ასე მოხდა რამდენიმე თვის წინაც... იფიქრე ამაზეო, მითხრა ათასი წერილმანით გადავსებულ ძველებზე, გვერდებზე რიკულეშემოვლებულ სანერ მაგიდასთან მჯდომმა და ჩამოცურებული სათვალე საჩვენებელი თითით აინიშნებდა...


მანამდე კი, საქართველოს დამოუკიდებლობის თითქმის მეთხუთმეულობით პერიოდში კინემატოგრაფიულად დაახასიათა. ოთხად გაჰყო ეს დრო და თითოეული მონაკვეთს თავისი სახელი დაარქვა. პირველი მონაკვეთი — მუნჯი კინო, მეორე — შავ-თეთრი კინემატოგრაფი, მესამე — სამხრეთამერიკული სერიალი და მეოთხე — ჰედრო აღმოდგომის შემოქმედება...

მოვუსმინე, გავუღიმე და, ჩვეულებრივად, მახვილგონივრულობა შევუქე.

სხვა დროს, როცა სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების საკ-

ბაც; ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლები საპატიმროებში ისხდნენ, ყოფილი საბჭოთა ჩინოვნიკები მაღალ თანამდებობებს უბრუნდებოდნენ, ერთნი შიმშილობდნენ, მეორენი დიეტებით ებრძოდნენ ზედმეტ წონას, ვიღაც მეტროში ვერ ჩადიოდა ოცი თეთრის უქონლობის გამო და ფეხით მილასლასებდა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორესკენ, ვიღაც კი, რამდენიმე ათეულ ათას დოლარად ღირებულ ვაგონებივით „ჯიპებს“ დააჯირითებდა მოუვლელითა და ქარ-წვიმით გავერანგებულ, ოღრო-წოდრო ქუჩებზე. უცხო თვალი ხედავდა შეუწყნარებლობას, სისასტიკეს, გაუცხოებას საარსებო გარემოს მიმართ და თავზარს სცემდა იმის წარმოდგენაც კი, რომ ასეთი რამ მის სამშობლოშიც ხდებოდა ძალიან დიდი, ან უბრალოდ, დიდი ხნის წინათ...

რაც შეეხება სამხრეთამერიკულ სერილებს, ეგრეთ წოდებულ „საპნის ოპერებს“, იქ ფერები უხვადაა, გარემო ისეთი დამთრგუნველი არ არის, როგორც შავ-თეთრი, დოკუმენტურთან მიახლოებულ კინოში, მაგრამ მაყურებელი ამჩნევს, რომ ბევრი რამ მიჩქმალულია, მთავარი გმირები იოლად იმარჯვებენ ბოროტებაზე, რომ-



უთარ ესკიზებს მაჩვენებდა, ანდა დედაქალაქის რატუშის წინ მაგნოლიების დარგვასა და გახარებაზე მესაუბრებოდა და ჩემ დაინტერესებასაც ცდილობდა, ასე არ დაეყოქილვარ. გონებაში კარგად ჩაენებქდე ეს დახასიათებები და დღე არ გამილევია ისე, რომ სულ ცოტა, ოცი-ოცდახუთი წუთი არ დამეთმო განმარტებების ძიებისთვის.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მივხვდი, რომ თავისთვის ძალა უნდა დამეტანებინა და უახლესი ისტორიისთვის გარეშე დამკვირვებლის, მიუკერძოებელი მაყურებლის თვალით გადამეხედა...

მუნჯი კინო ქმედებებზე აგებული, ეკრანიდან სიტყვა არ ისმის; რას განიცდის, რა უნდა და რას აპირებს ესა თუ ის პერსონაჟი, სახის გამომეტყველებით, შესტიკულაციით, მოძრაობით უნდა მივხვდეთ. ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი პერიოდი — თითქმის უწყვეტი მანიფესტაციების, ჯგუფური შეტაკებების, შეიარაღებული გადატრიალების, სამოქალაქო და სამამულო ომების ხანა, სავარაუდოდ მუნჯ კინოსავით აღიქმებოდა გარესამყაროს მიერ. მოჩანდა ზღვასავით ატორტმანებელი ხალხის მასა, დროშები, ტრანსპარანტები, ჰაერში აღმართული მუშტები, ცეკვა, ცრემლებით სავსე თვალები, ტრასირებული ტყვიების უგრძესი ზოლები ღამეულ ცაზე, გვერდებზე მყვანეტი ტანკები ქალაქების ქუჩებში, ფანჯრებზე გამომწვარი სახლები... და გამოცდილ, მრავლისმნახველ მაყურებელსაც გაუჭირდებოდა იმის ამოცნობა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ესა თუ ის ქმედება, რისკენ მიისწრაფოდნენ პერსონაჟები.

მუნჯი კინო შავ-თეთრმა ჩაანაცვლა, გაჩნდა სიტყვაც, თითქოს გაიოლდა ამოცანა აღქმისა და განზრახვათა ამოცნობის თვალსაზრისით; მაგრამ კონტრასტულობის მოთხოვნილებამ, შეუძლებლობამ თუ უარის თქმამ სხვა ფერების გამოყენებაზე, შავისა და თეთრის გარდა, კვლავ ძალაში დატოვა სირთულე. მკვეთრად კონტრასტული იყო პოლიტიკოსების რიტორიკაც და თავად ცხოვრ-

ლის დამარცხებაც გაცილებით ძნელია და არცთუ იშვიათად შეუძლებელიც კი რეალურ ცხოვრებაში...

ჰოდა, ასპარეზზე გამოდის რეალობა... უსწორებ მას თვალს და ირკვევა, რომ ოკუპაციის მუზეუმს ვერ გაუქრია სტალინისკენ და ზოგადად, ყოვლისშემძლე, მოძალადე ბელადებისკენ ლტოლვა, რომ უნივერსალური, საკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა ბოლომდე გაუაზრებელი, ყასიდად დეკლარირებული განაცხადი უფროა, ვიდრე მიზანი, რომლის მისაღწევადაც უარს იტყვი ისეთ უღირს საქციელზე, როგორც კოლაბორაციონიზმი, დამპყრობელთან თანამშრომლობა. აღმოდგომისთანავე ხომ ასეა — ჩაცდები თუ არა ზედაპირს, გაარღვევ თუ არა გარსს, ხილულისგან განსხვავებულ, საპირისპირო სამყაროში ამოყოფ თავს და დაინახავ, რას ამოძრავებს ადამიანს — კაცს თუ ქალს, მდიდარს თუ გლახაკს, გონიერს თუ ბრიყვს, ძლიერს თუ უმწევოს...

აღმნიშნებს შორის ურთიერთობა სხვადასხვანაირად მყარდება და სხვადასხვანაირადვე ვითარდება. შინაგანი სიახლოვე ვახოს, მხატვარ ვახტანგ რურუას მიმართ ჯერ კიდევ მაშინ გამიჩნდა, როცა მის მიერ გაფორმებული წიგნები დაფურცლდნენ ვიკითხე და ტექსტთან ერთად მისმა ილუსტრაციებმაც შემიქმნა წარმოდგენა ავტორებზე, რომელთა სამყაროებიც რბილ თუ მაგარყდიან, მრავალგვერდიან თუ თხელ გამოცემებში იყო მოქცეული...

ბლუზ პასკალის „აზრების“ კითხვისას თვალწინ მედგა ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი მაღალი შუბლითა და მეტყველი თვალებით, რომელსაც გრძელი, დატალღული თმა შავი კამზოლის დიდ, თეთრ საყელომდე წვდებოდა. გურამ დოჩანაშვილის „სამოსელ პირველს“ კი, მოხეტიალე ცირკის ჯამბაზივით ორსახოვანი, ხან მხიარული და ხან ნალვლიანი ნიღბით აღჭურვილი კაცი მიყვებოდა, ხელში ძაფვამობული ბუშტივითა და თავზე კონუსისებური, ფერადი რომბებით აჭრელებული

ჩაჩით...

თავად ვახო რომ გავიცანი, ისეთი შეგრძნება დამეფულა, როგორც ბავშვობაში, როცა დიდი ბიჭისგან ყურადღებას და კეთილგანწყობას ვიგრძნობდი, თანაც ისეთისგან, ვის გვერდით ყოფნა და საუბარი დიდ პატივად მიმაჩნდა...

მთელი ცხოვრება ჩემზე უფროს ხალხთან ვმეგობრობ და მათთან არც ადრე მქონია და არც ახლა მაქვს ხშირი — ყოველდღიური, ან ყოველკვირეული ურთიერთობა; ხანდახან თვეები გადის და ერთმანეთს ვერ ვხახულობთ, თუმცა, სამი, ან ოთხი თვის თავზე რომ შევხვდებით, გვგონია, წინა დღეს შეწყვეტილ საუბარს ვაგრძელებთ და სასმელიც გუშინ ნაყიდი ბოთლიდან უნდა ჩამოვისხათ ჭიქებში... სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცები დღესაც ბიჭებივით არიან — ცნობისნადილით შეპყრობილები, დაუდევარები, ახალ-ახალი გატაცებებისთვის მუდმივად მზადყოფნაში...

ვახოც ასეთი იყო. ის სულ ახლახანს, მაისის თვეში გარდაიცვალა... ბოლომდე ვერ შევასრულე მისი დავალება, ვეღარ მოვასწარი მომეთხრო, როგორ წარმოვიდგინე უახლესი ისტორიის მისეული კლასიფიკაცია, ვეღარ მოვისმინე შენიშვნები, რომლებიც აუცილებლად ექნებოდა და თანაც მრავლად... უიმედოდ მომენატრება საუბრები მის სახელისნოში, მისი ლექციისმაგვარი მონოლოგები ვინ მოთვლის, რაღაზე არა და, რა თქმა უნდა, ხრინჭარეული ხმით წარმოთქმული, თითქმის ყველა მონოლოგის დამაგვირგვინებელი ფრაზა — აბა, იფიქრე ამაზე...

ჰაუკთან და კუნდერასთან ერთად...

ოცდაორი ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი „სასწორებისთვის“: „ახლობლისგან საიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებთ, რაც თქვენს შეხედულებებს კარდინალურად შეცვლის“.

ჰრაბალის კითხვა ოცდაორში დავასრულე. დავხურე თუ არა წიგნი, ვიგრძენი, რომ ჰაუკთან და კუნდერასთან ერთად კიდევ ერთი მეგობარი შევიძინე ჩემ მწერლებს შორის. საიდუმლო ინფორმაციის შესახებ — აღმოჩნდა, რომ ის, რაც მე ამოვიკითხე რომანში „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“, ზოგიერთმა ვერ ამოიკითხა, ან ნაკითხული ვერ გამოფრა. საფუძველიც მაქვს ამის თქმისა, რადგან იმ აუდიტორიაში ვიჯექი, რომლის წინაშეც ერთმა მნიგნობარმა და ფრიად დაკვირვებულმა კაცმა განაცხადა — ჰრაბალის



რომანი თავგადასავალია პიროვნებისა, რომელიც გამდიდრებას და მდიდრების წრეში ტრიალს ესწრაფვის, ვისაც არაფერი აინტერესებს ფულის დაგროვებისა და ქალების დაუფლების გარდა, ვინც ნალოლიავებ ოცნებას ვერ ისრულებს, ვერ ხვდება ეგრეთ წოდებულ „მაღალ საზოგადოებაში“ და უბრუნდება მარტოობას, რომელსაც თელი ცხოვრება გაუბრძოდა... ანუ ამ ადამიანს თვალწინ გადაშლილ ტექსტში ვერ დაინახა ის, რამაც მე შემძრა და მომხიბლა, მისთვის აღმოუჩენელი და

გასაიდუმლოებული დარჩა ის, რაც ჩემთვის სრულიად ნათლად წარმოჩნდა...


ბოჭუმით ჰრაბალი მაგარი მთხრობელია, ეგრეთ წოდებულ „პაბიტელი“; ეს სიტყვა ნეოლოგიზმია და ენის დაუღლეად მორატრატე, ნამდვილ და გამოგონილ ამბების ერთმანეთში აღმრევე, ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეული ფაქტების უკიდურესად გამზვიადებულ პერსონას აღწერს. ძნელია, ცდუნებას გაუძლო და ახლადნაკითხული რომანიდან „პაბიტელობის“ ერთი-მეორეზე უკეთესი ნიმუშები არ ჩამოთვალო. ჩამოსათვლელი, იცოცხლე, ბლომად არის, მაგრამ მე ის ამბები და სურათები მინდა ჩამოვანიკნიკო, ცხოვრების ბოლომდე თუ არა, დიდხანს, ძალიან დიდხანს რომ შემორჩება ჩემ გადაცვირთულ მესხიერებას...

პირველი ის ამბავი გახლავთ, რესტორნის სტუმარი, ლამაზი, ქერათმიანი კახა გოგო ჟოლოს გრენადინს ჯერ თავზე რომ გადავივლებს და მერე დეკოლტეში რომ ჩაისხამს რომანის მთავარი გმირის — ცეროდენა იან დიტეს, იმჟამად პიკოლიკის (უმცროსი ოფიცინანტის) გამოსასარჩლებლად და ქუჩაში გასულს ფუტკრები და კრაზანები რომ დაესევინან, როგორც ყვავილს...

მეორე ამბავი პრადაში ხდება, სასტუმრო „პარიზში“, სადაც ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე პირველი საზეიმოდ სადილს მართავს და ოქროს დანა-ჩანგლით განწყობილ სუფრასთან მინვეულ მაღალი რანგის სტუმრებს არაბულ-აფრიკული კერძებით უმასპინძლებს; მთავარი კერძი შემწვარი აქლემია, აქლემში — ცეცხლზე შებრანული ანტილოპა, ანტილოპაში — ინდაურები, ინდაურებში კი, თევზი და მოხარშული კვერცხის რგოლები; ამ კულინარიული საოცრების გასინჯვისა და დაგემოვნების პროცესში ერთი ჩეხი დიდმოხელე ნეტარებისაგან კენესის, ყვირის და ცოტა ხანში, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის მსგავს მოძრაობებს იწყებს ხელებით და ფეხებით...

არანაკლებ შთამბეჭდავია მთავარი გმირის ბავშვობის დროინდელი მოგონება — ბებიაისთან ერთად წყლის ნოსქილის ზედა ნაწილში რომ ცხოვრობდა და ყოჩალი დედაბერი უჩვეულოზე უჩვეულო საქმიანობით რომ მოიპოვებდა ლუკმაპურის ფულს... გვერდით მდებარე „კარლოსის აბანოების“ სარკმელებიდან გამოსროლილ ჭუჭყიან საცვლებს რომ აგროვებდა, რეცხავდა და ჰყიდდა... ჰაერში აფრიალებულ ზედა და ქვედა საცვლებს გრძელი კაუჭით რომ ითრევდა ფანჯარაში გადაკიდებული და შვილიშვილი რომ უჭერდა ფეხებს, რათა არ გადავარდნილიყო...

სტინბექსაც გადავწყვდით თხრობა-



წყაროზე გატყდა კოკა,
ტყიდან მოისმის „კუკუ“:

გორი გასძახის ზედაზენს:
— შენ არ მოუკვდი დედაშენს!

პიკა

მტკვარმა დაიკლო, დოლარმაც: გაოცდა ამერიკა!
გაუნაწყენდა კაზინოს პოკერისტების ლიგა.
ქუჩებმა მოისაკლისეს წყვილების რომანტიკა:
ავთანდილი და ავთო და თინათინი და თიკა.
ვერ განასხვავა თამადამ ბელზებელი და ჭინკა,
ნახევრად ცარიელი და ნახევრად სავსე ჭიქა.
ქალაქმა დანაკლისების აღრიცხა დინამიკა:
სუფრას მარილი დააკლდა, თბილისს დააკლდა კიკა.
შორიდან აპროტესტებენ შედეგს მცხეთა და ძეგვი
და თბილისს – კიკა კი არა – აკლია კიკას ძეგლი.

პაატა

ცხოვრება ვინიცობაა და
ჯამია ვინიცობათა:
უფალი კამათელს აგორებს
და პასუხს მოითხოვს პაატა.
თვალეებს ვერ ვაშორებთ მონიტორს:
კითხვები პასუხებს შველიან
და პასუხს რომელიც მოითხოვს, –
ვაჟას და ნიკალას შველია.
რატომო, რატომო, რატომო? –
სად დაემალე რატომებს:
მიგინვევს სამედიცინო
და ვერკი გაგაორატორებს.
ცხოვრება აბელობაა და
ცხოვრება კაენობაა და
ხან – ქრისტე, ხან ბარაბაა და
ხან სიქსტეს საოცრებაა და
ხან ჭაბუკიანის პაა და
ხან ფალიაშვილის ფაა და
ხან ბაგრატიონთა ბაა და
აქეთ სააკაძის სპაა და
იქით ბაზალეთის ტბაა და
არაკის ვინიცობაა და –
ზვარაკი ვინიცობათა –
პასუხს ელოდება პაატა.

უზენაესმა დედამინა გამოგვიყო,
არსთა გამრიგემ იბერია გამოგვიყო,
იესომ ედემის კარი გამოგვილო,
ჭრილობიდან ისარი გამოგვილო
და, რაც გვიყო, შეცოდებისა გამო გვიყო.
აინშტაინმა კი ატომი გამოგვიყო
და ენაც გამოგვიყო.

**„ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“
გალაკტიონი**

დღესაც, ღმერთო მაღალო,
სასწაულებს ელიან...
შესდევ, აბორტმახერო:
იქნებ რუსთაველია?!

ნიკალას

ავგაროზმა გითილისმა,
შვიდი დაგიშვიდა შველი,
იყავ შვილი სიკვდილისა,
ხარ სიკვდილის შვილთაშვილი.

ბედის ვარსკვლავი

ცა ცისფერი ბრძანდება და ვეფერები,
ვაქებ, მაგრამ ვერკი გამოვეკერები.
ცას ვაქებთ და გვიხარია, მახარია,
მაგრამ ზე-ცა ცაზე უფრო მაღალია.
ცას დაკარგავ, თუ მიწაზე დაენებ,
ნეტარები უფრო მაღლა დაექებენ.
იქ მაცთური მირაჟი და ეწერია
და მალეები უფრო დაბლა ეცემიან.
მახარია, მე – კვესი და შენ – აბედი! –
ჩვენ ამ ცას და ერთმანეთებს შევებდით.
იმ შორეულ – ეკლებიან-ვარდებიან –
ნრეში ჩვენი ვარსკვლავებიც ბრძანდებიან.

სხვა კერპები ჰყავთ ახალ თაობებს:
გემოვნებაზე აღარ დაობენ.
კომპიუტერის ხანის ხარისხმა
გაათამაშა მათი ხარიზმა:

ახლა ჩვენს შორის, სიმართლე გითხრა,
ბევრმა ისწავლა საფლავის გათხრა.
ერთიც ჩალიჩობს და, როგორც მითხრეს,
ძალიან ღრმას და კომფორტულს მითხრის,
და, როცა მოვა ჟამი დამარხვის,
მიწაზე ადრე – ცრემლებს დამყრის.

ნეო

ადიდებენ ახალ ნოეს, უმღერიან ნეო-ნოეს:
ნეო-არანჭირებანი გააფორტეპიანოეს.
ვინც მგზავრული წამოიწყო, იმას მისცა ნოემ ბანი,
სათ-ნოე-ბით ჩაანაცვლა ნეო-ურნმუ-ნოე-ბანი.
ააშენა ნეო-ნოემ ნეო-ნოეს კიდობანი:
კარგი იცის ნეო-ნოემ გიდობა და გიდობანი:
მტრედიც ჰყავს და ყორანიც ჰყავს, ექიმიც და ექიმბაშიც:
წუთებსა და წამებს ითვლის მოლოდინის ეკიპაჟი.
მოელიან ახალ-ახალს, ესე იგი ნეო-ნეოს,
რათა – გადარჩენილები – შეადარონ ნოე ნოეს.
ზღვაში ვედარ დაეტევა საოკეანეო ნეო,
იქნებ ტაიტელმა ფრანგმა დაუხატოს „ნოა ნოა“?
ესეც ნეო-ნიუსია, ანუ ნეო-არაკია:
ამ მოლოდინს – ნარღვნის მეტი – არაფერი არ აკლია.

ზებრა

ბრას მირჩევნია ზე-ბრა,
ცხენს მირჩევნია ზებრა.

აღარასდროს აღარ დავიზაფრები:
დამიხაზეს, დამიხატეს ზებრები.

გადაურჩა ნითელ წიგნს და
გაიარა შავი სია
და შავ-თეთრი რემა-ჯოგი დედაქალაქს შეესია.

გაერიდნენ ათას ურჩს და ათას ხებრეს:
ალაგ-ალაგ ჩემი ქუჩაც გადაზებრეს.

აღარც ზოოპარკში წავალ,
ვერც მენავე – აფრის კაცი –
გამიტყუებს აფრიკაში.

ზოლების აპლიკაცია,
ზონების ფაბრიკაცია –
გვაზღვევს, ამათი სავანე სფინქსების აფრიკაშია.

მეც მაზღვევს და ჭრელაჭრულა სხვა არ დამიხსომებია,
ჩემი მომწონს, ჩემსას ვაქებ ტრაფარეტებს ზოლებიანს.

ვერასოდეს გამასახლებს ამ ქუჩიდან ალერგია:
ალაგ – თეთრი, ალაგ – შავი ალაგ-ალაგ ალაგია.

თანდათან მრავლდებიან და თანდათან მეორდებიან
და გარეთ ჩემი ზებრები მელიან-მელოდებიან.

ვესალმები და ვულიმი ყოველდღე პირგაბადრული,
გვერდს ვერასოდეს ავუვლი: გამიბრაზდება პატრული.

ისე ვჩქარობ, თითქოს დამრჩა ორიოდ წამილა და
ისე მიხარია, თითქოს ფიროსმანმა დამიხატა.

სებრო! სებრო!
ყველაფერი მევალება ზებრისებრი,
ზებრებს – ჩემი პრიზები და ზეპრიზები!

მივიღვარ და ქუჩა-ქუჩა, ქალაქ-ქალაქ
მივიმღერი: გენაცვალეთ ალაგ-ალაგ!

მე გურული მიყვარს ოდა,
აქ ჩემი გზა მოდიოდა,
მასსოვს ბევრი კორჩიოტა
და იები ცოტა-ცოტა.
აქეს ქოხი მდაბიოთა,
მეც წამომცდა ოდის ოდა:
აქ ოდესმე თერთმეტი წლის
დედაჩემი ცრემლოდა.

ისევ ვან გოგი

ჩვენც ჩვენი კერპი გვაფრთხილებს
კერპების ვერანდებიდან,
ჩვენ ჩვენი დაბალანსების იმიჯებს ვემსახურებით:
აქეთ ყურმოჭრილ ნაგაზებს გზადაგზა ვერიდებით და
იქით სპილოებს ვამხნევეთ: არ ჩამოყაროთ ყურები!
ამოდ: ყველა მემკვიდრე თავის ჭკუაზე დაგვიდის,
ყურებზე ხახვი დაგვაჭრეს: ნარჩენებს თვითონ დაგვიტო, ცირკები ისე დაგვიდგეს, როგორც კვანტები დაგვიდეს,
ყურუმსალბებმა დაგვიგდეს, ყური არავინ დაგვიგდო.
ყური არ გააბარტყუნეს და აღარც გამოიბერტყეს,
დემონი – დემონს, სატანა სატანას გადაეკონა,
ჭორები ისე მომრავლდნენ, როგორც ეჭვებმა იბარტყეს:
მხატვარმა ყური დაგვიგდო და ჩვენ მსტოვარი გვეგონა.

თუ ვალუტა გიჭყავის, დაგაზე და ბასტა! —
ოლიგარქებს – ლამაზებს – წულარ დაეჭყანები,
შეხე: აუქციონზე როგორ გადაფასდა
კლეოპატრას ქოშები და ვან გოგის ჯღანები.

სტალინი, სტალინმა, სტალინს

სტალინმა აკრძალა ზარები და მეზარეები,
სტალინს წაეშველენ მეორეები და მესამეები.
ზარები არა აქვთო ებრაელებს,
მაგრამ ებრაელს ებრაელი ებრალებს.
ზარები არა აქვთო მაჰმადიანებს,
მაგრამ მათი ჩარხი წაღმა ტრიალებს.
სტალინმა გადაადნო ზარები და გაპარსა მეზარეები,
სტალინი არა მარტო ამის გამო მეზარება.

პა-კე-პი-კო-კუ

სტალინს მოუკვდა კეკე,
თბილისს მოუკვდა კიკა,
სამართალს ეძებს კაკო,
მამისმკვლელს ეძებს კოკო,
აკაკის ერქვა კაკი,
ტუზმა დაირქვა კიკო,
შელის თარგმნიდა კოკი,
მილანს გაექცა კაკა,
ზღვაზე დაბერდა კუკი,

გემოვნებაზე აღარ დაობენ, მილიარდებზე დაბლატაობენ. შენ კი, ყოველდღე რომ არ იდაო, დაგმიძიმდება ქვა საჯილდო და ჩრდილიც აღარ დაგემონება, თუ ვერ მოასწრე დაგემოვნება.

ხილთა ქება

უცებ აფეთქდა ატამი, ნუშმა დაასწრო ალუჩას, ბალი ალუბალს ჩამორჩა, ვაშლს კარგი პირი არ უჩანს. ჭერამი წამოგენია, უნაბო, ნუ შეშინდები, კომშებმა წაიფორხილეს, დანინაურდნენ შინდები. კაკლებმა მოიგერიეს ქარები სახიფათონი, კვლავ ტყეში პანტას დაეძებს თურაშაულის პატრონი. ნაბლებმა თავი დახარეს მუხებთან, როგორც მოგვებთან, პაპის ნაჭამმა ტყემალმა კბილი შევილიშვილს მოკვეთა. ვაზმა ასკილი აძაგა, თუთამ გაკიცხა ანჩარი, და, თუმცა ემუქრებოდა ბრონეულების ხანძარი და უმონყალოდ არხევდა აკაციების ნიაფი, - დამნიფდა, დაიბინდა და გამოქლიაფდა ქლიაფი.

ჩა-ჩა-ჩა

ჩუმ-ჩუმად რომ ჩაჩჩოჩეს, მხოლოდ მხრები აიჩჩა, ხელი არ გაუძრევია, მხოლოდ მხრები აიჩჩა, სიტყვაც არ წამოსცდენია, მხოლოდ მხრები აიჩჩა, ჩოჩორო რომ დაუხატეს, ჩარჩოში რომ ჩაუხატეს და ჩერჩეტა ჩარჩებმა რომ ჩიჩილაკთან აჩალიჩეს და ჩანჩურა ჩიჩერონემ ჩეჩნეთისკენ მიაბრუნა და ჩონჩხების ჩაჩაჩა და ლამბადა რომ მოელანდა, - ღმერთი, რჯული! — მხოლოდ მხრები, მხოლოდ მხრები აიჩჩა.

შამოდგომის მოტივებიდან

მამრი დგას და მამრის ჩრდილი მოდის, მდედრი დგას და მდედრის ჩრდილი მიდის და ლანდების საზიარო მოდელს ათამამებს ვნება მიცემითის. მონეული შემოდგომა ცდილობს, მოგვასალოს ექვსი ექსტრა ფერი, ხოლო ჩასკვნილ-ჩანყვილებულ ჩრდილებს ველარ თიშავს ვნების სექსტემბერი.

ერთსაც გეტყვი სავალალო-სასერიოს: რუსთაველზე აღარავინ დასერიობს. ჩეროები ლაგდებიან უჯრედებად, აღარავინ აღარავის უჩერდება. არვინ ცდილობს, აქვე ხნას და აქვე თესოს, ლამის შოთაც ჩამოხდეს და აგვეთესოს. იქ კი, სადაც ყანელების სარდაფია, ლარებიდან დოლარებზე გადარბიან. გადარბიან რეკლამა და ათი ნული, ფიროსმანის აბრებს უტევს ლათინური. შრიალებენ ხენი სამარადისონი, ალა-მაჰმად-ხანივით დგას „რედისონი“. დგას ქაშვეთიც, ახარისხებს რიტუალებს, ყველა გარბის, ვისლა დაარეტიანებს. გარბის, როგორც პეღე ანუ მარადონა, უცნობების გამზირი და მარათონი. მიაჩქარებს წამი შინ და წამი გარეთ, მეც თქვენი ვარ: წამიყვანეთ!

გარისკა კაცობრიობამ და სული ეშმაკს მიჰყიდა: შეძვრა და ველარ გამოძვრა კომპიუტერის ციხიდან. ვერ მოიგერა ვირუსი, ვერ მოიხადა სახადი, ჩააქრო პეიზაჟი და გამოართო გადასახედი. ტელევიზორიც გათიშა, წიგნებიც დააყადალა, ძმაკაცებს დაეკარგა და ძმასაც... მაგრამ ჯერ სადა ხარ? ლაშქარი მესიჯებისა - ესემესების მხედრონს - ალაითებს და აძალებს - წავიდეს, გადაეთიოს. თვალების ტირაჟები კი მონიტორს მიწებებია და ინტერპოლის საიტზე ამაოდ იძებნებიან.

გედებს თვალი მოჰკარი და დაგავინყა გედმა სნება, ყველამ პირი მოგარიდა, ახლა ყველა გეტმასნება. ვერ მოგვარდა მოგვარეთა შეზავება ერთ არსებად და, ვინც თვალი მოგარიდა, სწორედ იგი გეტმასნება. აი ფოტოც: გულხათრიანს ალბათ გულმა გიკარნახა:

თითქოს ძალით მიგათრიეს: იქა ხარ და იქ არა ხარ. დრო ყველაფერს აჯეროვნებს, კარგად იცის მონილემაც: უყვართ მიქელანჯელოებს ზედმეტების მოცილება.

ღული

რომელიღაც რომელიმე რომელიღაც რომელსამე გაუბრაზდა: — უღიმელოდ გუშინ რატომ მომესალმე? იმან: — ბევრჯერ გამიღიმე, ბევრ სიხარულს დამასწარი, მაგრამ გუშინ ეგ სალაში ტყვიასავით დამასწარი. ხვალდან კი ეგ სალაში, შე ძველო და არ-ახალო, აღარასდროს დამასწრო და აღარასდროს დამახალო.

მისას ფანჯარა

მიქელანჯელოს მემკვიდრეს ვერასდროს ვერ დავივინყებ: კაპელასავით მოხატა ოთახი მისა ქვლივიძემ. უფალო, ვინსენტ ვან გოგის შთამომავალიც დალოცე: ნითელ-ყვითელი ფანჯარა აყვირდა საბურთალოზე და ახლა ალექსანდრიის შუქურასავით დაეძებს იმას, რომელიც დაეცა, ან — შეიძლება დაეცეს. გამოიღვიძა კვარტალმა ასების ასლამაზივით და გამოფხიზლდა ერთბაშად მონოტონური მასივი: ადგილის დედა დავლოცეთ კონიაკით და საკეთი: ერთოთახიან სამოთხეს არ დაედება საკეტი. ასეთი გახლავთ განზრახვა მარტოკა მობინადრესი: დღეიდან არცერთ მადონას არ შეეშლება ადრესი. ჩემი მორჩილი თარიღიც აქ უნდა გადამიხადო და წერილებიც გავცვალოთ, ჩემო მისა და მისაკო. რამდენიც გინდა დალიე და ბახუსს ნიშნი მიაგე, საკუთარ სახლს და ფანჯარას აუცილებლად მიაგნე.

ა! ი!

ა-ნთოლოგია ი-ნიცილებლისა

ჭავჭავაძე ა!
ჭავჭავაძე ი!
წერეთელი ა!
ევდოშვილი ი!

აბაშელი ა!
გრიშაშვილი ი!
მაშაშვილი ა!
მოსაშვილი ი!

კალანდაძე ა!
აბაშიძე ი!
საჯაია ა!
ნონეშვილი ი!

ჭილაძე ო?



დასასრული

მისთვის გამოტანილ მაგიდასთან მჯდარი...

მანამდე მეორე მსოფლიო ომი და ჩეხეთის ოკუპაციის ამბებია... ლიხას ვეცნობით, ფიზიკულტურის მასწავლებელ გერმანელ ქალს, რომელიც ომამდელი პაემნების გიჟურ ვნებებთან თანდათან კარგავს და ნაცისტური პროპაგანდით მოწამლული, ვაგნერის ფირფიტებს უსმენს ქმართან დაწოლამდე. დიადი მიზანი ამოძრავებს — ღირსეული შთამომავლის, ნამდვილი არიელის ჩასახვა...

ბოლოს კი, ესთეტიკისა და ფრანგული ლიტერატურის ცალთვალა პროფესორი, რომელიც მასავით იძულებით დასაქმებულ ლამაზ, მაგრამ უბირ გოგო მარცვლას და არანაკლებ უბირ ყოფილ მილიონერს ფოლოსოფიასა და პოეზიაზე ესაუბრება; ღყის ჭრიდან დაბრუნებულებს ლექსებს უკითხავს და ირწმუნება, რომ „ადამიანებს შორის უკეთესია ის, ვინც უკეთესად ახერხებს ყველაფრის გამოთქმას“...

ახლა ისიც უნდა ვთქვა, ვის შესახებ არის ეს წიგნი, ესოდენ მდიდარი არამარ-

ზაალ სამადაშვილი
ჰაზეკთან და
კუნდერასთან ერთად...

ტო ღრმა და მახვილგონივრული აზროვნების ნიმუშებით, არამედ ვიზუალურად, ფერწერულად საინტერესო, შთამბეჭდავი ეპიზოდებით. „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“ მართლაც მილიონერობის მოსურნე და ქალების მოყვარულ კაცზეა — იან დიტზე, რომელიც სულ თავიდან მოხარულია სოსისებს დაარბენინებს გასაყიდად რკინიგზის სადგურის ბაქანზე; მერე და მერე წინ მიიწევს, სულ უფრო და უფრო უკეთეს სასტუმროებში ემსახურება ერთი-მეორეზე უცნაურ კლიენტებს, კარგი მომსახურებისათვის თვით ეთიოპიის იმპერატორისგან იღებს ჯილდოს — ცისფერლენტთან ორდენს; ქალებს მოსწონთ, უმეტესად ლამაზ კახებს, თუმცა, სხვანაირიც გამოჩნდება, ფიზიკულტურის მასწავლებელი ლიხა, გერმანელი გოგო, ვის გამოც კოლაბორა-

ციონისტი ხდება უნებლიედ; ისჯება ამისთვის, თანაც ძალიან სასტიკად, მაგრამ მილიონერი მაინც ხდება; ცოტა ხნით ტკბება სიმდიდრით, რადგან მორიგი საოკუპაციო რეჟიმი, ამჯერად კომუნისტური, ქონებას ართმევს და „იძულებით სამუშაოებზე“ ამწესებს; საკუთარ თავს სწორედ იქ, მიყრუებულ და უკაცრიელ ადგილას, სრულ მარტოობაში პოულობს — სოფლისაკენ მიმავალი გზის მოხრეშვითა და ნამქერებისგან განმედიტ დაკავებულ; რაც მთავარია, ხედავს და რწმუნდება, რომ სხვებისთვის, სხვა ადამიანებისთვის არის საჭირო და თანაც ისე, როგორც არასდროს, მთელი განვლილი ცხოვრების მანძილზე...

კარგი მწერლების უმეტესობის მსგავსად ბოჰემილ ჰრაბალს დაღევა ჰყვარებია. ერთ-ერთ ფოტოზე ის ლუდხანა-

ში ზის, სავარაუდოდ მის საყვარელ „ოქროს ვეფხვში“ — სქლად ნაქსოვ პულოვერსა და ყელზე მომდგარ მაისურში გამოწყობილს წინ საგვე კათხა უდგას და გამომეტყველებითა და შესტიკულაციით თუ ვიმსჯელებთ, რაღაც ძალიან მხიარულს ჰყვება; თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ხელის ქნევით, ოდნავ მოჭუტული თვალებითა და ტუჩებზე ათამაშებული ღიმილით სევდიანი ამბის მოყოლაც შეიძლება, ისეთი სევდიანის და სულისშემძვრელის, როგორც „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“ არის...

რაც შეეხება ასტროლოგიურ პროგნოზში ნაწინასწარმეტყველებ „შეხედულთების შეცვლას“, ვფიქრობ და ალბათ დამეთანხმებით, რომ ყოველი ახლად ნაკითხული, რა თქმა უნდა ძალიან კარგი წიგნი, გარკვეულ, არცთუ უმნიშვნელო ცვლილებებს იწვევს მოვლენების ჩვენეულ, უკვე ჩამოყალიბებულ აღქმასა და მათ გაანალიზებაში...

 რაო? ვინმემუნოთ, რომ გონება აზროვნების ანტიპოლია და თანდათან სძირავს, თანდათან აკნინებს და აჩივებს მას!..

 მაშინ შოთა ჩანტლაძემ მითხრა: ხომ ასეა ფშაური წარმოდგენით, რომ ყოველ სახლს, ყოველ შენობას ფუძის ანგელოზი იცავს... ჰო, ასეა, - ვუპასუხე მე... მაშ, ცეკას შენობასაც თავისი ფუძის ანგელოზი ჰყავს და ის იცავს ამ სატანების ბუდეს?! არა, არა, - ვუთხარი მე, - მაინცდამაინც ანგელოზს ნუ დავარქმევთ, ხოლო ეგ სატანები თვითონაც კარგად იცავენ!..

 გეკითხები: რა ფერისაა სევდა? პასუხი არა გაქვს!

 „აბრაგის სიმღერა“: შედეგრი გაბრიელ ჯაბუშანურის. ძველ გამოცემებში ამ ლექსს ერქვა „აბრაგის ნატვრა“. ორივე სათაური მისაღები და კარგია... მთელ ლიტერატურულ ლექსების ციკლს გასდევს დიდი სიყვარულის ანარეკლი: პოეტს მძაფრად უყვარდა ღიღო და მეზობელი ღიღველებიც...

 ატომური ომის მოგადობელი წრე: ამ წრის ნაწილია ატომური თავდასხმით მუქარა... ამ მუქარის ეშინია იმას, ვინც ეს მოგადობელი წრე ვერ იგრძნო, ვერ დაინახა, ვერ გაისიგრძეგანა. და თვით ეს შიშიც ამაოა... უფრო საშიში კი ჩვეულებრივი, უატომო ომია: ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც მარცხდება და, ვინც მარცხდება, ვაი იმისი ბრალი!.. ხოლო ატომებით ბზრიან და სამყაროში სიცოცხლის ანულირებას შენ არავინ არ დაგაცლის, შე მართლაც ყო! ჰოდა, გინდ ატომური ბომბი გქონია და გინდ შურდული: სულერთი რამაა!.. ჭეშმარიტი სიტყვა თქვა დიდმა ამერიკელმა პოეტმა, მან ამერიკას უთხრა: უკან გაიკეთე შენი ატომური ბომბი! ეს შენც გეხება, არაამერიკელი რომ ხარ და ატომური ბომბი რომ გიდევეს სეიფში. შენც უკან გაიკეთე: შეიყვანე ეგ ნუკლიარული ფალოსი!

 ესეც მოხდა: ჩვენ ვიხილეთ პოეზიის გაუცხოება. ეხლა პოეზიას თითქმის აღარ კითხულობენ: არ კითხულობენ დიდი რუსთაველის უკვდავ პოემას, არ კითხულობენ ვაჟა-ფშაველას შედეგებს და ასე შემდეგ... შენ კი ესეც გაგვირვებია, შენს წიგნს რომ არ კითხულობენ!.. და კვლავ გგონია, რომ პოეზია შეუცვლელია სულის გადარჩენის გზაზე... ხოლო სულს როგორ გადაარჩენ, თუ წამალს არ ეზიარები?... არ მინდა სულის გადარჩენა, ფიქრობს უნიგნური ობივატელი, მე ფული უფრო მინდა!.. მაგრამ ფულს ვინ მოგაშევებს, როცა სულიც გაგექცა, შე უბედურო! ეჰ, შეაყარე კედელს ცერცვი...

 რატომ ვარდები პანიკაში სიბერის გამო? ნუთუ იმიტომ, სიკვდილი უკვე ახლოს რომ არის!.. მაგრამ სიკვდილი არასდროს შორს არ ყოფილა: ახალგაზრდობის ჟამსაც ახლოს იყო, შემდგომაც ახლოს იყო, და სიბერეშიც ახლოს არის! ჩვენს შორის რომ იყოს დიდი შოთა ჩანტლაძე, ისიც იმავს გეტყობა, რასაც მე გეუბნები: აიტანე სიბერე! აიტანე სიბერე!..

 ძველისძველი ნაწყენები: გულზე გველის ნაკბენებით...

 ლექსიკონის წრე: მალარიჩი რაღა არის?... ტომბახი!.. ტომბახი რაღა არის? ნავიდეთ წინ: ტომბახი არის მალარიჩი!

 ასე დავარქვი: „სულახალი ლექსები“. სულკალმანის შთაბეჭდილება რჩებაო, თქვენს რედაქციაში... ვამბობ: არც ეს იქნება ურიგო: სულკალმანის ლექსები...

ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაბეჭდები



 სოკრატეს უთქვამს: მე ბრძენი ვარ, ამას ვგრძნობ და ვიცი, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ჩემი სიბრძნე არაფრად არა ღირს!.. ეს თავმდაბლური, მაგრამ დიდი გულით ნათქვამი, სხვა ვარიანტით გაიმეორა მეოცე საუკუნეში სოკრატეს ალიკვალმა დიდმა ხორხე ბორხესმა: მე ვარ არავინ, მე ვარ არარა, ამას ვლაღადებ მთელი სიცოცხლე!..

 რითმით ნანვალები ლექსი! მაშ, უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ რაღაა? მოკლედ გეტყვი: გენიოსები არც რითმით და არც ურითმოდ ლექსს არ აწვალავენ! და ეს არის პოეზიის უეჭველი ბედნიერება!

 ასე ამბობდნენ: მოკვდა შესანიშნავი სწავლული, ენათმეცნიერი, გურმანი, სუფრის კაცი, ჭეშმარიტი ხევისური... მე ამას დავამატებ: მოკვდა ფოლკლორის გენია ალექსი ჭინჭარაული!

 მაო: პირწავარდნილი პლაგიატორი! პოლიტიკაში ის ბაძავდა იოსებ სტალინს, ხოლო ლექსში - ტანის პოეტებს!

 ნიკო სამადაშვილი. დაბეჯითებით ვამბობთ: დიდი პოეტი! ის პროზაშიც დიდი იყო! აი, როგორ ხატავს ერთერთ გლუხკაცს: „გლუხკაცი შინ დაცემულ ხამი ხარის ცყავიდან ამოსხმულ ჭვინტმოგრეხილი ქალამნებით, შემოფლეთილი მაზარით, გაცრეცილი ნაბდის ქუდით, ხელის-გულზე მსხვილი ბებერები რომ დაკოყრებოდა, ცერის სახსარში და ნონებში ჯაფის ოფლი რომ ჩაკვდომოდა, უხეიროთ გაბარჯლული წვერ-ულვაშით, ლაღე პაჭიჭის პაჭანაგიდან ამოჩრილი შარვლის ტოტით“... და ასე შემდეგ...

 საქართველოს დიდმა პატრიარქმა გვითხრა: უმცირესობებს ჩვენ დავიცავთ, მაგრამ ვინ დაიცავს უმრავლესობას, ანუ ქართველებს?... და იქვე გვანუგემა: უმრავლესობას უფალი დაიცავს!.. ღმერთო, აახდინე დიდი პატრიარქის სიტყვები!

 კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთერთი ბოლო შეხვედრა. მწერალმა ბრძანა: „განა საჩინო არაა ღვთის ნება?... აბა, სხ-

ვაფრივ როგორ ავხსნათ მაშინდელ უნიგნურ, ყოვლად გლუხურ ჩარგლის თემში ამხელა გენიოსის გამოჩენა!..“

 გადიან წლები: წლები ერთეული და წლები ათეული და უფრო მეტი... ბერდებიან ადამიანები. ბერდება ხეები. ბერდება ქუჩები და პროსპექტები. ბერდება სოფლები. ბერდება ქალაქები. ბერდება წიგნები... მაგრამ ხსოვნა არა ბერდება, მაგრამ ალქმის უნარი არა ბერდება და ის გვეუბნება, რომ არა ბერდება პოეზია: უსასაკოა დიდი შოთა ჩანტლაძის ლექსი...

 სამშობლოსათვის თავგანწირვის ქადილს ჯერჯერობით გმირად არავინ გაუხდია. თუმცა ესეც უტყუარი და დიდი ჭაშმარიტებაა: როცა დედასამშობლოს სიკვდილში ჩაენაცვლები!.. გმირებს მხოლოდ შესაბამისი სიტუაციები ძერწავენ. სიტუაციას ვინც ვერ შეესწრო, ის მართოდენ ქადილის ამარა დარჩა! ეს კი გმირობა არ არის!.. გმირობის წყურვილი დიადი რამ არის: ვისურვოთ გმირობის სიტუაციაში მოხვედრის წყურვილი!

 პოეტების ცოლები: დიდი მეგობრობა და შემწეობა გაუნია ქალბატონმა სარამ გაბრიელ ჯაბუშანურს, ამ ჭეშმარიტ ხევსურს, ღვინო-არაყის ტრფიალს, თანაც ჯანმრთელობადაკარგულს... ასევე ქალბატონმა ლერამ - თედო ბექიშვილს, ქალბატონმა ნანამ - მამუკა ნიკლაურს, ქალბატონმა თამარმა - შოთა ქავთარაძეს, ქალბატონმა ლირამ - ალუდა არაბულს, ქალბატონმა ნანამ - გიგი ხორნაულს, ქალბატონმა ნინომ - ალექსი ჭინჭარაულს... გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ მოკლედ მოვჭრი და ვიტყვი იმ სიტყვებს, რაც საერთოდ ქართველი პოეტების ცოლებს ეხება: დიდად გაუმართლა ჩვენს პოეტებს, ასეთი თანამომობელი და მრავლისამტანი ცოლები რომ შეხვდათ... ვთქვათ ამ მანდილოსნების სამადლობელი!

 რითმებმა გამოტოვეს სტრიქონები: რითმები დაშორდნენ ერთმეორეს... რითმა ველარ ხედავ თავის რითმას, თავის ტყუპისცალს... ეს ლექსი თითქმის ურითმოა: თეთრია, როგორც იანვრის თოვლი...

 წმინდა ვაჟა-ფშაველა ამბობს: „აბდაუბდა გადასკუპდა“... აბდაუბდა სიტყვა-მარაგობა. ყბედობის ჟინი, დაუოკარი. მავანი ჩაგვჩინებს იმას, რაც ისედაც ნათელია, რაც სხვებმა იაზრეს კაი ხნის წინ და წიგნებადაც აკინძეს... და ეხლა იმ წიგნების შინაარსს რომ ჩაგვჩინებ, ციტატებით რომ გვესაუბრები, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შენ აღმოაჩინე არა ჭეშმარიტება, არამედ - წიგნი... ხოლო წიგნის აღმოჩენა რიგით ბიბლიოფილსაც კარგად შეუძლია და რა ქნას, ამის გამო იყვიროს და ითავცემოს, რომ...

 მე დავინახე: ეს იყო ვერლიბრი: ლექსი თავისუფალი: ტერენტი გრანელის შუბლივით ფართო...

 შვილიც ეგეთი უნდა, თეტიდემ რო შვა: აქილევსი!

 სათვალავი ამერია, რამდენჯერ წავიკითხე „სოკრატეს აპოლოგია“. ყოველი ნაკითხვისას ვგრძნობ, რომ ვიცხები სოკრატეთი: ძველბერძნული აზროვნების უბრალოებით, სიცხადით, ჭეშმარიტების მოზიემე განცდით... ოლონდ, ასე მგონია, რომ სათაურიც უნდა ეთარგმნა. ვთქვათ ასე: „სოკრატეს ქება“...

 უეროვნო, უგულისყურო, უნათესავო მავანი. წარმოვიდგინოთ იპოპოსის რომელიმე ლაბორატორიაში შექმნილი ამგვარი მესია! იპოპოსი ამაოდ არ მიხსენებია: იქ დიდი ხანია, ბევრთად მიედინება ხელოვნური ადამიანის შექმნის ცდები... ატომგულის გახლეჩვის შემდეგ რაღა დარჩა? ადამიანის გულის გახლეჩა! და ესეც არ დააყოვნებს!

 ხარი, მამო რო ერქვა. ასე ვესაუბრებოდით: ჰა, მამო! ჰო, მამო! გასწიე, მამო! აგაში, მამო! ხი, მამო! ჰო-ჰო, მამო! დეგ, მამო!... და ასე შემდეგ...

 ძველი ჩინმიჩინის პოეტების უმეტესობის ბიოგრაფიები ასე მთავრდება: გარდაიცვალა უკიდურეს სიმარტოვეში და სილათაკეში... ამას არ წერენ, შიმშილით რომ მოკვდნენ: ეს ივარაუდება!

 ეკლესიასტეს გულის სიღრმე და ქვესკნელს მწვდომელი მისი დარდი: „სიკვდილის დღე სჯობია დაბადებისას“...

 მოყვასის სიყვარული იყო უპირველესი რამ, რასაც ჩინმიჩინის სამი მოძღვრება - დაოსიზმი, კონფუციანელობა და ჩანბუდიზმი ქადაგებდა. არცერთ ლიტერატურას არ შეუქმნია ამდენი ლექსი მეგობრობაზე, მეგობართან განშორების ნაღველზე, მეგობართან შეხვედრაზე, მეგობრის მონატრებაზე, რამდენიც ჩინმიჩინის პოეზიაში შექმნა... მეგობართან განშორებამ ერთგვარ რიტუალის დონეს მიიღწია: განშორებას ნაძვის მოტეხილი ტოტით გამოსახავდნენ. მოტეხილი რტო - განშორების სიმბოლო, ჩინმიჩინის პოეზიის ტრაფარეტად იქცა...

 ისეთი სიყვარული, სამწუხაროდ, სხვა დროს არ მიგრძენია, როგორც ვუყვარდი იმ ცხენს, შავრა რომ ერქვა!.. როგორც ვუყვარვარ ჩემს ერთგულ ძალს, გორდა რომ ჰქვია!.. როგორც დიდი სოკრატე იტყოდა, ჩემს ძალს ვფიცავ, არ მიგრძენია ძალის სიყვარულზე უფრო დიდი სიყვარული!

კორნიში

1951 წლის შემდეგ სელინჯერი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. მისმა რომანმა „თამაში ჭვავის ყანაში“ შოკისმომგვრელი ეფექტი მოახდინა მკითხველსა და ლიტერატორებზე. უმეტესობას საოცრად მოსწონდა, ხოლო საზოგადოების ერთ ნაწილს რომანიც ამორალურად მიაჩნდა და მისი მთავარი გმირი ჰოლდენ კოლფილდიც თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ნიგნის პოპულარობისთვის. ის თავიდანვე იქცა ბესტსელერად და რვაჯერ გამოიცა.

ნიგნის გაყიდვით შემოსულმა თანხამ სელინჯერს საშუალება მისცა, ნიუ-იორკიდან წასვლასა და სადმე მყუდრო ადგილას სახლისა და მიწის ყიდვაზე ეფიქრა. დიდი ქალაქი სავსე იყო ცდუნებებით, აქ ძალიან გაუჭირდებოდა განმარტობა და ახალ ნიგნებზე მუშაობა. ნიუ-იორკი მისთვის უკვე დამაბრკოლებელიც იყო, თავისი ლიტერატორებით, პოლიტიკის ვარსკვლავებითა და კოქტეილ წვეულებებით. იმპულსური ხასიათის გამო, ხანდახან გაუგებრობებშიც კი ხვდებოდა. დაახლოებით ისეთში, როგორც ჰოლდენ კოლფილდი. ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის რედაქტორის ცოლს, რომელიც, ალბათ, კოქტეილით გაბრუნებულმა რაღაცით საკუთარი თავი რომანის პერსონაჟ — სალი ჰეისს მიახლოებდა, წვეულების დასრულების შემდეგ მოულოდნელად ნიუ-იორკიდან გაქცევაც კი შესთავაზა. ქალბატონს სელინჯერიც მოსწონდა და მასთან საუბარიც, არც ნიუ-იორკიდან გასვლაზე იტყოდა უარს, მაგრამ არსებობდა ორი დაბრკოლება, წვეულებაზე ქმარიც ახლდა და ფეხმძიმედ იყო... თუმცა ეს სელინჯერისთვის არაფერს ნიშნავდა, მას თავისი პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის, მსგავსად მტკიცედ სჯეროდა, რომ ნამდვილად უნდოდა იმ ქალბატონთან ერთად ნიუ-იორკიდან სადმე შორს წასულიყო...

და, აი, ჰოლდენის ოცნების ახდენის დროც დადგა, ჯერმ და მისმა უფროსმა დამ დორისმა მოუხშირეს მანქანით ქალაქგარეთ გასვლას, რათა სელინჯერისთვის სამოსახლოდ მყუდრო ადგილი შეერჩიათ. 1953 წელს მწერლის არჩევანი კორნიშიზე შეჩერდა, რომელიც ერთ დროს პოპულარული კურორტიც კი იყო ნიუ-იორკის კლდეებისა და ბოსტონელებისთვის. იქ ისეთი ცნობილი სახეები ისვენებდნენ, როგორებიც იყვნენ: ისიდორა დუნკანი, ეთელ ბარიმორი, მოგვიანებით კი ვუდროუ ვილსონიც. თუმცა I მსოფლიო ომის შემდეგ კეიპ კოდისა და ჰემპტონის ახალმა ზღვისპირმა კურორტებმა კორნიშს დამსვენებელი წაართვა. 50-იან წლებში ის იყო პატარა ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდა მაღაზიები, რესტორნები, ოფისები და განვითარებული ბიზნესსტრუქტურა. სელინჯერიც, ალბათ, სწორედ თავისი მიტოვებულობით მოხიზდა, რადგან განმარტობის მოყვარული მწერლისთვის იდეალური ადგილიც კი იყო, სადაც შეეძლო, არა მხოლოდ ლიტერატორებისგან მოშორებით ეცხოვრა, არამედ პატარა მეურნეობაც ჰქონოდა, შეშა დაეჩეხა და ფეხით ესეირნა... კორნიში მართლაც საოცრად ჰგავდა ჰიურტგენვალდის ტყეს, თუმცა იქ არც ყუმბარები სკდებოდა და არც ტყვიამფრქვევები კაკანებდა. კორნიშიში საოცარი სიჩუმე იდგა, რომელიც სელინჯერს ასე მონატრებოდა. აქვე იყვნენ ბავშვები და თინეიჯერები, რომლებთან გასაუბრებაც უყვარდა; ტყიანი გორაკები, შემოდგომაზე ფერებში რომ გადადიოდა; მიწა, რომელზეც შეეძლო ბოსტნეული მოენია. ერთი შეხედვით ყველაფერი მშვენივრად ანეყო, მაგრამ მწერალს მაინც რაღაც აკლდა, არსად იყო ადამიანი, რომელსაც ეძებდა, სრულყოფილი ადამიანი...

პირველი ნაცნობა


შირლი ბლანი უინძორის კოლეჯის გოგონებს შორის გამორჩეული იყო. მასზე ბიჭები ჭკუას კარგავდნენ. ჯერი თავისი ღია ჯიპით ხშირად მიდიოდა კორნიშის მახლობლად მდებარე უინძორში, რათა გოგონები კოლეჯებს შორის გამართულ გასვლით საფეხბურთო თამაშებზე წაეყვანა. სტუდენტები ერთმანეთს ასწრებდნენ მანქანაში ჩახტობას. მთელი გზის მან-

თემურ გაბუნია

ორი ინტერვიუ

შირლი ბლანი და ბეტი ეპსი ბერი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს — ორივეს სურდა პოპულარობა, ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება... ამ მიზნების მისაღწევად კი უკვე ცოცხალ ლეგენდად ქცეულ მწერალ-განდევლისგან ინტერვიუს აღება გადაწყვიტეს... გაართვეს კი თავი დასახულ ამოცანას? ან უსამართლოდ და არაადეკვატურად ხომ არ მოექცნენ მას, ვისი მეშვეობითაც ცნობად სახეებად ქცევას აპირებდნენ?

აი, კითხვები, რომლებიც მათ მიერ აღებული ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ გვებადება...



ძილზე არ წყდებოდა მათი მხიარული საუბარი და სიცოლი. ყველამ იცოდა, ჯერი მწერალი რომ იყო, თუმცა ზოგს მისი რომანი ნაკითხულიც არ ჰქონდა. ეს არ იყო მთავარი, სელინჯერი ისედაც მოსწონდათ. მასთან თავს განსხვავებულ და თავისუფალ ადამიანებად გრძნობდნენ. შირლი ჯიპში წინა ადგილს იკავებდა, ის და სელინჯერი, როგორც ნესი, დიდხანს საუბრობდნენ. ზოგიერთ გოგონას გასვლითი თამაშის შემდეგ მშობლები რესტორანში წასვლის უფლებასაც კი აძლევდნენ. მკაცრი დედ-მამის პატრონებს, მათ შორის, ეთელ ნელსონს (სელინჯერის შვილების მომავალ ძიძას), ცოტა არ იყოს, შურდა კიდევ შირლის, რომელიც მწერალს ხანდახან არა მხოლოდ რესტორანში, სახლშიც კი მიყავდა.

ჯერის უამრავი ფირფიტა ჰქონდა, ასეულობით... არჩევანი დიდი იყო — ჯაზი, ბლუზი, კლასიკური მუსიკა... შირლის ყველაზე მეტად ჩაიკოვსკის „გედების ტბის“ მოსმენა უყვარდა და როცა გოგონებს წასვლა მოუწოდებოდათ ხოლმე, მასპინძელი იტყოდა, დარჩით, კიდევ ერთხელ მოეუსმინოთ „გედების ტბას“.

სელინჯერს ადამიანები უყვარდა, მათთან ურთიერთობა. ადამიანი რომ არ ჰყვარებოდა, ომში მოხალისედ არც წაივლიდა, საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე არ დადებდა. სრული უფლებაც ჰქონდა, სახლში დარჩენილიყო, რადგან პირველ ნაკადში ვერც მოხვდა ჯანმრთელობის არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო... თუმცა შეუპოვარი აღმოჩნდა, გულის ფუნქციონირებაში აღმოჩენილი ხარვეზი, როგორც ჩანს, არ იყო სერიოზული. თანაც ის ფაქტი, რომ ველი ფორჯის სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ბევრს ნიშნავდა... და, აი, პოლკოვნიკ მილტონ გ. ბეიკერისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის უიტ ბარნეტის სარეკომენდაციო წერილების მეშვეობით არმიაში სვლება, იმ ელიტარულ მეოთხე დივიზიაში, ხელჩართული ბრძოლებით რომ გაიკვლია გზა ნორმანდიიდან გერმანიამდე. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა რჯიდა? ამ კითხვაზე ერთი უმთავრესი პასუხი არსებობს — ადამიანი უყვარდა. ეს რომ არა, ალბათ, ფაშისმზაც არ შეიძლებოდა...

დაახ, სელინჯერს სრული უფლება ჰქონდა, ცოტა დაესვენა, სისხლისმღვრელ ბრძოლებში გადარჩენილი საკუთარი რომანის გაყიდვით ნაშრომი ფულით შეძენილ სახლში მჯდარიყო და მუსიკით დამტკბარიყო. გოგონებს ეუხერხებულებოდათ, ხომ არ შევანუხეთო, ჯერი კი, პირიქით, დარჩენას თხოვდა, საბაბსაც ადვილად პოულობდა, ხელში ფირფიტა ეჭირა და ოთახიც მალე უნდა აეცო შირლის საყვარელ ჩაიკოვსკის მუსიკის ჰანგებს... კორნიშიში კი ხუმრობდნენ, მაგ კაცს ერიდეთ, თუ არ გინდათ, რომელიმე მოთხრობის გმირად იქცეთო...

უინძორის კოლეჯს საკუთარი ყოველთვიური გაზეთიც ჰქონდა და რადგან ამ პატარა ქალაქში ახალი ბევრი არაფერი ხდებოდა, მისი შევსებაც ჭირდა... და, აი, ერთხელ კოლეჯის წინ, კაფეში მყოფ სელინჯერთან, სადაც ჩვეულებრივად ლანჩს მიირთმევდა, შირლი და მისი მეგობარი გოგონა მივიდნენ. შირლიმ ინტერვიუ თხოვა და ჯერიც დათანხმდა (იმ პირობით, რომ კოლეჯის გაზეთში გამოქვეყნდებოდა და სხვაგან არსად). გაზეთი მომდევნო ორშაბათს უნდა გამოსულიყო და გამოვიდა კიდევ, თუმცა იქ ინტერვიუ არ დაბეჭდილა, ის მოგვიანებით გამოქვეყნდა ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთში — დელი იგლ. რა თქმა უნდა, სელინჯერი მოატყუეს, ალბათ, შირლის მოუწინა, პოპულარული გამხდარიყო ან ფულს დახარბდა. ასე იყო თუ ისე, ინტერვიუ სელინჯერთან, რომელიც მხოლოდ თინეიჯერებისთვის იყო განკუთვნილი, უფრო ფართო აუდიტორიისთვის გახდა ხელმისაწვდომი, რასაც მწერალი წესით უნდა გაენანყებინა.

ასეც მოხდა. სტუდენტებთან ურთიერთობა კი არ გაცივდა, საერთოდ შეწყდა. ჯერმ ასე იცოდა, თუკი ადამიანს ერთხელ ამოიღებდა გულიდან, მერე უკვე აღარც შეურიგდებოდა. მწერლის „სანქციები“ ეთელ ნელსონსაც შეეხო, რომელიც შირლისთან ახლობლობდა. მოგვიანებით, კლერი, სელინჯერის მეუღლე, მას ბავშვების ძიძად დაიქირავეს, თუმცა ეთელსა და ჯერის შორის ურთიერთობა მაინც არ განახლებდა. ასე დაწყებულა გული მწერალს მოტყუებით აღებული ინტერვიუ.

ბასაუბრება სელინჯერთან

შურნალისტი ბეტი ეპსის გასაუბრებას სელინჯერთან თამამად შეიძლება ვუწოდოთ „არშემდგარი დიალოგი“. ეს ნათლად ჩანს დევიდ შილდისა და შეინ სალერნოს ნიგნიდან „სელინჯერი“, თუმცა თავად ავტორები აღნიშნულ ეპიზოდს სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. ისინი არაფერს ამბობენ იმ მთავარ შეცდომაზე, შურნალისტიმა რომ დაუშვა შეკითხვების დასმისას და რატომ-



ლაც მხოლოდ მწერლის არაკომუნიკაბელობას უსვამენ ხაზს, რომლის მიზეზიც, მათი აზრით, ძირითადად, ომის სტრესი და აღმოსავლური რელიგიებით გატაცება იყო.

მაინც რა შეცდომა დაუშვა შურნალისტიმა? რითი გაანანყენა სელინჯერი?

გაზეთ „ბეტონ რუჯის“ შურნალისტს, ორმოც წელს მიტანებულ ბეტი ეპსს, 1980 წელს დიდი ჯაფა დაადგა იმისთვის, რომ განდევნილი მწერლისგან ინტერვიუ აეღო. მას იმჟამად გარკვეული პრობლემები ჰქონდა, როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ასევე სამსახურშიც და ჰაერით სჭირდებოდა რაღაც სიახლე, თუნდაც სენსაციური ინტერვიუ, რომელიც სახელს გაუთქვამდა და ფინანსურ მდგომარეობასაც გაუმჯობესებდა.

ბეტიმ გადანყვიტა, საკუთარი მოგზაურობა თავად დაეფინანსებინა. იაფად იქირავა ძველი მოდელის ლურჯი „პინტო“, რომელმაც კორნიშამდე ძლივს ჩაიყვანა. შურნალისტიმა იცოდა, რომ სელინჯერი დაუპატიჟებელ სტუმრებს არ იღებდა, ამის გამო სახლთან მისვლა აზრადაც არ მოსვლია. ერთადერთი გამოსავალი სიტუაციის დაზვერვა იყო, რათა გაერკვია, თუ რა გზით შეიძლებოდა მწერალთან დაკავშირება, თუმცა ადგილობრივებისგან რაიმე ინფორმაციის მიღება წარმოუდგენლად რთული ჩანდა, მეტიც, მენაყინემ, რომელსაც ვითომდაც შემთხვევით სიტყვა სელინჯერზე ჩამოუგდო, უარიც კი თქვა, ბეტისთვის ნაყინი მიეყიდა, ხოლო მწერლის მსახურ-ეკონომს, კორნიშელი ყასბის მალაზიიდან რომ დაურეკა, პანიკური შიში დაეწყო, სამსახურიდან არ დაეთხოვათ. თუმცა როცა დაარწმუნა, მწერლის მყუდროების დარღვევას არ ვაპირებო, გულზე მოეშვა და აუხსნა — როგორ დაკავშირებოდა. ბეტის, უბრალოდ, წერილი უნდა დაეტოვებინა უინძორის ფოსტაში. მისამართის მითითება საჭირო არც იყო, რადგან სელინჯერი თითქმის ყოველდღე ჩადიოდა მისთვის განკუთვნილი ბარათების მოსაკითხად. ბეტი ასეც მოიქცა. სულ მალე მოკლე, მაგრამ დამაინტრიგებელი წერილი უკვე კონკრეტში იდო, რომელიც საგანგებოდ კორნიშის ბუნების შექებით იწყებოდა. ბეტი არც

დასასრული მე-8 გვერდზე

ჯარჯი ფხოველი

სელის-გულის ანაბეჭდები

დასასრული

სამოცდამეექვსე სონეტი. ეს რომ გენიალური შექსპირის გულის მონასხლეტია, სულაც არაა გასაკვირველი! გასაკვირი და სასიხარულოა, ამ სონეტის დიდებული (ვიტყვი: ასევე გენიალური!) ქართული თარგმანი რომ გვაქვს, გვი გაჩეჩილადის შესრულებული. ვიხსენებ: უნივერსიტეტში ის გვმოდვრავდა თარგმნის თეორიაში. ვფიქრობ: მისმა ლექციებმა რაღაც კეთილი შედეგი უდავოდ გამოიღო... ის შენანება: ამ დიდებულმა მთარგმნელმა ედგარ პოს „ყორანი“ რომ არ თარგმნა!

სილატაკის ყომრალ ნისლში მობორი-ალე ხშირად ვიხსენებ გიგლა სარიშვილს: რა შესანიშნავად თარგმნა: „ერთხელ არისტოტელემოსმა არცთუ ურიგო სიტყვა რომ წარმოთქვა სპარტაში, ბრძანა: ფულია კაცი!.. მართლაც და გლახაკს არც დიდება აქვს და არც პატივი!“

„ნიგნი დიდი სიყვარულია“... ჯაბუშა-ნურის ჩანაწერებიდან და წერილებიდან ვიგებთ, რომ იწერებოდა ასეთი ნიგნი. იწერებოდა არხოტში, ლილლოში, ლარსში, თბილისში და ასე შემდეგ... ეხლა შეგეკითხები: სად გაქრა ის ნიგნი? დაბეჯითებით ვიტყვი, რომ პოეტს სამარეში არ წაუღია! მაშ, სადაა, რატომ არ გამოსცა? ცამ ჩაყლაპა, თუ მინამ: რაღაც ამის მაგვარი ხომ არ მოხდა!

ზნეობრივი აღვირახსნილობა, ომები, უოლსტრიტის ცათამბჯენების დანგრევა, ძალადობა... ეს ყოველივე დაიწყო მაშინ, როცა მოკვდავმა საღვთო გზიდან გადაუხვია, როცა საეჭვო შემეცნება გაიხადა თავისი ყოფიერების ერთადერთ ორიენტირად, როცა ყველაზე დიდ საიდუმლოს ზურგი შეაქცია, წარუვალს განუდგა, ხოლო წარმავალი და კინი გააფეტქმა!..

რითმოსანი პოეტების ჩანაწერი ხშირად ახალი, ჯვრაცმიუგნებელი რითმის მოძიება ეწოდება: ესეც მკითხველის იმედგაცრუება... მაგრამ სხვა რამეს ვხედავთ ჭეშმარიტად რითმოსანი პოეტის ემზარ კვიტაიშვილის ახალ ნიგნში „შემოდგომის ხიზანი“. აქ რითმის სიმარტივე და სიახლე მართლაც პოეტური გარდასახვის ნაწილია: რითმები და სტრიქონები იგრძნობა იდუმალ ფესვებით. პოეტი წერს: „თვალი ვერ ჰკიდონ, ისეთ სიღრმეებში და სიმალეში გავუშვა ფესვი“... დასტურ ასეა: სიღრმეც და სიმალეც სჩანს, მაგრამ აქ ფესვი ვერ დაიმალება, მას ვხედავთ და მკითხველის ბედნიერებაც ეს არის: პოეტურ გარდასახვათა ნიაღში კურთხეულ ფესვს რომ იხილავს: პოეზიის ღვთაებრივი წარმომავლობაც ხომ ამით მტკიცდება...

დამიჯერე: მწარედ ცდებიან ისინი, დაბეჯითებით რომ ამბობენ, თითქოს დედამიწაზე სიცოცხლის შეწყვეტა შესაძლებელია და ეს მოხდება ორი ატომური სახელმწიფოს შეჯახების გამო... ვთქვათ, ნაეკიდნენ მეფეები, პრეზიდენტები, პრემიერები და სხვა მათი მსგავსები... გეკითხები: ნუთუ ესენი ჩანაცვლებენ იმას, ვისი დიდი ნებითაც სიცოცხლე გაჩნდა დედამიწაზე?

სამშობლო... ამ სიტყვას რაღაც სუნი დაჰკრავს: და ეს არის თავგანწირვის, დარდის, სიკვდილის სუნი!

მეუბნები: კარგია, რუსული ენა რომ განვიპატიოთ... რა ვქნა, ამ მარტივ ვითომჭეშმარიტებას ვერ გავითავისებ, ვერ დავიჯერებ, ვერ ვირწმუნებ!.. დაბეჯითებით მეუბნები: პუშკინიც და დოსტოევსკიც რუსულად უნდა ნავიკითხოთ! ასევე მთლიანად დიდი რუსული ლიტერატურაც!.. კარგია, ჩვენ ზოგიერთ სკოლებში რუსულს რომ ასწავლიან... ასევე მისასაღმებელი ფაქტი იქნება, ჩვენს სკოლებში დიდი ჩინური ენის შესწავლას თუ შეუდგებიან. ესეც

სასურველია, უკვდავ ჩინურ ლიტერატურას ჩინურად თუ გავცნობით: შიძინის, დაოდდინის, ციუი იუანის, დუ ფუს, ვან ვეის, ლი ზოს, ლი ცინჯაოს, მენ ჰაოჟანის, სუ შის, ბოძიუს და ასევე თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ტექსტებს... ცხადია, ეს ყოველივე ქართულად ნათარგმანებიც მოგვეპოვება, მაგრამ უმჯობესია, რომ ვისწავლოთ ჩინური: ჩინურად ნავიკითხოთ ეს ჩინებული ლიტერატურა!

ახალგაზრდობა ხომ ითამაშე ხელაღებით და დიდი დავიდარაბის გარეშე. ხომ ითამაშე შუასაკიც: იყო დიდი დარდი, იყო დიდი იმედგაცრუებაც... ეხლა, სიბერეში სულ სხვა ფიქრი აგეკვიცა: სიბერის თამაშში ხომ შეუძლებელია, შეუძლებელია, შეუძლებელია და თანაც სათაკილო, არაკაცური, რადგან ასეა: ერთი ფეხი უკვე სამარეში ვიდგას, ხოლო ცალფეხით უვებოდ და უიმედოდ ვერ ითამაშებ შენ სიბერეს ვერასდიდებით!

ცრუპოეზია: ტყუილის ლექსი... ვის ატყუებ შე ყ...ო!

გერმანელი მწერალი წერს: „სცადეთ, მარცვალში გადაურთეთ ქვიშა და ისე დათესეთ: მინა გამოიცნობს, რომელია მარცვალი“... შოთა ჩანტლაძეს მარცვალში ქვიშა არ გაურევიდა, ისე დათესა... მკითხველის საჭოჭმანოდ არ გახადა თავისი პოეზია. ნაიკითხავ, გრძნობ, რომ ეს არის წმინდა მარცვალი. გულში არის მისი ალაგი, მისი მინა, მისი ადგილის დედა... მან ალაგო დიდი სახლი, რომლის ფუძეში, ანუ სქოლიოში ბინადრობს პოეზიის ფუძის ანგელოზი...

ოდესმე ვინმე ჩემს ბიოგრაფიას თუ დანერს, ვთხოვ, ასე დაამთავროს: „გარდაიცვალა უკიდურეს სილატაკეში და სიმარტოვეში“... მერწმუნე, ეს სიმართლეა და ამის არ შემრცხვება... და ერთიც სამწუხარო ფაქტი: ჩვენს დროში, ჩვენს საქართველოში რამდენიმე ნაღდი, ნიჭითცხებული მწერალი შიმშილით მოკვდა!.. ესეც შენი ნანატრი თავისუფლება, რომელსაც თანასდევს მასობრივი შიმშილობა და უიმედობა თვითდაწყვეტილი!

როგორც ამბობენ, სამარაბლო ჩამოგვაცილა მტერმა: ის კურთხეული ქართული მინა მავთულხლართებით შემოღობა. მავთულხლართში გადის ის დენი, რეგიონს საქართველოდან რომ მიეწოდება! ესეც ხომ ერთგვარი ბედლოვანობაა და დაუნიზმი, თანდაყოლილი!

დაბეჯითებით გვეუბნებიან, რომ თავისი ცვალებადობით, უკიდვარო კონფუსიებით და ამოუხსნელობით, სამყარო თამაშია... გვეუბნებიან, მაგრამ ვერავინ ვერ ახსნის, ვინ თამაშობს? ვინ ჩაიფიქრა ეს თამაში? როდის დამთავრდება ეს თამაში და სხვა... მაშ, ვინ თამაშობს? ვინ? ღმერთი? ამის წარმოდგენაც კი მკრეხელობაა!.. მაშ, ვინ? სატანა? პასუხი არ არის! და, რადგან პასუხი არ არის, ესეც ვთქვათ: სამყარო, ანუ ეს თამაში უპასუხო კითხვაა! ხოლო უპასუხო კითხვის დასმა დიდი უაზრობაა!.. აი, სად მივედით! ჩვენ ვართ არავინ და თამაშობთ უაზრობას... ღმერთო, ღმერთო!

ასე: დამთავრდა „ხელის-გულის ანაბეჭდები“. კაი ხანს იწერებოდა: ეს ნიგნი იყო ჩემი მეტაპოეზიის პირველი ტომის („ფურცლები“) გაგრძელება... და, ღვთის შენეებით, ესეც დამთავრდა: კეთილი გამოცემით თუ შემხვდა „ხელის-გულის ანაბეჭდებიც“ დღის სინათლეს იხილავს... მეტაპოეზია დღეს ჩვენი პოეზიის რეალობაა და პოეზიის ამ ფრთას, ვფიქრობ, ჩემი ნაწერებიც ამავრებენ. ამას კმაყოფილებით ვამბობ... ხოლო რა იქნება სამომავლოდ, ამას ხალხური ტრადიციით ვუპასუხებ: ხვალემ იკითხოს ხვალისა!

დასასრული

თვალთმაქცობდა, აქაურობა მართლაც მშვენიერი ჩანდა. ტყის პეიზაჟების მიმზიდველობის თემა რომ ამონურა, საკუთარი თავიც დაუხასიათა. ეპესი ყოფილი მოდელი და ჩოგბურთელი გახლდათ, მწვანე თვალეები და მონითალო ოქროსფერი თმა ჰქონდა და, აი, ახლა ამ მომხიბლავ ქალბატონს, თავი მწერლობით რომ გაჰქონდა, სელინჯერის ცაცუნობა განეზრახა. შეხვედრის ადგილი უინძორის ხიდი უნდა ყოფილიყო, დრო — დილის ათის ნახევარი. ორჯერ გამოვიდოდა თავისი ლურჯი „პინტოტი“, თუ ჯერი არ გამოჩნდებოდა, მეტს აღარც შეაწუხებდა...

ბუნების შექებას გაჭრა, ბეტის გარეგნობის აღწერამ, თუ მისმა მოდელიობამ და ჩოგბურთელობამ, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, სელინჯერი მას შეხვდა. ბეტიმ ასეც იცოდა, მწერალი ხომ ქალები-სადმი გულგრილი და უყურადღებო არასოდეს ყოფილა!

მაღალი თმებშევერცხლილი კაცი ატაშეს კეისით ათის ნახევრისთვის ლურჯ „პინტოს“ რომ მიუახლოვდა, ბეტის ისე

თემურ გაბუნია

ორი ინტერვიუ

გაუხარდა, ცეკვა მოუნდა. „მოვიდა, მოვიდა!“ — ბუტბუტებდა და მომუშტულ ხელს ჰაერში იქნევდა. მერე ფანქარი რვეულში ჩადო, მანქანიდან გადავიდა და ჩრდილიდან გამოსულს შეაქცერდა. სელინჯერი წიგნის ყდაზე გამოსახული ფოტოდან ახსოვდა, შავი თმითა და სიმპათიური გარეგნობით. ახლა ის სრულიად გაჭაღარავებულიყო...

და, აი, ეს თეთრთმიანი მამაკაცი, რომელიც თვალეებს საერთოდ არ ახამხამებდა, მის წინ აღმართულიყო და ტრადიციული მისალმების შემდეგ საუბრის აწყობას ცდილობდა. ბეტი თავს უხერხულად გრძნობდა, ვერ ხვდებოდა, რომ გაშეშებული მზერა იოგამი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგი უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც არც ის მოსწონდა, რასაც სელინჯერი ურჩევდა. მისი აზრით, თუკი სურდა ნამდვილი მწერალი გამხდარიყო, ჟურნალისტიკისთვის თავი უნდა მიენებებინა, რადგან გაზეთში მუშაობა და ხელოვნება ორი სრულიად შეუთავსებელი რამ იყო...

მაღე სელინჯერმა თემა შეცვალა, ახლა საკუთარ თავზე საუბრობდა. მთავარ პრობლემას პოლიტიკოსებში ხედავდა, რომლებიც ადამიანებს ჰორიზონტს უზღუდავენენ, ის კი, პირიქით, ცდილობდა — გაეფართოვებინა. თანდათანობით მათი საუბარი მონოლოგს დაემსგავსა. ბეტის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს თავად სტუდენტი იყო, მწერალი კი — პენსიაში გასული პროფესორი, ლექციას რომ უკითხავდა, ამიტომ სიტუაციის შესაცვლელად გადაწყვიტა, თავად დაესვა შეკითხვები. ბეტის უინძორში ჩასვლამდე ბიბლიოთეკაში მოეძებნა „დეილი იგლის“ ძველი, გაყვითლებული ნომერი, რომელშიც ის ინტერვიუ იყო დაბეჭდილი, სელინჯერისგან მოტყუებით რომ აეღო მის შირლი ბლენის. იქიდან რაღაც საკითხები ამოენერა და ამჯერად სწორედ მათ შესახებ აპირებდა საუბარს.

ეს იყო მთავარი შეცდომა, ამ ინტერვიუზე დაყრდნობა არაფრით შეიძლებოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტყუებით გახლდათ აღებული და წესითა და რიგით, თავის დროზე მხოლოდ კოლეჯის ყოველთვიურ გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო და არა — უინძორის ყოველდღიურ „დეილი იგლში“. მეორეც, ინტერვიუში იყო უზუსტობები, ენერა, თითქოს სელინჯერი ინგლისში აპირებდა გამგზავრებას ფილმის გადასაღებად, რაც ფანტასტიკის სფეროს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე სინამდვილეს... და ბოლოს, ინტერვიუს ამკარად ეტყობოდა, რომ არაპროფესიონალს ჩაენერა, თანაც ძველი, 50-იანი წლების დროინდელი გახლდათ, ამიტომ დიდი შეცდომა იყო, 1980 წელს უკვე ასაკოვანი მწერლისთვის მასზე დაყრდნობით რაიმე შეკითხვები დაესვათ. ბეტი კი, სამწუხაროდ,

ოდ, უნებლიეთ თუ წინასწარგანზრახულად, სწორედ ასე მოიქცა. ის შეეხო სელინჯერისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს — მისი ნაწარმოებების ეკრანიზაციას და ასევე შირლი ბლენის, რომელმაც ოცდაათიოდე წლის წინ მწერალს გული დაწყვიტა.

— ლონდონში ჩასვლასა და ფილმის გადაღებას ხომ არ აპირებთ, როგორც მის შირლი ბლენის უთხარიტ? — ეკითხებოდა ახლა ეს მწვანეთვალე ქალბატონი და სელინჯერი შეცბა.

— საიდან ამოქექეთ ეს ძველი ამბები? — უსაყვედურა ბეტის და სთხოვა, სხვა თემაზე ესაუბრათ. თუმცა მეორე შეკითხვა კიდევ უფრო უცნაური ჩანდა. ჟურნალისტი თანახმა იყო, თემა შეეცვალა, ოლონდ მას შემდეგ, რაც ცოტათი გახალისდებოდნენ.

— იმ გემის სახელი თუ გახსოვთ, გამართობად რომ მუშაობდით?

ეს უკვე მეთისმეტი იყო. ჯერი წამით დაეჭვდა კიდევ, ბეტი იმით დაკვეთას ხომ არ ასრულებდა, ვინც მას 60-იან წლებში მსოფლმხედველობრივად დაუპირისპირ-

და და დღემდე ვერ შეგუებოდა მის მზარდ პოპულარობას. ყველაფერი შესაძლებელი იყო, იმის მიუხედავად, რომ ეს ქალბატონი თვალთმაქცის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. იქნებ ეს შეკითხვა ერთგვარი გზავნილიც გახლდათ ოპონენტებისგან, რომლებსაც სურდათ, მიენიშნებინათ, რომ ის ახლაც გამართობი იყო და არა მწერალი.

მამინ ჯერი ხშირად გადიოდა გემბანზე ლამაზობით, ზღვის ხმაურს უსმენდა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას უყურებდა, ყველასა და ყველაფერზე იყო გაბრაზებული: მამაზეც — ყველისა და ხორცის დისტრიბუციის ბიზნესში რომ უპირებდა ჩართვას, მწერლობა კი არასერიოზულ საქმედ მიაჩნდა; ჟურნალ „ნიუ იორკერზეც“, 1941 წელს უკვე გამოსაქვეყნებლად გამზადებული მოთხრობა „მცირე ამბოხი მედისონ ავენიუზე“ რომ დაუბლოკა და ექიმებზეც, ომში პირველსავე ნაკადში რომ არ გაუშვეს... დიახ, პროტესტის ნიშნად თუ გულის გადასაყოლებლად მართლაც ნავიდა გემზე ორიოდ თვით გამართობად სამუშაოდ, მაგრამ იმ ძველ ამბებს რატომ ახსენებდნენ?! ნუთუ უფრო სერიოზულ საკითხებზე არანაირი შეკითხვები არ ჰქონდათ? მისი ნაწარმოებების კითხვისას ხომ, სულ ცოტა, ოთხი კულტურული სამყაროსა და რელიგიის შესახებ უნდა გაჩენოდა ადამიანს შეკითხვები (ქრისტიანობის, ინდუიზმის, ბუდიზმისა და დაოსიზმის)? ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ, როგორც იქნა, ინტერვიუზე დათანხმდა, ისინი კი კვლავ რაღაც ზღაპრებზე ესაუბრებოდნენ, ნუთუ ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოცემულ ნაწარმოებებში არ მიანიშნა, რომ კინო ჭირივით სძულდა და ჰოლივუდთან თანამშრომლობას არ აპირებდა? ან ის გემი საიდანღა გაახსენდათ?

ამკარად ჩანდა, სელინჯერს საუბრის ყოველგვარი ხალისი წართმეოდა. ნებისმიერ შეკითხვაზე, რომელიც ბეტის შემდგომში უნდა დაესვა, ერთნაირად პასუხობდა: „ეს ყველაფერი საიდან ამოქექეთ? რატომ მეკითხებით ამას? უმჯობესია, მწერლობაზე ვისაუბროთ“.

დიახ, არც ერთი არსებითი შეკითხვა არ დაუსვამთ, რომელიც მის მსოფლმხედველობას ან შემოქმედების თავისებურებებს შეეხებოდა.

ბეტის კი უკვირდა, რომ ინტერვიუ არ შედგა.

ეპესი მოგვიანებით პოპულარულიც გახდება, უამრავ შეთავაზებებსაც მიიღებს ახალი სამუშაო ადგილებიდან და, რაღა თქმა უნდა, ჟურნალ „ბეტონ რუჯშიც“ მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს. თუმცა მისთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩება, თუ რატომ აღარ პასუხობდა შეკითხვებს სელინჯერი...

მარტის უსალმონი

ჩქამიც კი აღარ გამაღვიძებს.
როგორც კენჭი, მდინარიდან გამორიყული,
ისე ვიქნები
და თევზების ტანის შეხებას
მოგონებად დავინარჩუნებ,
თავსატეხად:
რატომ შემეხო
ასეთი გლისპი,
თან ასეთი კრიალა კანით...
ხავიერ, გესმის?
უკრაინაში ომი დაიწყო
და სულამითს ოქროსფერი თმები შეაჭრეს,
უფრო სწორად:
ფერფლით მოკვეცეს...
ფერფლისფერი ოთხშაბათი ისე თენდება,
თითქოს გამცემი უბეში არ გვეგულბოდეს
და არ გვიყვარდეს,
ან არ ვიცოდეთ,
რომ სწორედ ის გვეამბორება,
როცა ოცნების მოყვავილე ბალებს ჩაეფუტით...
ჩვენი თამაშიც ხომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ:
შენ ყოფილიყავ ხავიერი,
მე კი ბარდემი,
ანდა პირიქით....
და ერთმანეთთან გველაპარაკა
გამოუთქმელი მარტობის მწარე სიტყვები,
გვეხუმრა,
ასე გვეთამაშა ერთიანობა,
ისე ალაღად გაგვეცინა სისულელეზე,
თითქოს თვრამეტის ვყოფილიყავ —
ცხოვრებისგან მოუხემავი,
ყველაფრის და ყოველივეს ნდობით აღმქმელი,
არც შეკითხვები გამჩენოდა,
ყველაფერი ისე მიმელო,
როგორც ჩანდა,
ანდა როგორც თავს მაჩვენებდა...
თუმცა, იცი:
მე ყველაფერს წინასწარ ვგრძნობდი,
უფრო სწორად,
ყველაფერი უკვე მინახავს:
ოცი წელია,
გამეორების აკვანში ვწევარ,
ყველაფერი მეორდება
და ჩვილივით მარწევს და მარწევს,
ოღონდ, ვერაფრით ვერ მაძინებს,
გულს მირევს მხოლოდ,
თვალს მიჭრელებს
და ამიტომაც თავს ვიმძინარებ,
მაგრამ ნუ მკითხავ —
რასა ვხედავ
თვალდახუჭული....

კუნძული

შენ გიკვირს ჩემი უპირობო სიყვარული,
თითქოს გლლის და
ცდილობ, თავიდან მოიცილო,
როგორც ქრთამი,
უანგარო სიკეთისთვის უხერხულად რომ
ჩაგიჩურთეს გულის ჯიბეში.
რა თქმა უნდა, ორში ერთ-ერთი მუდამ ისეთი ზნეობრივია,
უკანონოდ შემოძლეულს ხელს არ მოჰკიდებს
და ღირსება არ მისცემს ნებას,
ის მიიღოს, რაც არ ეკუთვნის.
მეორე კი თავს იმცირებს და ჯიბეში ფულს უტენის
მალვით და კრძალვით
იმას, ვისაც საკუთარი სიკეთე უკვირს,
რადგან თავისთავს ნამითაც არ გასცილებია
და საკუთარ სიჯიუტეზე ისე აბია, როგორც კრუხი
ვიწრო პალოზე —
სიხარულის წინილების გამომჩეკველი...
მე კი მაშინ, როცა შენგან გამოგბრუნდი,
როცა ჩემი უპირობო სიყვარული შემოგაჩეჩე
და ამით თან დავმძიმდი, თან გავთავისუფლდი,
ავტობუსის ბოლო სკამზე გადავწევი
და დავინახე — გვერდით ძველი ჟურნალი ეგდო,
ყდამოხეული, უფრო სწორად: რალაც ნაფლეთი
ჟურნალისა. იქ კი ვილაცის (ალბათ, ქალის) ლექსი ეწერა
(ამერიკელის, ან შეიძლება, პოლანდიელის)
რადგან ამ ლექსს
„სიურპრიზი კუნძულზე“
ერქვა:
„იმ საღამოს, სეირნობიდან შინ რომ დავბრუნდი,
ძალის ტყავი დავინახე,
წვრილი ლურსმნებით რომ გაეკრათ სახლის კედელზე.
მსხვერპლი იყო სულ ახალი. კიდევზე სისხლი ეცხო
და ეს არ იყო ჩემი ძალი,
რადგან ძალი საერთოდ არ მყავს
და არც მიყვარს ისინი (ვილაცამ კი, როგორცა ჩანს,
ეს არ იცოდა).
ტყავი იყო ღია რუხი, უთავო, მაგრამ კუდმერჩენილი,
სახლის კედელზე გაშლილი და დამაგრებელი,
სკოლის დაფაზე დაკიდებულ
ნახევარკუნძულის რუკას მოჰგავდა,
ქალაქი კი აღნიშნული იყო ნახვრეტით,

გიორგი ლობჯანიძე

კედლისაკენ ნასროლ ტყვიას რომ გაეჩინა.
შინ რომ შევედი, თვალი ნახვრეტთან მივიტანე
და დავინახე ხეთა მუქი სილუეტები.
მთელი ღამე ჩარაზულ კართან ვიჯექი და
ყავის ფინჯანს ფინჯანზე ვცლიდი.
ვფიქრობდი: „თუ სახლს ძალი იცავს,
მაშინ მე, დაე, მისი ტყავი თილისმად მექცეს!“
არც იმ ღამით,
არც მომდევნო სამი ღამით არვინ მოსულა.
მეოთხე დღეს გამგზავრების დროც მომივიდა.
ტყავი კი ისევ იქ ეკიდა — გამომშრალი,
გახვეებული. ბუზები
სიმყრალესთან ერთად გაქრნენ, აორთქლდნენ.
გავიფიქრე, „ეგებ მუქარა კი არა და, საჩუქარია ეს?“
— ტყავს
ლურსმნები აუჩქარებლად ამოვაცალე
და წამოვიღე...“
უცნაური ლექსი იყო.
რას გაუგებ ქალებს,
მით უფრო, კუნძულზე მცხოვრებთ,
ძალის ტყავიც კი საჩუქარი ჰგონიათ ზოგჯერ,
როცა უნდათ, დაიჯერონ,
რომ ვილაცის უყვარს ისინი,
ტყავს კედლიდან ჩამოხსნიან,
შეგ ეხვევიან,
თავს ითბუნებენ და
ვედარ გრძნობენ შიშველ ტანზე ლურსმნების ჩხვლეტას.

მიტოვებული სიმღერა

მინდა გითხრა: ასე კარგი
არ ვიყავი დასაკარგი,
მაგრამ, კარგო, რაკი მკარგავ
და ჩამთვალე ზედმეტ ბარგად,
გზებზეც მუდამ გიყვაროდეს,
ბრძანდებოდე მუდამ კარგად
სამყაროში, სადაც ორი
ფოთოლიც კი ერთურთს არ გავს,
სად ყვავილებს მაისშიც კი
მოვლებით თრთვილის ქარგა,
ყველას, ვინც კი არის კარგი,
უნევეს გამოიღოს ხარკი:
როგორც თვითმფრინავის ბარგი,
იკარგება დასაკარგი...
შენც დანაკარგს ეგუები,
იმიტომ, რომ სხვა გზა არ გაქვს...

ამ სარკიდან იმ სარკემდე

და მოვიდა მარადიული ძმა ჩემს სიზმარში,
მთვარის ნიშნით იღუმალი, გამოუცნობი,
მკითხა:
ხედავ ამ ხელებს, მეგობარო?
ასი ათასი ვენახი გავსხალ მე ამ ხელებით,
ამოვასხი და ამოვასხი
ყურძნის გვირისტი,
ეს სიზმარი შენთვის ახლა სიტყვა „ისრიმს“ ჰგავს:

ვერ გაიგებ,
რადგან არ იცი,
რომ „ისრიმი“ მკვახე ყურძნის ნიშნავდა ჩვენში,
იმ დროს, როდესაც
ჩემი სიცოცხლე ბრდღვიანობდა,
როგორც ყურძნის მწიფე მტევანი.
სიზმრის ყლორტი
სინამდვილეს
არ დაემყნობა.
ვერ ეთვისება, ვერ ჰგუობს ერთურთს სხვადასხვა ჯიბეში.
მევენახე კაცმა იცის
ეს მარტივი სიბრძნე —
უფრო ნაგრძნობი,
უფრო გულით შემეცნებული
მაშინ, როდესაც ვაზის ფოთლებში იწვიდა ხელებს
და მტევნები ეწვდებოდნენ ძუძუებივით.
ჟრჟოლისგან იყო ამოსხმული ეს ძუძუები...
თვალეებს ხუჭავდა მევენახე
და ტურებით ეძებდა მარცვლებს
და მარცვლები მიუსხლტოდნენ
მთვარის ნიშნით...
თრთვილის ხელებით აკაკუნებს ბალახებზე
ოქტომბერი
ჩემს ქვეყანაში....
ბედნიერება
მარცვალ-მარცვალ უნდა ეძებო! —
მთქნარებით ამბობს ცხოვრება
და პირი ისე დაუღია
კაკანათივით,
რომ სულ ადვილად დაუთვლი კბილებს —
სალ, მოელვარე თრთვილის მარცვლებს,
შენ რომ ხორბალი გგონია, ლურჯი...
ეს სითეთრე იისფერში გარდამავალი
ბალახებზე არეკილი მთვარის ნიშნია.
ის ჩურჩულებს:
ამ სარკიდან
იმ სარკემდე
ღირდა შრიალი....

ამ არაფერი

ისევე გული გერევა, ჩემო სიყვარულო?
ეს იმას ნიშნავს,
რომ მალე ჩვენ გვეყოლება შვილი,
რომელსაც არაფერს დავარქმევთ,
რადგან შენ აბორტისათვის ემზადები
და ექიმთან ისე მიდიხარ,
როგორც პრემიერაზე...
ჩვენ თვითონვე აღარა გვაქვს
ცხოვრების თავი,
ამიტომ ვჯობს,
ის გაინიროს,
ვინც არ მოსულა...
ყველაფერი უცვლელად დარჩეს...
გულისრევა ასე შეწყდება,
სიყვარულის თავბრუსხვევაც ხომ
კარგა ხანია, გადავლილია
და ყველაფერი ისეა,
ვითომც,
აქ არაფერი...



შემოდგომა — დრო რაღაც ეტაპის შეჯამებისა. მართალია, პირობითი — მაინც ნაწილის. როგორც სიცოცხლის. რაც გრძელდება. არსებითად არ იწყებს და არ ამთავრებს რამეს. არამედ სულ მიმდინარეობს. პროცესია. თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის ეს სინტაქსური შეთანხმებული მოცემულობა, „ცოტა დრო“, უფრო პასუხად თუ ერთგვარ სიმბოლურ მინიშნებად თუ გამოდგება ჩემი მწერლობის უსაყვარლესი იმ პერსონაჟის, კაცის, მიერ დასმულ კითხვაზე, ვისი ყოფნაც (არ ვიცი რატომ) ამ ესსეს წერის დროს, როგორც ხსოვნა უცოცხლესი, თან მდევდა, ვის არსებობასაც (საოცარია!) გვერდით ვგრძნობდით. აი, ასეთი ფანტასტიკური წარმოსახვების გარეშე აღბათ რამდენად გრძობენ მართლაც და თავებს ისინი, „თვითკმაყოფილი“ „მისალოცები“. უდაოდ არა?

არადა, „ცოტა“, მართალია, რიცხვით სახელთა კრიტიკიუმად მოიანება, მაგრამ მისი ზოგადობა არსებითად და ერთდროულად გამოირიცხება მიკუთვნებასთან ერთად მისი მნიშვნელობის ნახსენები კლასიფიკაციისათვის. ეს აზრი, როგორც ეჭვის შეტანა, უდაოა, ეჭვსაც არ იწვევს, თავდაყირა აბრუნებს საგნის მნიშვნელობას, სარჩულს — პირისკენ.

მოდი, ერთხელ გაბრაზდეს მეთქი მკითხველი იმის გამო, რომ აქ პუნქტუაცია არეული იქნება. სხვა, სამაგიეროდ, სწორად დაწერს. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მას მივაჩვენებთ, ყურადღება მიმართოს სულ სხვა, აზრობრივი მხარისაკენ. ენის სივრცის შესაბამისი აღქმისაკენ. ბოლოს ის ამას აუცილებლად შეძლებს. მას ეს. აუცილებლად გამოუვა.

ანკი, „ეს ხომ ძალადობაა!“, იქნებ მითხრას რომელიმე „ხელმძღვანელმა“. თუმცა გარწმუნებთ, მე ეს აზრადაც არ მომსვლია. მითუმეტეს ამ სიტყვებთან მიმართებაში. უბრალოდ ასე გამოვიდა.

„არის ქვეყნად სიტყვები, რომლებსაც სთვლიან ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სადა „კარცერი“ და სადა „ლუქსი“, მაგრამ მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხოს, ახლაც ასეა...“ თითქოს კითხვით თავის შექცევა დაუსწრებლად განგაცდევინებს, რაც არასდროს გადაგხდენია. თითქოს გეცხოვროს და თანაც ისე — ერთდროულად. გადმოგყოლოდეს მესხიერება, როცა საქმე ნამდვილ ცხოვრებას შეეხება. აქცევდეს კითხვას გართობით სწავლად, და ერთდროულად, როცა ასეთი მეოცნებე მყარად დგახარ ყოფის მიწაზე.

კარგი. მაშინ შევეცდები უფრო ნათელი გაგხადო (რამე). მაგალითად, სათაურის სიტყვებს, ლექსიკურ ელემენტებს, შორის განვსაზღვრო სინტაქსური ურთიერთობის სახეები თუ არა, მათი მნიშვნელობები მაინც მოცემულ ამ კონტექსტში. სხვანაირად: მცირე ლექსიკონის მაგვარი შემოგთავაზო. ვფიქრობდი კიდევ, სადაც მათი შინაარსები იქნება განზოგადებული. არა ისეთი, როგორც ამბობენ, არამედ — როგორც მინდოდა მეთქვა, როგორც მინდოდა, შენ გაგვეყო.

აშკარად, სოციალურობა, არა. ბუნებრივი მდგომარეობა, ინდივიდისგან (ფარისებურ) ავითრებს იგულისხმებს. ის დრამატული ხელოვნობა, რომლის პოზა შენგან მოითხოვს ღიმილს, ხოტბას, ოპტიმისტურ მხარდაჭერას, ანუ მოჩვენებით ემოციურობას. როცა ხშირად და ბუნებრივად ეს არ არის კონკრეტული ყოფნის შენი ფორმა. როცა. გიყვარს ის, ვინც უნდა გიყვარდეს. ზრუნავ მათზე, ვისზეც ზრუნავს შენი უდაო ვალდებულება, ბუნებრივია. გავრცობას აღარ საჭიროებს. და ასეთ დროს უთქმელობა მით უფრო არ გამოირიცხავს ბუნებრივ, სუფთა მიმდებლობას, რაც უდაოა. მაგრამ რაკი კონკრეტული, ყოლა-ქონების გამოშხატველი, წარმოქმნილი ეს ზედსართავი სახელი, სოციალურობა, მასიურ გახსნილობას უნდა გულისხმობდეს, და ანტიონიმურ მის შესატყვისს ტვირთავენ არცთუ დადებითი აზრით, მაშინ ერთგვარ პასიურობას უნდა მიეცეს უარყოფითი ემოციური პლანის სტატუსი. ის ასეთად განიხილება. რაც, თავის მხრივ, იწვევს: სოციალურობა იქცეს კომპლექსად, მიმდებლობის, სიყვარულის მასიურ ნიშნად.

ციფრულ რაციონალურობად. თუმცა კი ჩემს ენაში ის, აბსტრაქტული არსებითი, არსებობს ერთგვარ მორფოლოგიურ კატეგორიად. არ გულისხმობს მრავლობითობას, არამედ არის როგორც უნარი, სუბიექტის შინაგანი მდგომარეობა, საკუთრება. რაც ან გაქვს, ან არ გაგაჩნია. და არ იქნება ხელოვნური ემოციური შესატყვისი, უმჟღავნებდე მას, ვინც ცდილობს მაინც შენი ესმოდეს.

ეს ნაწილობრივ გულისხმობს კიდევ მუსიკალურ გაგებას იმ არსებითი ცნებების მიღმა, ვის ხილსა და ზემოქმედების უნარს, ხმოვან იდუმალებას, საკუთარ თავში ატარებენ სიტყვები. რისი ფლობაც მუსიკის გარდა ბგერათმგერძობლობას ხელეწიფება. ეს უხილავი, გაუგონარი მუსიკაა. უცხო და მსგავსი დინებებით. სულ სხვა სივრცეში არსებული მოიცავს სულის სულ სხვა შრეებს. სმენის მიღმა და — ევანება.

ეს აშკარაა, ჩემი მცირე მუსიკალური განათლების ბრალია. მე ის. დასაწყისში მივატოვე. ნაწილობრივ შემომჩა რაღაც. რაკი სიღრმე (სმენითი და ინსტრუმენტული განვითარებით) გამოირიცხა, სიტყვებს

დარეჯან სუმბაძე

ალტერაცია — სოციალური საზოგადოებრივი პოლიტიკა და (თანამედროვე) ლიტერატურა. თუ „რომელი საათია, კლიმ?“



მიეცათ აზრობრივი სიცოცხლისუნარიანობა, რაც ჩემი სფეროს სიღრმისეულ განვითარებას გულისხმობდა, დატვირთულიყვენ ახალი შესაძლებლობებით ჩემი ენის მორფოლოგიურ ნიადაგზე. ალტერაცია იქცა სიმბოლოდ მეტ-ნაკლებობის. საწყისიდან ცდომილების. არა. ნორმალურობის. თუ ბოლო ცნებას განსაკუთრებულ დატვირთვას, ანუ რადიკალურს, არ მივანიჭებთ. მხოლოდ და მხოლოდ ცნების განსაზოგადებლად გამოვიყენებთ. ცვლილების, ჭურჭლის, დამატებითი მინიშნების, ჟღერის, სიჩუმის, დეფიციტის, უმოქმედობის, ბეკარული ნიჰილიზმის. მოკლედ ჩემი მაშინდელი უმოქმედობის თუ სიზარმა-ცის გამო-ისობით თუ წყალობით. ეს არ იქნება მუსიკალური მინიშნება. არამედ როგორც უცხო სიტყვა. დამკვიდრებული. ლექსიკური ერთეული. მზარდი და მკლები უცოცხლესი ეროვნული ნიადაგიდან. აი, რატომაც არაფერს ვიტყვი. სხვაგვარად რაც ემგვანებოდა, მელოპარაკა საგანზე, მასში სიღრმისეული წვდომის გარეშე. ან უბრალოდ დილეტანტის მიდგომით. რაც, მართალია, არცთუ ისე იშვიათია მოცემულ საზოგადოებაში, მაგრამ ისიც მართალია, სულაც არ არის სამაგალითო. მაგალითად, როცა ვინმე უბრალოდ ცდილობს ავტორის პერსონიფიკირებას, პერსონაჟისთვის გასა-

მართლებას, პერსონალურ პასუხებას. რაც, თავისთავად, იგავური ანალოგია წყლის ნაყვის ან ქარის თანაბრად განაწილების მწერალსა და დანარჩენს შორის. რაც უფრო შეუძლებელია, ვიდრე ურწმუნო. მაგრამ მსგავსი შემთხვევითობა, პერსონაჟს განიხილავდეს ცოცხალ, სოციალურ ფენომენად, ერთდროულად ხაზს უსვამს მის სიცოცხლის უნარს, და რა თქმა უნდა, შემოქმედებით უნარს იმისი, ვინც მოახერხა საქმეში (ნიგნში) ჩაუხედავის საფუძვლიანად აღლევება. ან კი ვინ უნდა აგოს პასუხი შთაგონებისთვის, პასუხისთვის გარემომცველ სინამდვილეზე, ხელოვნების ამ ერთგვარი რეფლექსური უნარისთვის. სხვა ვერავინ გიკარნახებს ქმნიდე ასე. ცხოვრებამ უნდა გაიძულოს. ის არასდროს იოცნებებდა ადამიანთა შთაგონებები ემართა. ასე გამოვიდა.

და თუ ეს შესაძლებელია, ერთი ფრაზით გადმომეცა განწყობითი შეუსაბამო ოპონირება ერთი შეხედვით შესაბამის მხარეთა შორის, დაეუშვებდით მათემატიკას უზუსტეს მეცნიერებად, ანუ: ერთი ერთს უდრის, აი, ეს ერთი ფრაზა გამახსენდებოდა:

„— აჰა... და რომელი მწერალი მოგწონთ? — რომელი საათია კლიმ?“
 თუ ზოგადი თვალსაზრისით, მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა და ალტერაცია მუსიკალური ტერმინი მხოლოდ, უკეთესი იქნებოდა არაფერი გვეთქვა მეტი, მას შემდეგ, რაც მიმდინარე ქვეყნობის წინადადების ბოლოს მთავარ ნერტილს დავსვამდით. მოგვიწევდა, ცყოფილიყავით მდუმარენი, შეჩვეული აზრმეუხებ თანმიმდევრობას. ერთი სიტყვით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ რაკი უნდა დაეუშვათ, არაზოგადი თვალსაზრისით, გამონაკლისად, სიტყვათა ყოვლის დამტევი აზრით წარმოდგენა, სიზუსტიდან მივცეთ ცდომილის შესაძლებლობა, მაშინ ისინი იტვირთავდნენ ბევრად უფრო განზოგადებულ მნიშვნელობებს. ანუ ზუსტი მეცნიერული ვიწრო ცნებიდან თუ ტერმინიდან მოიპოვებდნენ აზრის მომცავ შესაძლებლობას. ასეთ დროს აღარ დაგვჭირდებოდა უცაბედი ნერტილის დასმა. ან მსჯელობა ლოგიკური გაგრძელების შესაძლებლობას მოიპოვებდა. ხაზს ვუსვამ: არა ზოგადი, — კერძო მნიშვნელობით.
 „ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა: „და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა

მიექცეს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ ადამიანთა თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე — რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება...“

დონჩანაშვილის პერსონაჟის ამ მონოლოგით შევეცადე, შემომეტანა განწყობა, რაც თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს ხსნის. არა მხოლოდ მსოფლხედვების, არამედ ღირებულებების მტნაკლებობას განსაზღვრავს (თუ, რა თქმა უნდა, მათ თვლადობის სიზუსტის უნარს მივანიჭებდით). ხელმძღვანელის და კე-ჟერადის (თავ)დაჭერებული უკულტურობის და მახვილი გონიერების კოლიზიური სახეები კეთილი და ღიმილიანი მჭვრეტელობით გვიხატავენ სულიერი გამოცდილების უბრალო შესაბამისობებს, რაც ერთდროულად პერსონაჟთა სოციალურ პოზიციური მდებარეობის განსაზღვრელია. როგორც რაღაც შეუსაბამო ბალანსის მსგავსი. ერთ შემთხვევაში ფიზიკური და მეორე — სულიერი საწყისის უპირატესობით.

ასეთ დროს, „როგორ შეიძლება მიმართო რა კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს ნაკითხული არა აქვს...“ ვთქვათ...

თუკი „ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება, ლიტერატურაში კი ასეთი უზუსტობა არასოდეს არ მოხდება, ყველაზე უკანონო მეცნიერება თუმცაღა კია...“

ხოდა, შევთანხმდით. სიტყვები და სახელდებები აქ არ არიან შემთხვევითი. მათ, აზრობრივი დატვირთვის გარდა, ენის ლექსიკურ მთლიანობაში მოსაზღვრული აქვთ მათთვის განსაკუთრებული სფეროები. რას შეიძლება გამოხატავდეს განყენებულად ზედსართავის ოდნაობითი ხარისხი, ან სტატიკური ზმნა, ან მაიგივებელი კავშირი. თუნდაც:

„ჩამოიარა იმან, ერთდროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორცაა სიტყვა... „მოიისფრო“, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გაგეძი“, და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მასადაამე“...“

ზედსართავი, სიმბოლური ფერია ქალი. მის გვერდით ზმნაა, არსით მოქმედი, ანუ რაციონალურად აქტიური. და კავშირი, სულიერება, ცალკე, განყენებულია. ის ვერ იქნება ნაწილი ამ გაურკვევლობის, არამედ — დამსწრე, მჭვრეტელი და აღმწესველი საზოგადო ფაქტობრივი მოცემულობის. სრულმნიშვნელოვან ფორმაცვლებადთა შორის, ის, დამხმარეა, ფორმაუცვლელი. წინადადების სინტაქსური მთლიანობიდან დისტანციური პუნქტუალობით განყენებულს ასრულებს მძიმე. როგორც მაიგივებელი კავშირი, ის ალაგებს და აჯამებს ზემოთ გამოთქმულ აზრს. მასადაამე, უჩენს ლოგიკურ ფუნქციურ ადგილს.

ჩვენი მწერლობა ყველა დროში გამოხატავდა საზოგადოების სულის ძახილს. ეროვნულ ხასიათს. მაშინაც, როცა ხალხის ზეპირსიტყვიერება იქმნებოდა, და მაშინაც, — როცა კარის შემოქმედებდა. ენის ნიაღვი გამჟღავნებული მსოფლმხედველობა სახელმწიფოს ძლიერებაზე დაყრდნობლ პიროვნულ სულიერებას გულისხმობდა. ეროვნული მთლიანობის და ძალმოსილების მოდელი, რაც ბანალურ მცდელობას კი არ, — ერის სულიერ ფორმულირებულ თვითმყოფადობას გამოხატავს, შეუდარებლად ნათლად იხსენება პირველ ძეგლებში: „ქართლად ფრიად ქვეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინიერის და ლოცვაა ყოველი აღესრულების“. ამავე ხელით შენაქმედი ნივთიერი ფასეულობა — ეკლესიები, მონასტრები — ამკვიდრებენ ეროვნულ სულს, სალოცავ ენას, ერისკაცთა მატერიალური თანადგომით გამყარებულ, დაკანონებულ სულიერებას; რაც ბუნებრივად იქცევა კიდევ სახელმწიფოს სრულყოფილების დასაწყისად თუ სიმბოლოურ ხატად. ერისკაცთა და სასულიერო პირთა კეთილ ქმედებანი აყვავებს კლარჯეთს, ადასტურებს ქართულ სული-

ერ, ანუ ეროვნულ, ფასეულობად ეკლესიამონასტრების სამკაულებით. და მას შემდეგ, მერე და მერე, ქართული ძალა, ეროვნული მეტყველება, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად იმდენს აინონის, რაც ამ ორ მხარეს – მატერიალურს და სულიერს – ესაბამება. ეს ქმედითი ჰარმონია საზოგადოების შესაბამის სახეს განაპირობებს. შესაბამისად, კონკრეტულ დროს ის ისეთად წარმოჩნდება, რა დოზებითაც ნაწილდება ერთ მთლიანობად. და ქართული მწერლობა ყველა ეპოქაში ხმოვანდება სულის ძაბილად. ის პიროვნული წესიერებით ასახავს ყველა მის დღევანდელ დღეს. რა ბრალი უნდა მიუძღვოდეს, თუ ყველა მისი შესაბამისი დღევანდლობა პირველსახე (დანარჩენი: მანერული ეტიკეტი, ფორმლობათა სისტემა, არსებითისგან ყოველად დაცლილი).

იქ კი, დღევანდლობაში, მუდამ არის კოლიზიურ-ამბივალენტურ ემოციათა მომცავი წინააღმდეგობა. დემონისა და ანგელოზის მეტნაკლები პირობითობა. ეს მერყეობს ხელოვანის არსებაშიც („გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“). მაგრამ ვინ ახდენს სახელდებას, ვინ არქმევს ერთს, ანაც – მეორეს. ქრისტიანულმა მითოლოგიამ ერთსახოვნად „ემზად“ შემოსა ანტიკური მითოსურობით სახელდებელი კეთილი ან ავი სული. ასეთი კერძო სახელდების მიღმა მუდამ არსებობს საგნის ინდივიდუალური არსი, ხელოვნების კერძო მცდელობა ხელახალი სამყაროს ქმნისა, საკუთარი გზა სინათლის ძიებისა. ორთოდოქსი თვალსაზრისით, მკრეხელობად სახელდებული სიტაზხედე. ან კი როგორ შეიძლება ერთსახოვნად გახსნადა გზა უკიდურესი თავისუფლების მქადაგებელ „ვეფხისტყაოსანს“, რაც ერთგვარად ქართველისთვის ბიბლიური რწმენის წიგნად ქცეულიყო, ზოგადადამიანური შესაძლებელი სიმაღლიდან, გაცდენილი რელიგიურ კერძო დოგმატებს. სახელმწიფო რელიგიის საზრისი მიღმა დარჩენილი, ის გაუმხელელ უარყოფას იგულისხმებდა საგნის, რომელიც საკუთარ თავში რელიგიურ ჭეშმარიტებად აღმატებულ აზრს ატარებდა. და სრულიად ბუნებრივია მისი ყველა უძველესი ხელნაწერის პირისაგან მიწისა ალგვა.

დემონისა და ანგელოზის პირობითი სახელდებები ისეთივე განსასჯელია, როგორც ცოდვილის ან უცოდველის მცნებები. როგორც, შეუვლი სფეროები რელიგიის რწმენის არსამდე მიუწვდომელი ფანატიზმისთვის, ვისთვისაც უფრო განსასჯელია, ვიდრე გასააზრებელი: რა განასხვავებს ერთმანეთისგან; სიცოცხლისთვის სიკეთით შექმნილ სამყაროში არაფერია ერთსახოვნად „კარგი“ ან „ცუდი“. მით უფრო შემოქმედი სულისთვის – მუდამ ატარებს თავის თავში დემონურს და ანგელოზურსაც. ზღვარდაუდებელს. უფრო რაღაც განსაკუთრებულს. ურომლისოდაც უმოქმედო პროცესი არ დგას. ყველა ქმედება, ყველა სვლა, რასაც სულიერების ტენი ახლავს, სინრფელე ახლავს, სიცოცხლისუნარიანია, ის ვერ იქნება განწირული.

მით უფრო, თუ ეს შინაგანი მდგომარეობა ერთსახოვნად შემოქმედი საგნის მხოლოდ ქმნას არ გულისხმობს. რა თქმა უნდა, ეს ფორმალური მხარეა მისი, მაგრამ აქაც ქცევის ფაქტორი უმთავრესია, ის შინაგანი განწყობაა. ამიტომ პოეტს ნიშნავს ვან გოგის, ფიროსმანიც, ჯავახიშვილიც, ალუდაც, ან ცნებისგან მეტად განყენებული რეალური თუ მოგონილი ხასიათი, აზრის უბრალო მატარებელი შინაგანი მდგომარეობა. ეს არის აზრის ანალოგი, რასაც აკაკი ხინთიბიძე ნანარმოების ფორმასა და შინაარსზე მსჯელობისას ავითარებს, რომ ტექსტების პოეტურობას შინაარსი და ემოცია განსაზღვრავს მეტად მის ფორმაზე. აქ კი ვერასადროს ავცდებით ყოფით რეალობას, კონკრეტული ემოციის გამომწვევ დროს, რაც სიცოცხლის უნარით ავსებს შემოქმედის ორგანულ კავშირს ანმოს ყოფნასთან. ინვეს ეპოქის სახასიათო მიდგომებს, ავლენს ადამიანურ მორიგ სულიერ შესაძლებლობას.

ამიტომაც არაფერია უდროო ან შეუსაბამო, ადამიანურ ემოციად გადაქცევის შესაძლებლობა რასაც მიეცა. ცხოვრებამ



რაც ასაზრდოვა. აი, ასეთ დროს ლიტერატურა გამოხატვის მხოლოდ ფორმაა. შინაარსი – რეალობა, რომელზეც დგას ფიზიკური ემოციური არსებობა. ის ვერასდროს იქნება სრულად განყენებული, არამედ – მისგან დავალებული. – „ეჰ, კარგი იყო ოხერი...“ – „რა – სიცოცხლე თუ ლიტერატურა...“ – „და განა სულ ერთი არ იყო?“

აქ ნიჰილიზმიც თავისთავად არაფერს ნიშნავს, როცა ჯანსაღი ფასეულობის – სიყვარულის და ჰუმანურობის – ფონზე ჩნდება. როცა ცრუ ფასეულობა და ფსევდო კეთილთა – შობილება ეუფლება სოციალურ ყოფას, ატანს და გაეგრძობა არსებობის მოცემულობად. როცა ირგვლივ სიყვარულზე ფარისევლობა მეტყველებს, ის თავისთავად არაფერს ნიშნავს. ის ხდება როგორც თავდაცვა, როგორც თავის დაღწევის საშუალება სიყვარულისგან, ლალატისგან, ძალადობისგან. რასაც არ უნდა შეერიოს. რასაც ვიდრე შეეროდეს, მჭვრეტელი მახვილგონიერებით უნდა შეხედოს. მოგვიანებით ეს ეპოქის გამოცდილებად უნდა იქცეს. სინონიმად თავდაცვისა თუ გადარჩენის. მთავარია რის გადარჩენას ახერხებ. რას უპირისპირებ. არაფერში გადასარჩენი არც არაფერი იქნებოდა. ყველა სიტყვის ყველა მცდელობა ბუნებრივი პასუხია ყველა იმედგაცრუებაზე, ძმისთვის დალატზე, როგორც რწმენის, ღმერთის სიკვდილის (კინეტიკურ და პოტენციურ ენერგეტიკულ ბალანსს გავს განცდა ძირს დავარდნილი (თითქოს) ქვის გულში).

თუმცა ეს უკვე პოეზიაა, ახალი რწმენა, უღალატო ღმერთის ძიება. უბრალოდ ადამიანური იდეალი, კულტურული გარემო, საზოგადოება. ანუ საწყის სიკეთესთან დაბრუნების სურვილი თუ გამოსავალი. რაც იმ კაცისთვის, ლიტერატურა რომ უყვარდა, ლიტერატურის გზაა, ვინმესთვის – მუსიკის ან ფერების ან ფილოსოფიის, ხელოვნების სასურველთან დაბრუნების როგორც მცდელობის.

ბუნებრივია, ამ მოვლენას სოციუმი არასწორად გაიგებს. თუ. ჯაჭვის მოცემულ რგოლს მთლიანობად, სრულყოფილებად გაიაზრებს და არა როგორც ნაწილს, როგორც გაგრძელებას. მათგან და არ იკითხავს. რატომ. ჩნდება საჭირო ეს ინდივიდუალტულობა. ეს სიცივე. გაბათილების არყოფნის ფორმა. სიმბოლურად. სიმეტრიულად. ბემოლის ნიშნად (ბოლოს და ბოლოს საკითხი დგება, არსებითად სად გადის ზღვარი ამბის ფაქტობრივ მხარესა და მთხრობელის ინტერპრეტაციას შორის. მით უფრო. თუ მთხრობელია ყველა – რიგითი, ინდივიდი, თვალისმომკრელი, მოაზროვნე. ვინ გაიგებს სიტყვას სიტყვა, თუ ერთი მართლაც ზუსტად ერთს უდრის. ეს მიდგომები ისტორიული ფაქტობრივი ანალიზის უნარს აჩვენებს; თავის მხრივ, მსგავს მიდგომებს განაზოგადებენ; როგორც ისტორიულ ამბებს, რაც არსებითად აზრის შიგნით შეუსაბამო ცდომილებით ენის ნიაღში პარონიმულ მნიშვნელობათა უმნიშვნელო ცდომილებით შესაბამისობად მოიაზრებიან.

ის, რაც მეტად დოკუმენტალისტიკის კი არ. (ვიქნებოდი ეთიკური და მის პარონიმულ ფორმას არ მოვიყვანდი, მაგალითად) რის სფეროც უმეტესადაა. ეს ჩემი ბრალი არ არის. ეს. ენის შესაძლებლობაა – ატროფიის გამომწვევი პარონიმული შესაბამისობის. თორემ, აშკარად, ხელოვნება გულისხმობს კიდევ დოკუმენტალისტიკის რაღაც ნიუანსს, როცა ნამდვილი ემოციით საკუთარი არსებობის ეპოქის სულს იმეორებს საკუთარ თავში.

ვთქვათ, „ბიძია თომას ქობი“ საუკუნის წინ ეპოქაში როცა შეიქმნა, ითვლებოდა პროგრესად, როგორც მოდერნისტული მოვლენა კინოს შესაბამის რეალობაში. დღეს რისი კალკიც, მექანიკური გამოვლენა, უდააო, ანაქრონიზმად ჩაითვლება. ეს ხელოვნების რეალობაა, შემოქმედი გემოვნების განსაზღვრულობით. თუმცა კარის ხელოვნება, კარის პროპაგანდისტობა, კარის ჟამთააღმწერლობა დღეს ისევე აზრდაცლილია სიახლისგან. არ არის რეალობის ფაქტი, ხელოვნების ფაქტი – მით უფრო.

ეს კერძო ჯგუფის სუბიექტურ-პროპაგანდისტული მცდელობა, ერთ-ერთი მხარე მთლიანობის სინამდვილისა, ვერ შექმნის ზოგად წარმოდგენას, ვინაიდან თავადა კერძო ჯგუფის მცდელობა, როგორც მისი პირველი ანალოგები: საეკლესიო პირთა მიერ ჩანერილი აგიოგრაფიული ჟანრის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშები, ლეონტი მროველის მიერ ჩანერილი (თუ გადაწერილი) „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები და მეფეთა ისტორიკოსთა მიერ ნაწერი ისტორიები, რის მხოლოდ და მხოლოდ ამარაც თანამედროვის წარმოდგენა არის ისევე ტენდენციური, როგორც თავად იმ ჯგუფის თვალთ დანახული რელობა, ვინც თავად ქმნის, ავტორია იმ ისტორიის. ეს პოზიცია ვერ იქნება უტენდენციო. ამიტომ აზრი, რეალობაში პირუთენელი, ისტორიული შეფასების, მით უფრო, სადაც მონაწილეობ, აბსურდია და მხოლოდ – თავისგამართლება, რა თქმა უნდა, თუ ეს სადმე ვინმეს ჭირდება.

და თუკი, კარის ჟამთააღმწერლის ვალი არის: არ შენიშნოს, კარგად შენიშნოს, როგორ თხრობს თვალებს შეთქმულნი გაძევებულ ტახტის მემკვიდრეს, დემე უფლისწულს, მეფე გიორგის მხოლოდშობილი ასულის ტახტზე ასაყვანად. ეს ისტორიულ შეუმცდარ გზად შეირაცხება. ეს არ უნდა შეიმჩნიოს თამარ მეფის კარის ჟამთააღმწერელმა. ფაქტია, როცა სტატიკურ დროში ხდება ამბავი. თუმცა, ვაცალოთ, დრო საკუთარი უდიდური სითამამით განსჯის არსებულს, მიუჩენს ადგილს.

რა თქმა უნდა, ეს არ აფასებს ვინმეს ყოფნის, მიკუთვნების წესს. მით უფრო, თუ აქ მთავარი წინადადების შემასმენლი ნათქვამი აზრი „დაფასებას“ ვერ იგულისხმებს, და მით უდრო – „გადაფასებას“.

შევეცადე წარმოდგენით კოლიზიური

სახეებისა და მოვლენების, რაც ცხოვრების მდინარეებიდან იღებს სათავეს, და რაც ბოლოს ლიტერატურის საგნად იქცევა, ლიტერატურულ პროცესს ირქმევს, შენთან ერთად კვალში ვდგომოდი. თუკი საწყისი ნამდვილობა – საპირისპირო მისწრაფებათა, ცვალებადი ჩრდილისა და სინათლის ძალით კონტურების გამოსაკვეთად, ინტერესთა ერთობლიობა – ქმნის საბოლოოდ ნიადაგს, რაზეც აღმოცენდება ხელოვნების საგანი, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურა, რის არსში წვდომას (თუ არა, წვდომის მცდელობას მაინც) ყველა თაობის გონიერი შემოქმედი ერთგვარად ცდილობს. მათით იქმნება ლიტერატურა, ეროვნული სულიერი გამოცდილება, ისტორია.

ცხოვრება პირობითობების ჯამია. მერე ბედს ვარქმევთ ხოლმე. ვერ გაიგებ, სად მოხვდები, ძალთა გადანაწილება ვის აღმოაჩენს შენ ირგვლივ – ბედად, უნებლიეთ – ადამიანთა რა ტიპს, ან რა კატეგორიას; გაუმართლებთ თუ არა შენს ახლობლებს, ვისაც რეალურად დაეყრდნობი, შესაძლებელი რომ ყოფილიყო. უამრავი თანმიმდევრული შემთხვევითობის შედეგად ხდება ის ასეთი. სწორედ. და ის. ვერანაირად იქნებოდა სხვაგვარი. როგორც. სიტყვების ეს თანმიმდევრობა სულაც არაა შემთხვევითი. რასაც ემოციური თუ, არსებით-სიტყვითური ფაქტორები ზუსტად იმ რიგით ალაგებენ, განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამას ხელს როგორ შეუშლიდი! ეს თავისთავად გულისხმობს კიდევ სიტყვის იმ აზრის პირობითობას, რასაც ყველა „თანამედროვე“ ატარებს. როცა, ან კი რა არის თანამედროვე. თანა(ც) მედროვეობასთან უფრო ახლოს რატომ არის შექსპირზე მეტად, ვთქვათ, ვინმე კალე (მომიტევეს უკანასკნელის სახელმა, სხვა არაფერი, გალაკტიონის შესაძლებელი აზრის ინტერპრტირებას თუ ვახდენ მხოლოდ). ის მუდამ თავის ადგილზეა. შესაბამისად ნაწილდება. და ზოგჯერ თუ გვწვდენ ხმა შორი, ქრონოლოგიის თვალწინდელი ძველი გზიდან, თუ ხმოვანდება ჩვენს უნამდვილეს დღეის ყოფნაში, როგორ უნდა იყოს უდროო, ანდა არათანამედროვე. როცა მასზე ამდენს ვფიქრობთ; მისით ვსუნთქავთ, მისით ვარსებობთ. ან რა უპირატესობას ფლობენ ისინი, ვინც ვერ გამხდარა ყურადღების ჩვენი ღირსი, ჩვენი საგანი. და მერე რა, რომ პირობითობის ჯამმა: ცხოვრებამ, ნაცნობთა წრემ, გარემოცვამ (რამიც უდაოდ, რამიც მის-დაუნებურად გაუმართლა) ამეტაპის უზრუნველყოფნა არგუნა. მთავარია ვინმესთვის იქცეს ეს ყოფნა ისე მნიშვნელოვანი, რომ საკუთარი სიცოცხლის დროს ინახავდეს გარდასულ სხოვნას, ემოციებს, ქცეულს სიტყვებდა. ნაფიქრალს, რაც ისევეა თანამედროვე, როგორც მასზე ფიქრის სურვილი. აი, რა დროს კარგავს სიტყვა ზედაპირულ ფორმალობას, ის იქცევა არსებითად მნიშვნელოვანი. შემთხვევითობის დროებითი



პატივით კი არ, – სიცოცხლის უნარიანობის საკუთარი შესაძლებლობის ამარა. მხოლოდ.

თემა, რომელიც ხელოვნების საგნად იქცევა, აქტუალურია. მიუხედავად, როგორი ინტერპრეტაცია არ უნდა ეძლეოდეს. ის ამჟღავნებს ზოგად თემატურ ინტერესებს საზოგადოებათა ჯგუფების მხრიდან, რაც თავისთავად ანალოგია მოვლენისა, პარტსაბჭოელ ავტორთა მცდელობისა, გამოეწვიათ სიტყვიერი ინტერესი პროლეტარულ მასებში, ანუ: ასე შეეცაოთ მწერკავშირის (ფრიალ)რიგები გემიურად. ხუთწლებით. განსაზღვრულ პროლეტარულ მასებში, ვინც შესაბამის ერთუზიანს არ დაზოგავდა თემატური ციკლის ნიმუშთა შესაქმნელად. აი, როგორი ნიჭიერებით ივსებოდა მწერ(ლ)ური ანთოლოგიები, კვირეულები ფრიალ თემებზე: ჭადზე, სიმინდზე, ლენინზე ანუ კომბაინზე. როგორც დროის შესაბამისი მოცემულ აქტუალობაზე. რაც ყველა დროში საზოგადო ინტერესის კონკრეტული ჯგუფის (თავის) ტკივილი ხდება.

და ხდება ხატის სიმბოლოდ ქცევა, გასაგნება, კონცენტრირება. რაც განსაზღვრავს მთარულ მიზეზს საგნის საკრალიზაციის. მისი გაიდვალეების. სწორედ საერთო იდეალები ქმნიან თაობებს სულიერი ისტორიისთვის. ანუ ჯგუფებს ასაკობრივი და დროითი ცენზის გარეშე. და რაც ამ დროს უმთავრესია, თემას ერთგვარი კულტურული სახეეძლევა. ეს საზოგადო ნიშანია. ჯგუფები ამ გზას თავს ვერ აღწევენ. მერე და მერე ინერცია მართავს მათ (წინ) სვლას. თუმცა ვინ იცის წინ თუ პირიქით. მოკლედ: სვლას მართავს. ეს არ ნიშნავს შეცდომაში შესვლას. ან მისგან თავის (თავად) არიდებას. ეს ინერციას ნიშნავს ცხვრების გულგრილ სვლას კლდისკენ. თუმცა იქნებ არც გაგვენირა. გვეთქვა: ცხვრების უბრალო დენას.

ამკარაა, მწერლის ნიჭი მხოლოდ სიტუაციურ და რეალობის ჭვრეტის უნარს არ გულისხმობს. არამედ – ენის სტილურ თავისებურებასაც და მოხდენილ თუ შთამბეჭდავად დაუვიწყარ სახეთა ქმნასაც, ანალიზის თუ დაკვირვების მახვილ უნარსაც. თორემ რაც ჩანს, ხომ ყველა ხედავს. სხვანაირად, ბარათაშვილის თანამედროვედ არასდროს გვემახსოვრებოდა არდაზიანის არსებობა. ლიბერალი აზნაურის მსოფლმხედველობის კაცისა, ვინც ირონიული მახვილგონიერებით ქმნის ისაკირ მეჯღანუაშვილის შთამბეჭდავ სახეს, რომლის წინაშეც უძღურია ტრადიციაც, ფერმკრთალი სისხლიც, იდეალებს მიდევნებული, დახვეწილი მანერულობაც. ის რეალური დროის გმირია.

„ოო, რა სიამოვნებით გამოვამწყვდევი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ. იმათ კი მსხვილ-მსხვილ ვაჭრებს მივყავოლები, პატარა ვაჭრუკანებს კი არა, არამედ მსხვილებს, მსხვილებს, და თუ იცით, რატომ? აჰ, რარიგ მიყვარს ისინი, და როგორი გულშემატკივარი ვარ მათი, თქვენ ხომ არ იცით. ნუ მიგაჩნიათ ისინი ბედნიერებად, და რაც მთავარია, ძვირფასებად, ნუ გშურთ იმათი — რაც არ უნდა მაღლა ასწიონ ცხვირი, რაგინდ თავხედნი და გაბლენდილი იყვნენ, მაინც ყოველი დღე ჩამზადდებათ ხოლმე, რადგან დაწოლისას, დაძინებამდე, არის ერთი რაღაც პატარა, გარდამავალი ნამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით...“

ბუნებრივია, ეს ამკარად თვალმისაცემი მოვლენა იყო. თუ ვთქვათ: როცა მწერლის კალამი იმახსოვრებს, მოვლენა თვალმისაცემი ხდება. თაობებისთვის ერთი და ორი საუკუნის მერეც და მერეც. სხვაგვარად ძნელი იქნებოდა გველაპარაკა ეპოქის ანალოგიებზე, რაც საკუთარ წიაღში მუდამ იმეორებს გენეტიკურ ხასიათებს ახალ და ახალ პირობებში. ეგაა მხოლოდ, უნდა შენიშნო, შეუსაბამო. სხვაგვარად იქნებ უმნიშვნელოც ყოფილიყო სადღაც მეცხრამეტეს, ლამის ორი საუკუნის წინა, ვინმე ლაერენტი არდაზიანის, ვინმე გიორგი ერისთავის მწერლური ყოფნა, როგორც ლიტერატურული მოვლენისა. რაკი მათ შექმნეს დროის უკვდავი სახეები. აი, რატომაც არასდროსაა უმნიშვნელო საგანზეთო პუბლიცისტური ჩანაწერიც კი.

რაც საკუთარ კულტურულ თუ ლიტერატურულ პროცესებს ქმნის. ეს ერთგვარი ტრადიცია თუ მესხიერება, ერთად, საშუალებაა: დღევანდელობის რეალურ ყოფნას აზრი მიეცეს. ახსნა მიეცეს. და –ემყაროს სასურველ წესრიგს.

და დღეისობით, ჩვენ მანამდე ვილაპარაკებთ სამოქალაქო საზოგადო დეფიციტებზე, არსებითად მენტალური მიდგომები სანამ უცვლელი დარჩებიან. სანამ მიკირტუნ გასპარიჩ ტრადიციების ანდა სოლომონ ისაკირ მეჯღანუაშვილების დამოკიდებულებით ილაპარაკებენ ადამიანები კულტურის სახელით. „სანამ „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას შვლის მწვადი კი არ გაახსენდებათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი...“

თუ ასეთი ჰუმანური ან ევროპისკენ გზა ესახებათ, ამკარაა, ეს სხვაეგვრობა მორსაა წარმოდგენილისგან. ის შესაბამისი სამოქალაქო აზროვნებას –ესაბამება.

ამ ფონზე, ყველა კავშირის მიღმა, მწერალს ჭირდება ავტონომია, შეუვალობა სხვაზე მეტად. არ იყოს დამოკიდებული. ეს პრინციპი სახელმწიფო ცენტრალიზების ანალოგია. მართავდა იმ მწერალთა კავშირს, სადაც ღმერთმა თუ იცოდა, რა

როგორც არ უნდა უჭირდეს მწერალს, მატერიალურად თუ დამოკიდებულებით, დღეს დეფიციტს უკვე არსად წარმოადგენს კალამი და სუფთა ფურცელი. როცა არსებობს ნება, რითიც ლიტერატურა შეიქმნება. დანარჩენი საბაზრო ეკონომიკაა, რეკლამაა, საჩვენებელი ბიზნესია. და ნაკლები ლიტერატურა. ლიტერატურა, მიუხედავად ყველაფრისა, შეიქმნება და მკითხველი ბოლოს და ბოლოს მიაგნებს მას.

ის, რომ მწერალი ვერ იარსებებს შემოსავლის ამარა, რასაც ლიტერატურა მოუტანს დღეს ჩვენს ქვეყანაში, პირდაპირ პროპორციულია ამ ქვეყნის სოციალურ-მენტალური დონის ციფრული მარცვლების, წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოებისა, სადაც ბაზარი არ ჭირდება მწერალს. ბაზარს ჭირდება მწერლის პროდუქტი – ლიტერატურა. ამ ნიადაგზე ზემოთ ნახსენებ პერსონაჟთა პერსონალური ყოფნა ახალ, სასიცოცხლო უნარებს იძენს.

თუ „ყოველი ნორმალური მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ...“

ის გვასწავლის და შეგვახსენებს საფუძ-

ხოდა, უკვე მოგიყვი ჩემს არასრულ მუსიკალურ განათლებაზე, შესაბამის იმ დეფიციტზე, მსაზღვრელის ერთგვარ კომპოზიტად ქცევის მიზეზად უარყოფითი ნაწილაკი რომ გადაიქცა, თორემ იქნებ მართლაც სრული რომ ყოფილიყო (მუსიკალური განათლება), არაფერსაც მოგიყვებოდი. ვიჯდებოდი სადმე, ასე (სავარაუდოდ), ზომიერად მყუდრო ოთახში და ყოფისგან მობზრებულ დროს თავს შევიქცევი ბრამსის ნატიფი სონეტების გამუსიკებით. რაც, როგორ არ დამამუნჯებდა. ანდა ენა როგორ მომცემდა საშუალებას, მელაპარაკა. ანდა რამეს როგორ ვიტყოდი. ეს შექმნიდა სრულიად სხვა მოცემულობას. მაგრამ მსგავსი შემთხვევითი რგოლი რაკი გამოირიცხა, მყობადის წრის ხოლმეობითი მწკრივის ვარაუდს (სამწუხაროდ) ვეღარ გავცდებოდი. ანუ: მომინევს გავაგრძელო. ყოფილიყოს თითქოს სმენით დანახული ლიტერატურა, ანდა თვალთ დანახული მუსიკა თითქოს.

ამბობენ, როცა გარკვეული ალქმის კარი დაკეტილია, გზა ესხნება სხვა შეგრძნებით მოცემულობას. ეს ერთგვარი კონცენტრირება ინტენსიურად ხსნის სხვა მხარეს. ვფიქრობ, ჯოისის ბგერათა ალქ-

დარეჯან სუმბაძე **ალტერაცია — სოციალური საბაზრო პოლიტიკა და (თანამედროვე) ლიტერატურა.** **თუ „რომელი საათია, კლიმ?“**



საერთო კრიტიკიუმები აერთიანებდა ერთს და ყველა დანარჩენს. მაგრამ რაკი მსგავს ეპოქაში სისტემურობას ძნელია ასცდე, უნდა ეცადო მაინც, როგორმე შეინარჩუნო თვითმყოფადობა.

ეს ერთგვარი კულტურული ფენომენი, რაც თავისთავად ხელოვნების კომერციალიზაციისკენ სწრაფვას გულისხმობს, ქმნის მასობრივი კულტურის ბაზარს, ახდენს არნახულ ტირაჟირებას გაყიდვადი და მოგებადი პროდუქტის (ზოგჯერ ლიტერატურის). ის ამკარად უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებელი მასის ზოგად ინტერესს, მის საშუალო არითმეტიკულს წარმოდგენდეს.

აი, ასეთი კოლიზიური პროცესები (რეალურის და წარმოდგენილის) ქმნიან ცოცხალ ლიტერატურას. რომელიც როგორ ასცდება მისი ეპოქის სულს, მშობელ ნიადაგს რეალობის დინამიკაში, როცა კიდევ უფრო ძნელია აღმოაჩინო ერთდროულად მომგებიანიც, აზრიანიც. თუმცა პირველი, კომერციული სფეროს პრობლემა მეტადაა. მეორეს კი, – აზრიანი ლიტერატურის პოვნას, მკითხველი, ასე თუ ისე, მუდამ ახერხებია. ბუნებრივია. თუ მკითხველი უმრავლესობას არ ნიშნავს აქ და საერთოდაც. ეს მისი პოსტ-მოდერნისტული მიდგომაა. ტექსტობრივი საგნისადმი, მწერლობისადმი.

ლიტერატურის ქმნას ბაზართან ზუსტად ისეთი კავშირი აქვს, როგორც საბაზრო ეკონომიკურ პოლიტიკას მთავაგონებლსთან. ანუ ის მაინც შეიქმნება.

ვლიანად დავიწყებულს. და ეს არის ლიტერატურის ყველაზე უფრო კეთილშობილი აზრიც, უნარიც. ბოლოს და ბოლოს ფიქრის გზაზე მდგარი ჰუმანურისა და მდგარი პროფესიონალის თანხვედრა ქვეყნის სასურველი მომავალია. ვინმესთვის იქნებ ევროინტეგრაცია ან დაპირებული სასუფეველი, მაგრამ არა უტოპია. „თხა და მგელი ერთად“ სადაც ძოვს – ჩვენს სულიერ ისტორიას უკვე გადახდა, ანუ შესაძლებელია. ეს გამორიცხავს ძალადობას, უმცირესობათა მიმართ ფობიებს, ან ფანატიკურ და დოგმატურ სწორხაზოვნებას. ქრისტიანობა შემოქმედი რწმენაა, რაც იცოცხლებს მუდამ, თავისთავში განვიტარებდა ახალ სიკეთეს იგულისხმებს და არასგზით სახეების და ცნებების დოგმატირებას. „სახის ყოვლისა ტანის“ მიერ შემოქმედი ხელოვნება საფუძველში სინათლეა და შეთანხმება ერის და ბერის, ორი ხელის, სულის და ხორცის ერთარსია. ბოლოს და ბოლოს სასურველი მომავალია და ის შემოქმედებით ყოფნას გულისხმობს, კი არ გამორიცხავს. ეს ალაგებს ამბავს სანყისთან, სიტყვას – უმთავრეს მნიშვნელობასთან; სადაც ბაზარი ხელოვნების პრინციპებს კი არ აკანონებს, – სხვა გზას უხსნის შესაძლებლობას; ან სალექსო ტერფის ზომას კი არ აფასებს ყასაბი, – ყასაბობს; მეპურე პურს აცხობს; ბრძენი – ბრძენმეტყველებს; გამომცემელი ნიგნს გამოსცემს; მწერალი – წერს. გაურთულებელ იდიომურ მოცემულობად: „ძალი ყვეს, ქარავანი მიდის“.

მის უცნაურობა მისი ხედვითი დეფიციტით აიხსნება, ბეთზოვენის ხმათა სისავსე – მისი სმენითი დეფიციტით. ანუ, ენა არსებითად გამოხატავს თავის თავს, სადაც გამოხატვის სხვა ფაქტორები უძღურია. შეგვეძლო, თემა გავგვევრცო კიდევ. მით უფრო თუ ამ ენაზე გამოხატვის სიტყვიერი შესაძლებლობა მოგვეცემოდა:

ენა, როგორც არა მხოლოდ სახლი, არამედ – ემოციების შენი სამოსი. ის რამდენად მომხიბლავია, უცნაური, ყურის (თვალის) მომჭრელი, ბასრი. ნატიფი. შენი უნარია. როგორ შემოსე. აუტანელი ემოცია. შენი ცხოვრება. რამდენად დამაინტრიგებელი. საინტერესო. მიმზიდველი სახით წარმოჩნდა. ენა შენი მატერიაა. მასალა. ჭერი. სახლი. სამშობლო. თვით. მყოფადობის ნიშანი. სახე. სახელმწიფო. არსებობის ნიშან-წყალი. ოკეანე. სრულიად მთელი დედამინის კუთვნილება. ის შენს ხელში ნდობის საშუალებაა. მათთვისაც, ვინც მასზე ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს. თუმცა ვისთვისაც ნაცნობია ემოციის გამომწვევი უპირველესი მისი ატომი. ის ყველა სმენას საკუთარ თავს მიაჩვევს. ის. სამეტყველო სახლად იქცევა. მოვიანებით ემოციების შესამოსელად. მომხიბვლელად. უცნაურად. ყურის (თვალის) მომჭრელად. ბასრად. ნატიფად. გაუძლისი. ჩემი ცხოვრების სულისმემძვრელ მიმზიდველობად. რომ ის იქცეს დასაყრდენად. ჭერად. სახლად. სახელმწიფოდ. რომ ჩემი დრო. ჩემი ენა. უცხო ყურის სამშობლოდ იქცეს.

კაცოო...

— კაცოო, შენი ნათელი სულის ჭირ- იმეო, შენი საიქიოს მზისა და მთვარისაო, შენი საფლავის ღრუვისაო, შენი მანდაური ალაგისაო, შენი ჩაუხრელი მუხლისაო, შენი ძარღვიანი ხელებისაო, აკი დადგენ და მისივენი კიდევცაო, შენი პირისფერი სახისაო, შენი ლატანივით ტანისაო; — ლატანი როგორიდა არის მეთქი და კობ- ტაო!

მარტოკა დარჩა სახლში და აბა, ტირ- ილს ვინდა დაუშლიდა?! ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იგლოვა ქმარი. მისტირო- და იმის ახალ სავალ გზას. ეხვეწებოდა: — ერთხელ კიდევ დამენახე, გენაცვალეო. ორმოცი დღის შემდეგ შეუჩვენე შვილე- ბი: — დედი, აქ გაგიჭირდება მარტო ყოფ- ნა, თან ზამთარი მოდის, წამოდი ქალაქში, გადაიზამთროს და მერე უკან ჩამოგიყ- ვანთ სოფელშიო. — არაო! — გაჯიუტდა ქალი, — კაცმა მითხრა, კარი არ გამოკე- ტოო, სინათლე არ გამოქროო, ცეცხლი არ მიმინავლოო, არ გადაიკარგო ქალაქში შვილებთანაო, უპატრონოდ არ დამიგდო მონაგარიო და მაშ, რა ვქნაო, იმის აზრს ვენაცვალეო, იმის სიტყვას ვენაცვალეო, იმის შეკრულ წარბებსა და ფიქრიან თვალებსაო! შვილები რომ ვერაფერს გახდნენ შვილიშვილები მიუგზავნეს: — ბებო, ბებო, წამო რააო, — გამოსწიეს ყელი ფუმფულა თითებით მისმა გვრიტმა შვილიშვილებმა და უარი ველარ უთხრა მათ, მიუგურგურა: — აგრემც ბაბო და- გენაცვლოთო. მაგრამ სანამ ქალაქში წა- ეიდოდა, მორჩა საშემოდგომო სამუშაოებს, ბოსტანი დაამუშავა, ხახვი და ნიორი დათე- სა წინდანინ, დასაბინავებელი დაბინავა, ერთადერთი ძროხა გაყიდა, ცხრა ქათამი და ბოთა ძალი მეზობლებს ჩააბარა, მოიხ- ვია თავზე შავი ქაშმირი, ნიკაბთან გაინ- ასკვა, სახლისა და მარნის კარები გამოკე- ტა, გასაღები გაზის ბალონის ქვეშ ამოღო, ჭიშკარს დიდი ბოქლომი დაადო, ერთხელ კიდევ დარდიანად გადაავლო თვალი თავის ნაჯაფარ მიდამოს და გაწყვიტა ქალაქ- ში შვილებს. პირველ დღეებში თითქოს გაიხარა კიდევ შვილების სახელეულობი- თა და განყობილი ოჯახებით, მაგრამ დარ- დის ჭია არა და არ ეშვებოდა, ყოველ ღამე ესიზმრებოდა სოფელი. ყოველ დღით კი წამტირალევი თვალებითა ხვდებოდა ოთახში შესულ რძალს: — რა ვქნა, შვილო, მედარდება, შენ გენაცვალეო, მენაღლე- ბა ჩემი სახლ-კარისაო, კაცმა მითხრა ნალვერდალი არ გამიცოო და აბაო, მე კიდევ აქა ვსკუპივარო. რაც ქმარი ავად გაუხდა და სანოლად ჩავარდა, ისედაც მაღალი წნევის პატრონს, სულ გადაავინ- ყდა თავისი წნევა, ისე იყო თავის ქმარზე გადაგებული, არც წამალი ახსოვდა და არც წნევის საზომი აპარატი. — ოჯახის თავზე მექცევა და რა დროის ჩემი წნე- ვისაო. იმიტომაც იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ რძალმა ხელი ძლივს შეაშ- ველა, ჯერ ხელ-ფეხი წაერთვა, მერე ენა, რეანიმობლით გადაიყვანეს ქალაქის საა- ვადმყოფოში. თითქოს გამობრუნების პირი უჩანდა, მნახველებს სცნობდა, ლაპარაკით ვერა, მაგრამ ხელებს გაშლი- და და მერე გულზე დაიდებდა, ანიშნებდა ყველას — აი, ამ გულში მყავხართო. იმ ღამით თითქოს არაფერი, მაგრამ გამთე- ნიისას გააღვიძეს საავადმყოფოს ფან- ჯარაში შემოფრენილმა ანგელოზებმა.

გაზაფხულზე სიცოცხლისფრად ბიბ- ინებდა მისი ბოსტანი...

თაღსო

თაღსოს თაღსუფი ერქვა სრულად, პაპამისის პაპის სახელი. დეისიერთა იყო ბიჭი, დედისშვილი, დედისიმედა. მაგრამ მხოლოდ დედას კი არა, მთელ სოფელს ჰქონდა მისი იმედი.

— თაღსო, მაიტა, შეშის მოტანაში მიშ- ველეო...

— თაღსო, წამო, სათიბად გამყეო...

— თაღსო, ვილისი ტალახში ჩამივარ- და, გასწი, ამამაყვანიეო...

— თაღსო, ყმანვილი ავთ არი, არიქა, ექიმოო...

— თაღსო, აგე, ხალხა, ხეზე ადი, გენ- აცვალე, კაკლის დაბერტყევაში დამეხმარ- ეო...

— თაღსო, კარები დაგულეო...

— თაღსო, ისაო, თაღსო ესაო...

მხოლოდ ქვევრის გარეცხვაში ვერ ეხ- მარებოდა ვერც თავისებს და ვერც მე- ზობლებს, ვერ ეტეოდა ქვევრში და რა ექნა?! — შე დევერხანავ, დევიპილიავ,

წინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები



დევიმხარბეჭავ... სიყვარულით მიაძახებდ- ნენ ხოლმე ბირჟაზე ჩამომსხდარი სოფ- ლის პაპები. ყველა და ყველაფერი უყვარ- და თაღსო: ბალახიც, ქვაც, ხეც, ფოთლო- იც, მინაც, მინიდან ამოყვლელები და წელს გადაცილებული ბებიაც. შეხსნიდა ჭიშკარს, შევარდებოდა ეზოში ზრიალით, ღრიალ-ღრიალით, სიყვარულით გაადენ- და ბღღვირს იქაურობას. თუ ეზოში თვალს მოჰკრავდა მართა ბებია, დაეძვებოდა ფეხებში, აიტატებდა ღრუბლებს ზეით, დააბზრიალებდა ერთჯერ ან ორჯერ: — შოი, თაღსო, შოი, შოი, შვილოო, ჩემი სი- ბერის რეტი არა მყოფნის, შენც რო მი- მატებო?! მხრებით დაჰქონდა მთები თუ გორმახები, გულ-მკერდით — ზვრები თუ ხოდაბუნები, ბეჭები — მინდვრები თუ ტრამალები... დადიოდა, დატორტმანებდა, მინასა სძრავდა, ცას სწვებოდა, ვარსკე- ლავებსა და მზეს სცდებოდა ეს ჩვენი თაღსო. ერთხელ ქალაქში წაიყვანეს, გულ- მა დაანუხარა. ფეხზე დადგა დიდი და პატ- არა. ამბავი ჩამოიტანეს, პათოლოგიაო, ორი გული აქვსო, გამონაკლისიაო, იშვია- თიაო... — პათოლოგია არა, მითოლო- გიაო, — სიცილად არ ეყო თაღსო. — ეგე, ერთ გულში რო ვერ მეტევიო, მეორე გული იმითვინა მქვ, ყველანი რო ჩაგი- ტოთო. — ი, შენ კი არ იყავ, შე მამამაღ- ლო შენა, მაშ კოლას ხიპრინანა გოგო რომელ გულში გიზის იციო? — აბა, აბა, აკაუკა ლაპარაკი ნუ იციოთ, მიაჩუმა სოფ- ლის პირი მეტყევე კოლამ. მას შემდეგ არც უნდოდა თაღსოს ხსენება. — გოგო, თუკი შენად გეგულეო, გამამყეო! — შუალამის- ას მიადგა თაღსო მეტყევე კოლას გოგოს ფანჯარას. თან ძირიანად დათხრილი ზიზ- ილები მიუტანა: — ცოდოა, რო მომეწყე- ტა, ჩახებოდნენ და თუ გამოყვებო, ჩვენ- სა ჩავრგოთო. გოგომ გაუღიმა, ნუთში შეკრა თავისი ფლას-ფულასები და გად- მოძვრა ფანჯრიდან. მას შემდეგ ტყეში შეშაზე მიდიოდა თაღსო, სათიბად თუ ბაღის ბოლოში, სადაც კი ღამაზ ყვავილს დაინახავდა ფესვიანად, ფრთხილად იღებ- და მიწიდან და ხელის კანკალით მიჰქონ- და თავის გოგოსთან. მათ ეზოში ნაირ-ნაი- რი ყვავილი ხარობდა. ერთხელაც ფეხი დაუცდა თაღსოს, ჩამოიშალა კლდიდან ქვაო და სული მიწამდე ვერ მიიტანა სა- ბრალო ბიჭმა. კოლას გოგომ შავი კაბა რომ ჩაიცივა, არც გაუხდია, მაგრამ ყოველ დღით მის კაბაზე ყვაოდნენ წვერი- ლნივრილი ზიზილები. შუალამემდე უღალანებდა მერე კაბის თაღსო კალთები. — ე რა არი, დარისხოს ჭირმა, ეგეთი არაფერი გვინახიაო! — იძახდა ამის შე- მყურე ხალხი.

როცა დედა ხარ

როცა დედა ხარ, ღამეში რამდენჯერ- მე უნდა წამოფეთდე. ყური მიადო ჩვილს სლიკინა ლოყაზე და მისი სუნთქვის რიტ- მით მიხვდე, რა ესიზმრება; ჟრუნია თუ შავთვალეობა სვილის სიზმარი. საბნის ბაბლები, ბალომის პირი ანდა ზენარი გაგიყვითლოს ბავშვის ტუჩების კუთხიდან ან ნიკაპიდან ჩამოგორებულმა რძის წვეთ- ებმა, რეცხო და ხარშო თეთრეული, ვერ გაათეთრო!.. და როცა დილა ავარდება,

როგორც სითერთე შენი ტანიდან, შენც ფრთხილად უნდა გადმოაბიჯო მძინარე ქმარს და ოთახი ფეხაკრეფით გამოიარო. თმა დაივარცხნო — ჩამოიბერტყო მხრე- ბიდან ყვავილი მტვერი, ხელ-პირი დაიბანო — გაგივიდეს ვარდების წვენი, ძუძუები თბილი წყლით ჩამოიბანო — ტაშტში დაგიდგეს თეთრი გუბე. მერე სახ- ლი ხან მიალაგო, ხან აუთაო, ხან გადაფერ- თხო... გახვიდე ეზოში და ტურფებქვეშ ისე რბილი გეჩვენოს შენი ეზოს მინა, როგორც ჩვილის ყიფლიბანდი და კოჭებზე შეხე- ბულმა ნაკრტენივით ამოღინდულმა ნამიანმა ბალახმა გაგაჟრიალოს. ბაღის ბოლოში იპოვო ჯერ კიდევ ცვარშეუმშრა- ლი ბაბუნაწერა, მოაგროვო მისი ფოთლე- ბი, ქმარ-შვილი რომ არ გააღვიძო, სახლის უკან წაიღო და როდინში დანაყო, განურო, მოაყარო მარლი და ნახევარი საათი დააყ- ენო. გაურთო ლიმონის წვენი, შაქარი ან თაფლი და სვა ნახევარ-ნახევარი ჭიქა, რძის ჩასადგომად, დღეში ორჯერ, დილა- საღამოს. ხომ გითხარი, როცა დედა ხარ, ღამეში რამდენჯერმე უნდა წამოფეთდე- მეთქი, მოძებნო ჩვილის ვაშლ-ატამასავ- ეთ პრიალა ლოყა, ცხვირი მიადო... მაგრამ თუკი ვერ იპოვი შელის ლოყა და გაგახ- სენდა, რომ აღარ გყავს, სანოლიდან მაშ- ინვე უნდა წამოგდე და გაიბოტო, ცალი ფეხი — სააქაოს, ცალი ფეხი — საიქიოს ჩაადგა და ისე ხმამაღლა დაიძახო, რომ შენი მძინარე ქმარიც წამოახტუნო: — ეპეი, ემანდ ბალდი არავინ შემშინოთ, ნუ გეშინია, აქა ვეღვავე დედა გენაცვალოს და გიყურებე!..

მურაბა

შაში, მურაკა ბიჭი იყო. სქელი, ხვეუ- ლი თმა ედო თავზე, მისდღემში სავარცხ- ელმიუკარებელი. თვალბიცი შავი ფერისა ჰქონდა, ღობის ძირში მაყვალი რომ გვიმ- ნიფს ისეთივე მსხვილი და ბრიალა. თუ სადმე რაიმე შავდებოდა მისი ხელის ამ- ბავი იყო: სანოლქვეშ თაფლი და კარა- ქიანი პურის მიწებებაც, დაუკითხავად აღებული სამართლებლი თითების დასერ- ვაც, ეზოში ქათმების დანიოკება-დაფრთხ- ობაც, მანვინის ქილების დამტვრევაც, მე- ზობლის ღობეზე ჯერ უმნიფარი ჭერმის მოსაპარად გადაძრომაც, შურდულით ჩიტების დენაც, კატების ნვალბაც, ფეხ- ბურთის ქეჩის დროს ჩხუბიც, ფი- დოსთვის თვის სროლაც და თავის გატეხ- ვაც, ველოსიპედით ხოკიანთ სერიდან სწრაფად დაშვება და კიდევ ათასი რამ, რაც მე არ ვიცი. — შვილო, ერთი ხანობა მდი- ნარის წყალიც დადგება ხოლმე, ჩამაის- ვენებს, შენ რა ხარ ეგეთიო — გაუწყნებო- და ხოლმე ბებია, მაგრამ როდის უსმენდა?! ხან პაპამისის ჯოხზე იყო გადამჯდარი და „დააჭენებდა“, მერე ჯოხს სადღაც მიაგდებდა, პაპას კი არა, ეშმაკსაც უჭირ- და იმ ჯოხის პოვნა. ხან დაიჭერდა ბაყაყებს და მილივით წვერილი ბალახის ღეროთი ჩაბერავდა ხოლმე, ტბის პირას საცოდა- ვად დაგორავდნენ გაბერილი ბაყაყები. დიდი თარსი და ხიფათიანი ბავშვი იყო მან- ამ, სანამ არ გადაწყვიტეს, მოენათლათ: — იქნება მირონმა დააშოშმინოს, დედობა გაუწიოს მფარველმა ანგელოზმაო.

ნათლისღება დღეს ჩაანყო კალათში ბები- ამისმა გულიანები, თაფლაკვერები, ნუშის ნამცხვრები, ჩურჩხელები, თხილი, კაკალი, ლეღვისა ჩირი და ალუბლის მურაბა. თეთრი, გახამებული ჩაის ტილო გადა- ფარა, მერე მურაკას მიუბრუნდა, „ში- ფანერკიდან“ საგარეო ტანსაცმელი გად- მოუღაგა. უჭირდა ბიჭის მოვლა, მაგრამ რა ექნა, ობოლ ბიჭს მზრუნველობას ხომ ვერ მოაკლებდა. ხილაბანდნაკრული დაფანფალებდა ბებია ცოქლა, ხვენითა და ვაი-ვიშით დასდევდა უკან მურაკა ბიჭს. მამა დოსითე მუხლამდე იდგა ყინულ- ჩამტვრეულ მდინარეში და ხალხს ნათ- ლავდა. სიხარულით ჩადგა მურაკაც. — აგრემც გული დაგიამდეს და სული დაგი- მოშმინდესო, პირჯვარს ინერდა ცოქლა ბებია. მურაკას მოჰკიდა ღონიერი ხელი მოძღვარმა და ტორილდა წყალქვეშ სამ- ყარო, ძლივს ამოისუნთქა და კინაღამ ამო- აყოლა სული მურაკამ, მეორე შთაფლვი- სას ისევ დატრიალდა თითქოს ყვე- ლაფერი, გაახილა წყალქვეშ თვალი და დაინახა მთელი ცამყარი, მესამეჯერაც მისცა თავი სოფლის მდინარეს, ჩაიხედა და ახლა თითქოს წყლის ქვეშ ფრთხილად- ნენ თეთრი ხუნდები. ნათობის სახელი — ღვთისავარ, ხმამაღლა დასძახა მღვდელ- მა და გაუცინა ყველას. ახლა უკვე ღვთის თვალქვეშ იდგა აკანკალებული ბიჭი ღვ- თისავარი და ვარსკვლავებით უცმცი- მებდა სული.

სასაფლაოს დარაჯი

აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვი- დეულის ორშაბათს ვხედავდი ხოლმე, ფეხზე მატყლის წინდით და კალოშით, გაკემსილი შარვალ-პერანგით, ზედ ბუნვი- ანი, უმკლავებო მოსაცმელით, შავი, კახ- ური თექის ქუდით, თეთრი წვერითა და წყლიანი თვალებით. ვუყურებდი და ვფიქრობდი ხოლმე: ადამიანიც მდინარეა, აი, როგორც ჩვენი ალაზანია მეთქი. მი- დის, მიდის და გზას მიუყვება, თავქვე კი არა, აღმა-აღმა. რაც უფრო სათავისაკენ მიდის, თვალბიცი ცრემლი ეწმინდება, უკამკამდება. უფრო მშვიდი და უთქმელი ხდება, გაიყურება რაღაცის მოლოდინში, სათოვლედ გამზადებული მიდამოსავით. სწორედ ისე, როგორც ჩვენი სასაფლაოს დარაჯია, სასაფლაოს ხის ჭიშკართან, კაჭარ ქვაზე ჩამომჯდარი, ცრემლდამ- მენდილი, ხელბაკანკალებული, თავდა- ხრილი და უთქმელი მოხუცი. ჭირისუ- ფლები რომ მოინახულებენ თავ-თავიანთ მიცვალებულთა საფლავებს, წატირებენ, ღვინიან ჭიქებს ამოატრიალებენ, ნაკურთხ წყალს მოახსამენ, ენდროთი და ხახვის ფურცლით შეღებულ დაღანა კვერცხებს დააგორებენ, მერე გაშლიან ხელსახოცებს ან ცელოფნის პარკებს და თონეში გამოშ- ცხვარ პასკებს დაანყობენ, აი, მაშინ გამოწნდება ხოლმე სასაფლაოს დარაჯიც. გიცხონოთო, იტყვის. ერთ ლუქმა პურს ღვინის ჭიქით ჩაანობს თავისი აკანკალე- ბული ხელით და ახლა სხვა საფლავთან გადაინაცვლებს.

ბილიკზე დავეწვდი ხოლმე და გავუ- წვდიდი პიტნის კანფეტებს, პაპანგემის საყ- ვარელი კანფეტი იყო და სასაფლაოზე ისე როგორ წავიდოდა, მისი საყვარელი კან- ფეტებით არ მქონოდა ჯიბე სავეს. ჩაილ- იმებდა უთქმელი მოხუცი და მორცხვად აიღებდა განვიდო კანფეტებს. წავიდოდა და დაჯდებოდა ისევ სასაფლაოს შემოსას- ვლელთან ახლად ამოსულ ბალახებში ჩადებულ ქვაზე, მიეყრდნობოდა ზურგიით სასაფლაოს ღობეს და ახედავდა ცრემლ- ჩამდგარი თვალებით ზეცას. ირგველი კი გაზაფხული ფუთფუთებდა ჩირთით, კვირტებით, ბაიებით, ამობურცული ჭიან- ჭველის ბუდეებით, ღობესთან ამოწვერ- ილი ჭინჭრის დედეებით და ნაცარქათამა ბალახებით. მერე ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა ხოლმე მისი, რომ ისევ სასაფლაოზე გავქცეულიყავი და წამელო ჩვენი ეზოს ასკოკორა კუნწულა ვარდები. ერთ მისის თვესაც მოხუცი ჭიშკართან აღარ დამიხვდა, გამვლელსაც ვკითხე და გამომვლელსაც, ხომ არაფერი იციო-მეთ- ქი. — ვისა კითხულობ, სასაფლაოს დარა- ჯსაო? სასაფლაოს დარაჯმა თავი მაიკ- ლაო... ისედაც ხომ ჩამოფურცლული ჰქონ- და სიცოცხლის დღეები-მეთქი, გავოცდი, რა ვერ ატარა, რა ემძიმა ბოლოში გა- სულს?! წარმოვიდგინე, როგორც მისი გა- ხუნებული პერანგი, ვითომ გადაჰკიდა სუ- ლი საიქიოს ღობეზე, გაიარა და წავიდა...

მხარაი

ირაკლი სამსონაძე

არ ვიცი, რა სიტყვები ვთქვა მწერალზე, რომელსაც რამდენიმე წინადადებით შეუძლია ადამიანს გაახსენოს მისი არსებობა, ჩაახედოს საკუთარ თავში და მთელი სამყარო დაანახოს, მერე ათქმევინოს, მე ვარო „ერთ დროს ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი, მშობლების მიერ ერთდროულად ჩათქმული, მათი სიყვარულის ნაყოფი, დედაჩემის სხეულში გამოძინებული, დედის, მამის, ბებია-ბაბუების, მათი მშობლების, მათი მშობლების მშობლების, უფრო იქით, კიდევ იქით, სამყაროს შექმნის დღიდან მოყოლებული წინაპრების ყველა თავგადასავლის შემსწრე და თანამონაწილე“. რა სიტყვები ვთქვა მწერალზე, რომელმაც დაწერა „მოესმა, ლორთქო ჯეჯილის სუნი შრიალებდაო“, „მზის სხივი წინმსწრად სხივს ენეოდა, ქროლვაშივე ენასკვებოდა და ერთიანად აღმურასული ეხეთქებოდა მიწასო“, ან როგორ გამოვხატო მადლიერება იმისთვის, რომ მოახერხა სიტყვაში ერთდროულად მოექცია ისტორია, მილიონობით ადამიანის პირადი თავგადასავალი და უზომო სევდა: „მოდით დედა... მოეზიდებოდნენ მაგნოლიებს, ზღვას, ნესტსა და სიცხეს, ნაპირზე დახეთქებული ტალღის ხმას, დაბალ კოინდარს... ხალხის თვალუნვდენელი, გრძელი რიგი მოეზიდებოდა დამარცხების სიმწარეს, მამა-პაპის სამარეებსა და თოვლიან მთებს, შემოდგომის წვიმებს, ყავახანებსა და მოხალული ყავის არომატით გაბრუნებულ ბულვარებს, მოეზიდებოდა ფიჭვებს, სახლს, კერიას, შეჩვეულ და შეუჩვეველ აქამდე ნივთებს, რომლებიც მერე გაგახსენებენ თავს“...

იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა, რასაც ეს ამონარიდები თავის ავტორზე, ირაკლი სამსონაძეზე ამბობს.

— ბატონო ირაკლი, სატელეფონო საუბრისას მითხარით, ვმუშაობ და ვცდილობ, შინიდან არ გავიდეო. უფრო ხშირად წიგნის პრეზენტაციის შემდეგ ვხვდები ხოლმე მწერლებს, იშვიათად შევხვედრები ვერსტოვს, რომელიც თავაუღებლად მუშაობს. მაინტერესებს, რა მდგომარეობაა ეს, რა პროცესია. იქნებ ამ თემით დავიწყოთ ჩვენი საუბარი.

— ეს ჩემთვისაც საინტერესო მდგომარეობაა, იმიტომ რომ ყოველთვის სხვადასხვანაირად ხდება მუშაობის დანყება. იმ მდგომარეობაში შესვლაა რთული. მწერალი მუდმივად ფიქრობს რაღაცაზე, მისთვის ხომ არც შაბათია, არც კვირა, წერს რაიმეს თუ არა, მაინც სულ მუშაობს, შეიძლება საინტერესო იდეა ჰქონდეს, რაღაცას თითქოს მოეჭილოს, მაგრამ თუკი იმ მდგომარეობას ვერ მიაღწია, პროცესში ვერ შევიდა, არაფერი დაინერგება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. ძალიან გამიხანგრძლივდა იმ მდგომარეობის მოხელთება, ბევრმა რაღაცამ განაპირობა ეს — წლების განმავლობაში შინ ვიჯექი, მუშაობის პროცესში ვიყავი, ახლა კი სამსახურში სიარული მიწევს, ამიტომ ძალიან ველოდი ზაფხულს, როცა გაქვს ფუფუნება შინ შეიკეტო და წერო. ჯერჯერობით არ ვიცი, რა გამოვა, ვნეალობ, მაგრამ ახალი ტექსტი ყოველთვის განვალბებს. შინიდან თუ გავიდე, ის დღე დაკარგული მაქვს. არც ვიღლები, არც არაფერი, მაგრამ მათხოვარს დავინახავ, ვიღაც გამომელაპარაკება, გადავკოცნი და სხვაგან ვარ უკვე.

— უფროსი თაობის ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მწერალი მუუბნება, ნანარმოებზე მუშაობას მომზადების გარეშე ვინცებო, როგორ განვიტარებოდა ისტორია წინასწარ თითქმის არასოდეს ვიციო. მასთან წერის პროცესში იხსნება სიუჟეტი, განსხვავებით, მაგალითად, უმბერტო ეკოსგან, რომელმაც, როგორც „ვარდის სახლის“ ბოლოთქმამი დაწერა, მთელი რომანი წინდაწინ იცის, სამყარო დეტალურად აქვს შექმნილი. ამბობს: „სამყარო იყოს, სიტყვები მოვა“. თქვენთან როგორ არის?

— არ ვიცი, ნაკვირვალად თუ არა „ლუას საათი“, ის ასე დაინერა — დავინყე რაღაც-

ით, რომლის გაგრძელებაც არ ვიცოდი და პრინციპში, თავი ვაიძულე, მეწერა. დაახლოებით ხუთი თვე ვიმუშავე, მაგრამ ინტენსიურ რეჟიმში, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ვებჭდავი ნაწყვეტებს, იმიტომ რომ არ ვიცოდი, მოვახერხებდი



გაგრძელებას თუ არა, რა იქნებოდა შემდგომი ეპიზოდი. რაღაც ვიცოდი, გუმანით, კულზე მქონდა ხელი ჩავლებული, მაგრამ ყველაფერი რომ დამენახა — ასე არა. აქედან გამომდინარე ერთ რომელიმე გამოცემასთან ვალდებულეა არ ამიღია, ასე რაღაცნაირად ავიმუშავე თავი. ეს ერთგვარი შეგნებული პროვოკაცია იყო, რაზეც საკუთარი თავი წამოვადე. გაამართლა.

— „ლუას საათი“ რაღაცით დავინყეო — თქვით. რითიც ნანარმოები იწყება, იმით არ დავინყეო?

— არა. სხვათა შორის, „მსუქანი მძაფრით“ დავინყე, მერე დაინერა პირველი ნაწილი, „მწყერი“ და ბოლოს ძირითადი — „მცხეთური პური“.

— ყოველთვის ამ პრინციპით მუშაობ?

— რა ვითხარათ, ასე წერა ჩემთვისაც სიახლე იყო. მაგალითად, „დარინდა“ ერთი ამოსუნთქვით დაინერა, ის ხომ „ლუას საათის“, მისი სამყაროს ნაწილია, ტრილოგიის დასასრულია. ამიტომ უფრო ვიცოდი,

რა მინდოდა, უფრო მობილიზებული ვიყავი. თუმცა იოლი არც ის შრომა ყოფილა, უბრალოდ, „დარინდას“ შემთხვევაში ის ისტორიები, ის ამბები ლოგიკურ დასრულებას ითხოვდა, უდაბნოში მოხეტიალე ხალხის დარად, „ყურთბალიშის“ გმირის, „ლუას საათის“ პერსონაჟების, იმ თორმეტი ბიჭის გზაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა დასრულებულიყო. აქედან გამომდინარე, ვიცოდი, წერტილი სად დამესვა. თუმცა ახლა რაზეც ვმუშაობ, ის დაახლოებით „ლუას საათის“ პრინციპით ინერება.

— რაზეა ახალი რომანი, ბატონო ირაკლი?

— პრინციპში, სტრუქტურას გავამხეღე, იმიტომ რომ ერთი ნაწყვეტი „ლიტერატურულ გაზეთში“ უკვე დაიბეჭდა. ნასესხები სამი დღე, სამი ქარიანი დღე — აპრილის 13, 14, 15 — ოღონდ სხვადასხვა ეპოქაში. რაც შეეხება იმას, თუ რაზეა რომანი — იმაზეა, რაზეც ინერება ნანარმოებები, განსაკუთრებით რომანები — ცხოვრებაზე. როცა ავტორი მხოლოდ ერთ თემაზე წერს, მგონია, რომ ის ტექსტი არ ვარგა, რაღაცნაირად შეზღუდულია, იმიტომ რომ რომანი ცხოვრებასავით არის — ცხოვრებაში ერთი თემაა, რომელშიც

ტრილოგიის ჩანაფიქრი მაშინ არ მქონია, ეს მერე და მერე გაჩნდა, როცა უფრო გაცნობიერე რა მსურდა, როცა ბიბლიურ თემასთან ალუზიები გაჩნდა. მანგლისში ვწერდი, დაახლოებით ოცი დღე ვიყავი იქ. რა ვიცი, ეტყობა, სათქმელი დამიგროვდა, როგორც ჩანს, ფორმაზეც ქვეცნობიერად ვფიქრობდი. იქ პირველ პიროში მიღის თხრობა, ქვეცნობიერის ნაკადს მიჰყვები. აქედან გამომდინარე, მეტი გულწრფელობისთვის, მეტი თანაზიარობისთვის მკითხველისა მთავარ გმირთან, ტექსტმა სრულიად სხვანაირი სინტაქსი, თავისი ზმნა მოითხოვა. ვფიქრობდი, როგორ შეიძლება პირველ პიროში მოყოლილი ამბავი გახადო საინტერესო, რა ხერხით მიაღწეო ამას. თუ დააკვირდებით, ტექნიკურად, ეს არის ერთი ადამიანის თვალთ დანახული სამყარო. როცა ამას რაღაცნაირად ჩემთვის მივაგენი, ამან მკითხველის თანაგანცდა გამოიწვია, იმიტომ, რომ მკითხველს გაუჩნდა ილუზია, რომ ეს მისი თავგადასავალია, თვითონ მოძრაობს, საკუთარი თვალთ ხედავს.

შემდეგ მქონდა რთული პერიოდი, იმდენად გამბედავად წერის ამგვარმა ფორმამ, რომ თითქმის ყველაფერს ასე ვწერდი, ოღონდ არ ვაქვეყნებდი — იმიტომ, რომ „ყურთბალიშს“ ჰგავდა.

„ლუას საათში“ სულ სხვა გზით წავიდე, თუმცა ამას წლები დასჭირდა.

— წერდით და არ აქვეყნებდით?

— რა თქმა უნდა. მარტო მე კი არა, საერთოდ, მწერალი ასეა. აუცილებელი არ არის, გამოაქვეყნო, მაგრამ აუცილებელია, წერო. მაგალითად, „დარინდაში“, არის ერთი მონაკვეთი, დევნილები სვანეთის ერთ-ერთი გზით რომ გადმოიან. ეს ადგილი გაცილებით დიდი ხნის წინ მქონდა დაწერილი, ის მონაკვეთად არსებობდა, მაგრამ მწიფე არ იყო, როგორც ჩანს, თავის დროს ელოდა.




წერის პროცესი ეხმარება მწერალს. თუ ჩანაწერი მესხიერებას დარჩა, ესე იგი, მასში რაღაც მარცვალი დევს, უბრალოდ, მისი დრო ჯერ არ დამდგარა. ასე ხშირად ყოფილა, რაღაც ჩანაწერს მოგვიანებით, სადღაც გაუხსენებია თავი. დედაჩემს ჩემი ძველი ნაწერებით სავსე ჩემოდანი აქვს, არაფერს ყრის, მეც აღარ ვიქექები, გონება უკეთესად ინახავს.

— საოცარი რამეა ეს წერა. რაღაც იდუმალი, უახლოესი და რეალური კავშირი იბმის პერსონაჟებსა და მწერალს შორის. ავტორი თითქოს მათი ნაწილია, ერთ-ერთი მათგანია. სხვანაირად კარგი ტექსტები ალბათ ვერც შეიქმნება. მაგალითად, თქვენი მწყერი „ლუას საათიდან“ — ის ისეთი ცოცხალია, ისეთი ნამდვილია. საიდან ასეთი სიახლოვე მასთან, აკვირდებოდით?

— მწყერზე წარმოდგენა არ მაქვს, მე ის არ ვიცი.

— მასზე არც ვინადირიათ?

— ერთადერთხელ შაშვზე ვინადირე გურიამი და მერე ძალიან ვინანე. მწყერზე კი, ჯერ ჩემს მეგობარს, შადიმან შამანაძეს ვკითხე, ძალიან კარგი მონადირეა, მერე — მეზობელ ბიჭს, ისიც ნადირობს. იცოდე, რას ჭამს, როდის მოფრინავს, როდის მიფრინავს, რა ზნისაა. მერე მის ტყავში უნდა შექვრე. სხვანაირად ვერ დაწერ.



— „კლავინო ჩილიუს“ გადასანსვლის მერე, ნი-სკარტს რომ „ამაყად გაილესავს“ და „მწყობის დას-ტურად პანია კლანჭებს ერთხელ, ორჯერ და სამჯერ გაუსვამს“ მინას, ესეც მოსმენით იცით?

— ეს ნანახი მაქვს, ერთ ახლობელს ჰყავდა სახლში.
— ვფიქრობ, დროის „მართვა“ მხატვრულ ტექსტებში საინტერესო თემაა. ბევრი ავტორია, რომელმაც ეს ვერ მოახერხა, ვერ მიაგნო ხერხს, რომლითაც დროს ნაწარმოებში ბუნებრივად მოაქცევდა. „ლუას საათში“ კი ორი საუკუნე დაატიეთ.

— ჩემი აზრით, მწერლობა არის სიტყვით ხატვა, რამდენად ვახერხებ ამას, სხვა ამბავია. ენობრივი ქსოვილი მწერლისთვის უპირველესი საშენი მასალაა, აქედან გამომდინარე, „ლუას საათში“ იმ თითქოს არქაიზმებმა, შეგნებულად „დაძველებულმა“ ენობრივმა ფორმებმა, რაღაც მოიტანა, დროის შეგრძნება გააჩინა. სხვადასხვა ეპოქაზე წერისას თხრობის მანერაც შესაბამისად იცვლება. ეს ერთგვარად გეხმარება მწერალს, მოსაწყენი არ გახდეს შენი თხრობა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. თუმცა მართო ამით ვერ მიადგენ სასადადელს, იქ გმირებიც საინტერესო უნდა იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, წერის პროცესი მწერლისთვის უნდა იყოს საინტერესო, სწორედ ამ ხუთ დამოკიდებული მკითხველის დაინტერესებაც. მე თუ მომბეზრდა, თუ ვერ მოვახერხე ისე მოვეყვ, როგორც ჩავიფიქრე, მკითხველს როგორღა გაიტაცებს ჩემი თხრობა? ხომ მართალია?!

— და ასე ნელ-ნელა იქმნება ახალი ცხოვრება, ახალი სამყარო. საოცრება არ არის?

— საოცრებაა. თუ მწერალი ხარ, რაღაც ახალ სამყაროს ქმნი, ახალ პლანეტას იგონებ — მგონი, ამის ტოლფასია.

— თქვენს სამწერლობო ენაზე შადიმან შამანაქემ ყველაზე უკეთ თქვა: „ეს არის ენა, რომელიც ნამდვილ მწერალს და ზოგადად ქართულ ენას ეკადრება“.

— მე რომ მკითხოს კაცმა, ნამდვილად არ ვარ კარგი მოქართულე, ამას ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ. სადაც ნუგზარ შატაძეა, ოთარ ჭილაძეა, რეზო ინანიშვილია და სხვები — იქ მე ვერ ვარ დიდი მოქართულე. უბრალოდ, მინდა, ცოცხალი ისტორიები მოვეყვ, ეს კი ხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პერსონაჟის ტყავში შეძვრები და იქიდან, შიგნიდან ილაპარაკებს; მაშინ ენაც ცოცხლდება და მუშაობს ინყებს. ჩემ შემთხვევაში, ალბათ, ეს უფროა. ამაში დრამატურგია დამეხმარა ძალიან.

— რა თვალსაზრისით?

— თხრობის თვალსაზრისით. ყველა ამბავს, მათ შორის ეპიზოდს, თავისი განვითარება აქვს. და რაც ნელ-ნელა გითხარით, გმირის ტყავში უნდა შეძვრე-მეთქი, ეს დრამატურგისთვის ბუნებრივია, მისი პროფესიის ნაწილია. თუ პერსონაჟის აგების ტექნიკას, ამბის განვითარების ტექნიკას არ ფლობ, პიესა ვერ დაიწერება.

— დრამატურგიაშიც ისევე წარმატებით მუშაობთ, როგორც პროზაში. რა განსახვავებაა თქვენთვის ამ ორ სფეროს შორის. რატომ, რომ კარგ პროზაიკოსს შესაძლოა არაფერი გამოუვიდეს დრამატურგიაში, ან პირიქით.

— მთავარია, პროზისა და დრამატურგიის გრძობათა ბუნება ერთმანეთში არ აგერიოს. პიესა ხომ თეატრისთვის იწერება, აქედან გამომდინარე იქ პირობითობა ძალიან მნიშვნელოვანია, პროზაში კი — დეტალი. როცა გრძობათა ბუნებას, რაღაცნაირად, შენს სამსახურში აყენებ, როცა თავად მართავ პროცესს და ზუსტად იცი ლიტერატურის ორივე სფეროს მთავარი სპეციფიკა, მაშინ რაღაც შედეგამდე მიდიხარ. თავს არ ვიქებ, მაგრამ ვამბობ, რომ ის ცოდნა ძალიან დამეხმარა. დაეშვათ, „ყურთბალიში“ — იქ პრაქტიკულად დიალოგი არ არის, მაგრამ ამბის არქიტექტონიკით, კომპოზიციით, ის ძალიან დავალებულია დრამატურგიისგან. თუმცა ეს მწერლის სამზარეულოა, მკითხველი ამაზე არ უნდა დაიხარჯოს, მკითხველამდე უნდა მიიტანო სამყარო, რომელიც ორგანული, ცოცხალი, მოქმედი და საინტერესოა.

— მოთხრობების, რომანების წერის სურვილი რატომ გაჩნდა?

— რაღაცნაირად შინაგანად, ორგანულად მოხდა — აღარ გინდა აქ, სხვაგან გინდა, თავი გამოსცადო. მიწაზე არ მიმუშავია, მაგრამ ვიცი, მინას ასვენებენ ხოლმე. ჰოდა, დაეასვენე ნიადაგი, რასაც დრამატურგია ჰქვია, ახლა აქეთ მაქვს ჟინი, მერე დრო გავა და, თუ ცოცხალი დავრჩი, შეიძლება ისევე იქით მიბრუნება მომინდეს, ასეა.

— „კომედიიდან ტრაგედიამდე აბსურდის ბილეთით“ საბას ნომინანტი გახდა.

— კრებულისთვის შვიდი პიესა თავად შევარჩიე, რადგან მიმაჩნია — ეს ან ასეა, ან არ არის ასე — რომ თუ რაღაც გამიკეთებია დრამატურგიაში, ყველაზე მეტად იმ შვიდ პიესაში ჩანს. რჩეულია, პრაქტიკულად. გამომცემლობები პიესების გამოცემას ერიდებიან, იმიტომ რომ რთულად იყიდება. საერთოდ, საქართველოში იმდენად მწირი ბაზარია, რომ საგამომცემლო საქმე ჭირს. ამ ვითარებაში გამომცემელი თავად რომ გადავაზოვს კრებულის დაბეჭდვას, ავტორისთვის ეს ბევრს ნიშნავს. „ინტელექტს“ დიდი მადლობა მინდა, კიდევ ერთხელ შევუთვალო, ეს პირადადაც არაერთხელ მითქვამს მათთვის. ნღებია, ვთანამშრომლობთ და ჩემთვის კომფორტია მათთან მუშაობა.

ესაუბრა თამარ ჟურული

ედგარ ლი მასტერსი



გორაკი

სად არიან ელმერ, ჰერმან, ბერტა, ტომი და ჩარლი? სუსტი ნებისყოფის, მკლავმაგარი, ჯამბაზი, ლოთი, ჩხუბისთავი? ყველას, ყველას სძინავს გორაკზე.

ერთს ცივ-ცივლებით ამოხდა სული, ერთი მალაროში ამოიბუგა, ერთი ჩხუბში მოკვდა, ერთი ციხეში ჩაძალდა, ერთი კი ხიდიდან გადმოვარდა, ცოლ-შვილისათვის ლუკმა-პურის შოვნისას. ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე.

სად არიან ელა, ქეით, მეგი, ლიზი და ედიტ? მოსიყვარულე, გულღერყვილო, კისკისა, ამაყი, ბედნიერი? ყველას, ყველას სძინავს გორაკზე.

ერთი ნაბიჭვრის გაჩენას გადაჰყავა, ერთი — უარყოფილ სიყვარულს, ერთი ხელში ჩააკვდა ვიღაც ნაძირალას ბორდელში, ერთი ც შელახულმა სიამაყემ შეინირა, გულისსწორის ძებნაში. ერთი კი შორეულ ლონდონსა და პარიზში ცხოვრების მერე ჩამოათრიეს თავის პროვინციულ სივრცეში ელამ, ქეითმა და მეგიმ.

ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე. სად არიან ძია ისაკი და დეიდა ემილი, და ბებერი თონი ქინსედი და სევირ ჰაფთონი, და მაიორი უოკერი, სათაყვანებელ რევოლუციონერებს რომ ესაუბრებოდა?

ვისაც მკვდარი ვაჟები ჩამოუსვენეს ომიდან, ვის ქალიშვილებსაც დაუნგრეს ცხოვრება და ვის ატირებული შვილებიც უმამოდ დატოვეს — ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე.

სად არის ბებერი მევილინე ჯონსი, სიცოცხლეს რომ ეთამაშებოდა ოთხმოცდაათი წელი, შიშველი მკერდით თოვლწყყასაც რომ არ ეპუებოდა, სვამდა, ჩხუბობდა, არც ცოლზე ფიქრობდა და არც შთამომავლობაზე, არც ოქროზე, არც სიყვარულზე, არც სამოთხეზე? ოჰ! ენას აჭარტალებს იმაზე, ოდესღაც როგორ წვაგდნენ თევზს და როგორ იმართებოდა დიდი კლარის ტყეში, რაზეც ებ ლინკოლნმა თქვა ერთხელ სპრინგფილდში.

მარბარეტ ფულიერ სლეიკი

მე ვიქნებოდი ჯორჯ ელიოტივით დიდი, რომ არა ბედისწერა. შეხედეთ ჩემს ფოტოს, ფენიციის გადაღებულს — ხელზე დაყრდნობილი ნიკაპი, ღრმად ჩამჯდარი თვალები — რუხი და შორსმჭვრეტელი. მაგრამ ერთი ძველისძველი პრობლემის წინაშე ვიდექი: გაუთხოვრობა სჯობდა, ქორწინება, თუ თავზე ხელის აღება? მერე მდიდარი აფთიაქარი — ჯონ სლეიკი გამეარშიყა, მომატყუა. დამპირდა, რომ დრო მექნებოდა ჩემი რომანისთვის და მეც გავყევი ცოლად, რვა შვილი გავაჩინე და ველარ მოვიცალე წერისთვის. და მაინც, ეს ყველაფერი მე გადამხდა. ხელში ნემსი რომ ვიჩხვლიტე, ბავშვის სარეცხის რეცხვისას. და მოვეკვი კრიჭაშეკრული, ირონიული სიკვდილით. გამიგონეთ, ამბიციური ადამიანებო — სექსი არის სიცოცხლის წყევლა!

მინერვა ჯონსი

მე მინერვა ვარ, სოფლის პოეტი ქალი, სოფლის ქაჯები რომ აწიოკებდნენ და აბუჩად იგდებდნენ მოუქნელობის, სიელმისა და ბარბაცით სიარულისთვის.

და უფრო — მაშინ, „ბურ“ ველდომ რომ ჩამიგდო ხელში სასტიკი დევნის მერე და ბედის ანაბარა მიმაგლო დოქტორ მაიერთან. მეც დავნებდი სიკვდილს, თანდათან ვშემდებოდი, ტერფიდან თხემამდე, თითქოს უფროდაუფრო ღრმად შევდიოდი ყინულის დინებაში.

ვინმე თუ მოუბრუნდება სოფლის გაზეთს და წიგნად შეაგროვებს ლექსებს, მე რომ დავწერე? სიყვარულის გამო მწყუროდა ასე! სიცოცხლის გამო მშობდა ასე!

დოკ პილი

ქუჩაში დავყალიბდი ზემოთ-ქვემოთ, წინ და უკან, დღისით და ღამით. თუმცა, მთელი ღამეები ვზრუნავდი ღარიბებზე, ავად რომ იყვნენ. და იცით რატომ? ცოლს ვძულდი, ბიჭი სახლიდან წავიდა. მეც მოვუბრუნდი ხალხს და მთელი სიყვარული მათკენ მივმართე.

რა კარგი იყო, მოლზე შეგროვილი ხალხი რომ ვნახე ჩემი დასაფლავების დღეს. ვისმენდი მათ ბუტბუტს სიყვარულსა და ტანჯვაზე. მაგრამ, ოჰ, ღმერთო ჩემო! სულში ურუანტელმა დამიარა და ძლივს შევძელი, ახალი სიცოცხლის მოაჯირს ჩავჭიდებოდი, როდესაც ემ სტანტონი დავინახე მუხის უკან, საფლავთან, საკუთარ თავს და დარდს რომ მალავდა.

ზანას ვიტი

თექვსმეტი წლის ვიყავი, საშინელი სიზმრებით, თვალბინი წრეებით და ნერვული სისუსტით. და ვერ ვიმახსოვრებდი ნაკითხულ წიგნებს, როგორც ფრენკ დრამერი, სულ ფურცელ-ფურცელ რომ ახსოვდა ყველაფერი. და წელი მქონდა სუსტი და ვლელავდი. და ვიყავი დაბნეული და გაკვეთილებზე ენა მებმოდა და როცა ვდგებოდი, რაღაც ზეპირად რომ მეთქვა, მაინცდებოდა,

რაც მქონდა ნასწავლი. ჰოდა, დოქტორ ვიზის რეკლამა ვნახე და ყველაფერი იქ წავიკითხე, შავით თეთრზე. თითქოს მიცნობდა მეც და იმ სიზმრებსაც, რომლებსაც ვერ გავექეცი. ასე რომ, ვიცოდი — ნაადრევი სიკვდილისთვის ვიყავი განწირული. და ვდარდობდი, სანამ არ გავცივდი. და მერე სიზმრებიც შეწყდა. ბოლოს კი ტკბილად დავიძინე, სიზმრების გარეშე. აქ, გორაკზე, მდინარესთან.

სარა ბრაუნი

მორის, არ იტირო, მე არ ვწევარ ამ ფიჭვის ქვეშ. ზაფხულის ნახი სიო ჩურჩულებს ბიბინა ბალახში, ვარსკვლავები ციმციმებენ, ღამის ფრინველის ხმა ისმის, მაგრამ შენ მაინც მწუხარე ხარ. ჩემი სული კი აღტაცებულია საუკუნო სინათლის კურთხეულ ნირვანაში. მიდი ჩემს გულკეთილ ქმართან, ვინც დარდობს იმაზე, რასაც ჩვენს დამნაშავე სიყვარულს უწოდებს და უთხარი, რომ ჩემი შენდამი სიყვარული არანაკლებია, ვიდრე მისდამი,

რამაც გამოჭედა ჩემი ბედისწერა. სხეულით მოვიპოვე სული და სულით — სიმშვიდე. სამოთხეში არ არის ქორწინება, მაგრამ აქ — სიყვარულია.

თარგმანა ქეთი ნიშარაძე



ატიუდი

ჩამოთბა. შუა მარტია. ტყის პირს იები ატყვია, იერისას — სატაცურები;

სერს სამი მგელი უხდება, ჭალას — ლურჯა და ნახირი, ჯღუნეს ცოლს — კოკა მხარზედა;

ცა გაჟივთვოდა ჩიტებით, წნორქვემ ცეტობენ ბიჭები — ვნება წაენთოთ, ეტყობა.

გომის ბაქანა

„საცაა გავა მატარებელი“. გალაკტიონი

ჩემი საფიქრალ-სადარდებელი, საცაა მოვა მატარებელი. ბჟუტავს ბაქანი, სად მარტოდმარტო მიმოვიქცევი; მარტი კი მარტობს — ხუშტურა ქარი, ირიბი თოვა... მატარებელი ხუთ წუთში მოვა! აგერა კიდეც, მოანქრევეს ღამეს და შეყოვნდება ორიოდ წამით. უნდა ვიმარჯვო, როგორმე ასვლა უნდა მოვასწრო, არაა სხვა ხსნა და ჯანაბამდე გავყვები თუნდა... ნიფის გვირაბით, რალა თქმა უნდა!

ბახროს ბახსენება

ისე გალია ეს გაბმული წუთისოფელი, მარტოსულს ხელი ბარისათვის არ გაუშვია! და მთელ ერწოში არც არავის გაკვირვებია, საცოდავს ფიცხელ ბარვაში რომ უმტყუნა გულმა... ძმისწულმა მინა იმისივე ბარით გაუჭრა და ჯვარიც იმ ბარის ტარისა დაურჭო.

იქნებ სამოთხეშიც ვხვდები

რამდენი ცოდო-ბრალი მადევს, განალა ვხვდები! ბჭობა არც უნდა — ვარ ჭინკების მსუყე ნაჭერი... და მაინც, როცა დრო მოატანს (იქნებ რა ხდება!), არ დაგზარდეთ და ჩამატანეთ პეპლის საჭერი.

ბრამატიკული ლექსი

ვინაც პირველმა შეთხზა ლ ე ქ ს-ი, კიდევაც ცხონდა; მე ცრემლად ვიყავ დაცვენილი, ლ ე ქ ს-მა შემკრიბა; ლაბა დავარქვი ლ ე ქ ს-ს, რომელიც დღეს მე მაცხოვრებს; თავს ვიგულოვნებ, ღვინოსა ვსვამ ლ ე ქ ს-ის ემხითა; ყველა ჭირსა თუ დაღბინებას ლ ე ქ ს-ითა ვწონი; ლ ე ქ ს-ად ვაქციე სიტყვის ვნება და ბედისწერაც... ხმას, ჩემო ლ ე ქ ს-ო, ვინ შეგანეგს, ვის მოგანწონო?!

ვილას ვერიდო

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“ გალაკტიონი

მუდამჟამ რალაც საჩინოს ვკარგავ — გაუთავებელივ ჭრიალებს კარი... და თუ რამ შემრჩა, იმასაც ხარკად გავიღებ, წამით რომ გკიდო თვალი! რილასთვი ვმალო — მოვირგე ქარგა იმ ერთი ვინმე იმერის დარი: ყოველივეა საშინლად კარგად, უფრო კი — ყოვლად საშინლად არი!

მტკვარი თუ სულის შფოთვა, შფოთის თავია რიონი... სვეტიცხოველი შოთაა, გელათი — გალაკტიონი! მე კი ვინ ვარ და რა მცხია, ყოფნა რომ გავიოლო?! — ჟებოტის ციხედ მაქცია, სხვა არც რა მინდა, იორო!

მონანიკასავით

ნურასა შიშობ — სხვის ჯერზეც მე დამიძინე ისრები; ამიტა მერმე მთის წვერზე და წამაყარე ნისლები...



იქ ვეპირები ღვიძილსა, იქ ველარ დამესიზმრები!

ჟამმა ამწანა ყველა სიკეთე და ზედაც — რაც კი მეზადა ვნება! მოკლედ, ამიკლო, მაგრა ვკიდივარ, გავხდი სამყაროს სალაპარაკო. რილას შიში მაქვს? — შენი და კიდეც სიცარიელის შავ ოკეანის, ესოდენ ცივის და ფხუკიანის!

ასი დღეა და თვეა, და ბარე ასი წელიც, ტყუილუბრალოდ გელი — მე ვარ და აღარც მე ვარ! სერ-მინდვრებს ველარ სერავს ალგადებული ცხენი, რის ლოგინი და ჭერი — ზედ ხანჯლის პირზე ვწევარ... ეს რა სიყვარული მომისაჯე, შე მართლა ჯადო მზეო, სხვისა საუნჯევე?!

ცოლ-ქმრის ეპიტაფია

ერთგულად ვცვიითეთ ერთსაბანქვემ ნ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი. ახლა ერთლოდქვემ ვეფიცხებით მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა ს.

ღამის ბარში

ღამის ბარში ვარ, არაყს ვწრუბავ, წარსულს გავყურებ; შემოდის ვარდო, უყანყალებს ორთავ საყურე! — ეს აქ საიდან, ან რა ქარმა...?! — მაგრა გავკვირდი... — ჩემი თაყვანი ქართველ კარმენს! — გული აყვირდა. და იქავე ჟრჟოლა წამდეს აშალლარა ფიქრებმა; უნდა წავიდონჟუანო, რაც იქნება, იქნება!

უკვდავი ბრბო

უფალ იესოს

მამულთან პირი შევირცხვინე — ვერა-რა ვარგე!... ან კაცთა შორის უპირველესს, მოგმართავ კრძალვით: იმ უკვდავ ბრბოში, „ჯვარცმულ იქნეს!“ რომ გაჰკიოდა, ჩემი უბირი წინაპარიც ხომ არ ერია?

მთვარის ნათლული

ბედის სასწორზე რაკი შევაგდე, კიდეც დავადექ გზას უხმაუროდ, მაგრამ რა გალევს წადილს შენამდე, ჩემო წამებავ და სასწაულო?! ვერ გავასწორე წარსულთან ვალი — ვერ გამოვხშირე ცოდო და ბრალი... ა, ეხლა უნდა, თუ უნდა — ქალი, სულს, წარმართსა და გავერანებულს! ნეტავ კი მარტის ღრუბელი ვიყო, შენთვის ვქუხდე და შენთვის ველავდე... რით აღარ მორჩა ეს ღრე და რიყე, რით ველარ გაველ ტრფობის ველამდე?! ცას თელავს მთვარე — ნადი მენაბდე, და მე კი შარას — მისი ნათლული; ღრიალებს გული გადანატრული... არა, რა გალევს წადილს შენამდე?!

ცალვა სიყვარული

ეგ სიყვარული ცალმხრივიაო! — თქმულს სიბრალულის ხიბლიც დაატყო. არადა, ისე ამცივდა ტანში, მიჯობდა ასჯერ დაეკრა ლახტი; თვალთაგან მლაშე ყინული მცვივა, ჯუჯა იჭვების საჯიჯგნი გავხდი... ვებლაუჭები ორთავ ხელით ცალვა სიყვარულს!

მშვენიერების ფასი

თითოს რამდენად ყიდი? — ვკითხე ვარდების ვაჭარს, მეტრო „დელისის“ თავზე რომ უყვინა დახლი. იმ დალოცვილმა, ზედაც არ შემომხედა, ისე დაასახელა ჩემთვის ღამის უწვეფი თანხა! აღარ ვებაზრე, რახან კარგა რასმე ჩანს საქმე — სულ წინ და მალლა იწევს მშვენიერების ფასი!

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი, სახელი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა). კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა. დაწესებულია პრემიები: სპეციალური პრემია — 1000 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან; პირველი პრემია — 500 ლარი — კახური მეღვინეობის განვითარების კომპანიისაგან; ორი მეორე პრემია — 400-400 ლარი — ახალციხის სამედიცინო ცენტრ — „უნიმედი-სამცხე“-სა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“-საგან; მესამე პრემია — 300 ლარი — ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან; ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია — 500 ლარი — მესხეთის თემატიკაზე — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან. გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2014 წლის სექტემბერში, ვარძიაში — „პოეზიის დღის“ შოთაობის ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე. საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით. ხელნაწერი არ მიიღება. კონკურსში გამარჯვებული ლექსები დაიბეჭდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“. საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა, უნდა გამოიგზავნოს 2014 წლის 10 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: 0500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა N3; გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია. ტელ.: 599979524

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com